გურამ აბსანძე — 50

გაუტეხელი სული

თბილისი, 2002

გურამ აბსანძე – რწმენაშეურყეველი და სულუტეხი ქართველი კაცი. ცხოვრებისეული ტკივილებითა და მამულიშვილური სატკივარით გულდამძიმებული საზოგადო მოღვაწე. სამშობლოს სიყვარულისათვის ცხრაგზის ნატყვიარი და მრავალგზის ნაგვემი, კვლავაც ჩვეული შეუპოვრობითა და ყინით დგას ქართული, ეროვნული ცნობიერების სადარაჯოზე.

2001 წლის 17 აგვისტოს, 42 თვიანი პატიმრობის შემდგომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოლეგიამ გურამ აბსანძეს უკანონოდ, სისხლის სამართლისა და პროცესუალური კანონმდებლობის სრული დარღვევითა და დეგრადირებით მიუსაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ გახმაურებული უკანონობის განმჩინებლებიც აღაფრთოვანა გურამ აბსანძის სიმტკიცემ, გულზვავებამ და შეურყეველმა ობტიმიზმმა. გურამ აბსანძემ გაიმარჯვა, მან ახალი ბრძოლებისათვის შემართულმა კიდევ ერთხელ დაამარცხა უკანონობა. ფაქტობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. ის აიძულა ხალხმა – რომელიც საპროტესტო აქციებით, მიტინგებით, მანიფესტაციებით და სხვადასხვა ღონისძიებებით ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას. ნებას ხალხისას, ამჯერად იმიჯშელახული და ძალებშერყეული მოძალადე ხელისუფლება წინ ვერ აღუდგა და გურამ აბსანძე გაანთავისუფლა.

წინამდებარე წიგნი ბატონი გურამის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა. მაშინ ბატონი გურამი ჯერ კიდევ გისოსებს მიღმა იმყოფებოდა. რიგი მიზეზების გამო, წიგნის დაბეჭდვამ დაიგვიანა. ამიტომაც მასში იხილავთ სიხარულისა და წუხილის, ღიმილისა და ცრემლების მეტად ბუნებრივ სურათებს.

ყოველი ახალი წიგნი, თუ კრებული ახალი იდეებისა თუ იმედების მოკარნახე უნდა იყოს. წინამდებარე გამოცემაც, იმედია იმისა, რომ 50 წლის გურამ აბსანძე გააღვივებს ქართული სულის მინავლულ ნაღვერდალს და უშიშრად წარუძღვება თავის ხალხს ოცნებად ქცეული ტაძრისკენ!..

ლაშა გვასალია

შემდგენლები: გოგა აბსანძე, ლაშა გვასალია, მურმან ზაქარაია, სოსო ლაგვილავა, იოსებ პატარაშვილი, ჯემალ შონია, მანგული ხუგუა

რედაქტორ გამომცემელი *მურმან ზაქარაია*
პასუხისმგებელი მდივანი *თეანა ზაქარაია*
ტექნიკური რედაქტორი *ლუარა გამყრელიძე*

დაუმარცხებელი და დაუმორჩილებელი გმირკაცი!

ბატონ გურამ აბსანძეს 50 წელი შეუსრულდა!

აპრილი მობრძანდა და ფრთებს შლის შენს მშობლიურ დარ-ჩელში. სოფელი გატრუნულა და ყურს უგდებს ჯუმისა და ენგურის დუდუნს ჩანთით ხელში სკოლისაკენ მიმავალ ბიჭზე, რომლისკენაც მიუპყრიათ ფიქრი, გულისყური და მზერა ძვირფას მშობლებს – მრავალჭირნახულ დედას და ომგადახდილ, ყავარჯნიან მამას, სკოლას და მასწავლებლებს. მათ სჯეროდათ შენი სასახელო მომავლისა, რადგანაც ხედავდნენ შენში წიგნისა და სწავლისადმი უსაზღვრო წყურვილს, თანდაყოლილ ზნეკეთილობას გაამართლე კიდეც, წარჩინებით დაამთავრე მშობლიური სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, ისე, რომ მამით ობლობა არ გაგრძნობინათ ძვირ-ფასმა დედამ და-ძმებს.

სამსახურში გამოიჩინე ნიჭი და უნარი, მაგრამ ეკონომიკური მეცნიერების მწვერვალები გიხმობდა და შესძელი კიდეც მიზნის მიღწევა. მოსკოვშივე შემოგთავაზეს საპატიო თანამდებობა, როგორც ნიჭიერ, მზარდ ახალგაზრდას. ბრძენკაცის თქმისა არ იყოს: მიეცა ნიჭსა გზა ფართო...

მერე თბილისმა გიხმო საიმედო შვილი.. შენებური შემართებით მოკიდე ხელი ეკონომიკასა და ფინანსებს... მალე აზვირთდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და შენც უყოყმანოდ გადაეშვი მის ბობოქარ ტალღებში, ზვიადისა და მერაბის გვერდით აღმოჩნდი. ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გახდი, მერე – ვიცე-პრემიერიც.

უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდას გაუძელი, როცა ნომენკლა-ტურა, მაფია და კრიმინალური ბანდები დაუპირისპირდნენ ეროვნულ ხელისუფლებას. სულნამცეცა, უპრინციპო და უზნეო კაცუნები დაადგნენ ქვეყნის ღალატის გზას. შენ ბოლომდე ერთგული დარჩი ეროვნული ხელისუფლების.

მანქურთები და ნაძირალები ჩაუსაფრდნენ დევნილ პრეზიდენტსა და კანონიერ მთავრობას. სურდათ ფიზიკურად მოესპოთ ქართველი ხალხის რჩეულები. უმოწყალოდ დაიღვარა ერის რჩეულთა სისხლი...

გურამ აბსანძე მომავალ მეუღლესთან რუსუდან ფირცხალაიშვილთან ერთად. სტუდენტობის წლები

ღვთის განგებამ გადაგარჩინა, ღვთიურო კაცო, რათა სიმართლისა და კანონიერებისათვის ბრძოლაში თან ატარო საკუთარ სხეულში მუხანათთა მიერ ნასროლი ცხრა ტყვია. ესეც არ გაკმარეს, ცოცხალი რატომ გადარჩიო და ცხრაკლიტულში ჩაგამწყვდიეს ერისკაცი.

რა არ შეძელი და რა არ გადაიტანე დარჩელელმა ვაჟკაცმა, ჩვენო გურამ! რაოდენ ტვირთმძიმე და განსაცდელგამოვლილი ხვდები შენს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, მზეჭაბუკო!

გილოცავთ შენი დარჩელი და დარჩელელები დაბადების დღეს 18 აპრილს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ღვთის წყალობით, შენი მეგობრებისა და თანამოაზრეთა მეცადინეობით მალე გვენახე თავისუფალი!

დარჩელის მოსახლეობის სახელით
ანტონ არნანია

გურამ აბსანძე – 50

გურამ აბსანძე 50 წლისაა!

ნახევარი საუკუნის წინათ, 1952 წლის 18 აპრილს ოდიშის თვალწარმტაც სოფელში – დარჩელში, ცუცა და ვალიკო აბსანძეების ოჯახში დაიბადა ძე, რომელსაც უსამართლობასთან ხმალშემართული ბრძოლა დაებედა წუთისოფლის მეგზურად...

იგი ენგურის პირას გაიზარდა და ენგურივით ძალუმად მიატარებს ერთხელ არჩეული გზით თავისი სამშობლოს ლხენასა და სატკივარს, ფიქრსა და ნაღველს; მისი ბედიც თავისი სამშობლოს ბედთანაა წილნაყარი – ისიც გვემულია, მაგრამ გაუტეხელი; ისიც ტყვიებით დაცხრილულია, მაგრამ სიცოცხლის სინათლით ავსებული; ისიც დატყვევებულია, მაგრამ დაუჩოქებელი, ქედმოუხრელი და დაუმარცხებელი...

გურამ აბსანძის სიტყვას ყოველთვის ამშვენებდა საქმე – საქმე საქვეყნო და სამართლიანი, კეთილშობილური და კეთილგონივრული... მამულის სიყვარულს, ეროვნული ხელისუფლების ერთგულებას, პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ეკონომიკისა და ფინანსთა მინიტრის მოვალეობებთან დაკავშირებულ დიდ პასუხისმგებლობას ბატონი გურამი მუდამ საქმით ამტკიცებდა; ამასთან სულ სხვა სიმაღლით წარმოაჩინა იგი მშობელი ხალხის წინაშე, როდესაც მტერმა ჩვენს სამშობლოს წინსვლის გზა დაუხშო, როდესაც სატანამ აღმაშენებლობაზე მოფიქრალ მამულს შიმშილი და ნგრევა არგუნა ხვედრად, როდესაც ერს მოუკლეს მისი უსაყვარლესი წინამძღოლი, ხალხის ერთიანი ნებით არჩეული პრეზიდენტი – ბატონი ზვიად გამსახურდია, როდესაც იძალა ათასნაირმა ღალატმა და არაკაცობამ, გაიძვერობამ და ურწმუნოებამ...

დღეს გურამ აბსანძე ის რაინდია, რომელმაც მთელ ერს მისცა მაგალითი სამართლიანობისა და კანონიერების ერთგულებისა, უღალატობისა და თავდადებისა, ტანჯვაში გამძლეობისა, ეროვნული ხელისუფლების დასაცავად თავგანწირვისა და სამშობლოს მტრების პირუთვნელი, უშიშარი მხილებისა...

„ბედნიერია ფიცის ერთგული,
ვინც სიტყვას კაცურს აღარ ღალატობს,

მან შეიძლება სიცოცხლე დათმოს,
ქედმოხრილი კი ივლის არასდროს" –

ეს თვითონ ბატონ გურამ აბსანძის სიტყვებია. ეს სტრიქონები მისი ცხოვრების კრედოა და, ალბათ, ვერავინ იტყვის მასზე უფრო უკეთესად, თუ რისთვის სჭირდება სიცოცხლე და რა მიაჩნია ბედნიერებად გურამ აბსანძეს!

სამშობლოს მოღალატეებისა და მტრების დასამარცხებლად თურმე საკმარისი არ ყოფილა ის, რომ მართალი ხარ სიმართლეს დაცვა, პატრონობა, თავის განწირვა, მსხვერპლად გაღება სჭირდება და ეს ყველაფერი გურამ აბსანძემ გააკეთა – მან ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ მოწყობილი სასამართლო ფარსი ამავე ხელისუფლების მამხილებელ ჭეშმარიტ სასამართლო პროცესად აქცია და გაიმარჯვა! ამდენად, ეს იყო არა მხოლოდ ერთი პიროვნების, არამედ მთელი ქართველი ერის გამარჯვება!

გურამ აბსანძე ასე დარჩა პირნათელი სამშობლოს წინაშე. ამისათვის მას დასჭირდა საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგდება, მრავალი ტანჯვა-ვაებისა და ცილისწამების ატანა; ცხრა ტყვიით მიყენებულ ხორციელ იარასა და ტკივილზე არანაკლებია მისი სულიერი ტკივილებიც. მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ მან უკანასკნელ გზაზე ცრემლის ერთი კურცხალიც ვერ გაატანა საკუთარ დედას, ძმას, ქრისტიანულად ვერ მოეფერა მათ ქრისტეს მგმობელთა მიზეზით

ცხრა ტყვიით დაჭრილი რაინდი ხუნტის ცხრაკლიტულში შეხვდა თავისი დაბადების 50-ე წლისთავს, მაგრამ, პოეტის სიტყვებისა არ იყოს, გურამ აბსანძე იმ მამულიშვილთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც თამამად შეუძლიათ თქვან:

„ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ..

რაც მთავარია, საქართველოს სიყვარულით გურამ აბსანძე ჯერ არ დაღლილა. ეს კიდევ ერთი 50 წლის შემდეგ შეიძლება მოხდეს. მანამდე კი მამულის სიყვარულში დაუღლელ გურამ აბსანძეს თავისი ომახიანი სიტყვა აქვს სათქმელი და ვაჟკაცური საქმეები აქვს გასაკეთებელი იმ

საქართველოს საკეთილდღეოდ, რომელიც ჭეშმარიტად თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი იქნება და რომელიც ჩვენ, ქართველებმა, დიდი მამულიშვილების მადლითა და ძალისხმევით უნდა დავიბრუნოთ, გავაძლიეროთ და აღმშენებლობის გზებით ვატაროთ.

გურამ აბსანძე ამ დიდ მამულიშვილთა ღირსეული წარმომადგენელია'

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საწყისებთან

ბატონი გურამ აბსანძე ეროვნულ ხელისუფლებაში მოსვლას და ადრინდელ საქმიანობას შემდეგნაირად, მისთვის ჩვეული თვითირონიით გადმოგვცემს „ფაქტია, რომ თანამდებობა არავისთვია მითხოვია. ეროვნულ მთავრობაში რეკომენდაცია მომცეს ჩემმა მეგობრებმა, რის შედეგადაც პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდაჭერით დავინიშნე ფინანსთა მინისტრად. იმ პერიოდში მე ვმუშაობდი ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი უდიდესი სამმართველოს უფროსად ასე რომ, ეს დანიშვნა ჩემთვის მაინცდამაინც დიდი დაწინაურება არ იყო (ისე, ცოტა ხუმრობაგარეულ სიმართლესაც ვიტყვი: რიგში რომ ჩავმდგარიყავი, მინისტრობა ერთხელ მაინც მომიწევდა ჭკეს ან წონის მიხედვით)"

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ფინანსთა მინისტრად მის დანიშვნას ბატონი ზვიადის ინიციატივით ქალბატონი ლია ანდღულაძე ასე იხსენებს „ვისაც უზენაეს საბჭოში გ. აბსანძის მინისტრად დამტკიცების პროცესი ახსოვს, ახლოს მყოფნი შეამჩნევდნენ, როგორ დაგორდა მისი თვალიდან ცრემლი.

„1989 წლის 9 აპრილამდე ვიყავი სკკპ წევრი, უფრო ადრე კომკავშირელი, პიონერი, ოქტომბრელი, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია ვყოფილიყავი ეროვნული იდეალების ერთგული ერთი უბრალო ქართველი კაცი. ჩემი შინაგანი რწმენით ყოველთვის ეროვნულ საქმეს ვაკეთებდი და ვემსახურებოდი"

ბატონი გურამის საქმიანობა დამოუკიდებელი საქართველოს

ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ხელისუფლების ეკონომიკური საქმიანობის სარკეა.

„საქართველომ თავისი არსებობის მანძილზე ერთადერთხელ, 1991 წელს მიიღო და შეასრულა ბიუჯეტი, თანაც ისეთი გაუთვალისწინებელი ხარჯების პირობებში, როგორიც იყო მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში რამდენიმე ათასი ორსართულიანი სახლის აშენება, გზების თავიდან გაყვანა, საქართველოში უდიდესი ხიდის (მდ.ჭოროხზე) აშენება, კრემლის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების მოგვარება და მრავალი სხვა." – ეს ისე, რომ ეროვნულ ხელისუფლებას არ აუღია არც ერთი კაპიკი საგარეო ვალი, საქართველოს ვალი კი, პირიქით ჰქონდათ რუსეთს, უკრაინას, სომხეთს, ყაზახეთს, აზერბაიჯანს 48,5 მილიონი დოლარის ოდენობით, ხოლო ქ.მოსკოვში საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ბანკში საქართველოს სანაოსნოს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს სავალუტო ანგარიშზე ერიცხებოდათ 100,0 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც საქართველოს საკუთრება იყო.

ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, 1990 წლის 28 ოქტომბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე საქართველოში წარმოებული და ნაშთის სახით არსებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგები (მაშინდელი გაანგარიშებით, 3,0 მილიარდი აშშ დოლარი) საქართველოს ფინანსური რესურებით სულ მცირე 3 წლით უზრუნველყოფდა.

დასრულდა მშვიდობიანი ეტაპი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა. 1991-92 წლების მიჯნაზე კომუნისტ-რევანშისტთა და გარეშე იმპერიულ ძალთა შეთქმულებით მოწყობილმა შეიარაღებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ წერტილი დაუსვა მას. შევარდნაძის მიერ „დემოკრატიულ რევოლუციად" მონათლულმა გადატრიალების შემოქმედმა ვაიინტელიგენტებმა, კიტოვანის „გვარდიელებმა" და ჯაბა იოსელიანის „მხედრიონელებმა" ძაძებით შემოსეს მთელი საქართველო. უზენაესი საბჭოდან კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი, მათ შორის გ.აბსანძე, რომლებიც ავტობუსით მიჰყვებოდნენ პრეზიდენტის ამალას, მეტეხის ხიდთან უღვთოდ ჩაცხრილეს ჩასაფრებულმა რევანშისტ-შეთქმუ-

ლებმა.ცხრა ტყვია მიიღო საკუთარ სხეულზე ახალგაზრდებს თავისი გოლიათური სხეულით გადაფარებულმა გურამ აბსანძემ. ალბათ, ღვთის სამართალი იყო ამ კაცური კაცის ცოცხლად გადარჩენა.

პირსისხლიანმა ხუნტამ და მისი შემცვლელი სახელმწიფო საბჭოს მესვეურებმა ედ.შევარდნაძის ხელმძღვანელობით ესეც არ აკმარეს მას და სასწაულებრივად გადარჩენილი გურამ აბსანძე ციხეში გაამწესეს. 6 თვე დაჰყო მაშინ მან ციხეში. ვერაფერი დაუმტკიცეს და იძულებულნი გახდნენ გაეთავისუფლებინათ. კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელობიდან ერთადერთი პიროვნება იყო გურამ აბსანძე, რომელმაც იმ პერიოდშიც ციხის კედლებში გამომწყვდეულმა საკადრისი პასუხი გასცა ხუნტის პროკურატურის მიერ შეთითხნილ ბრალდებებს. ბატონ გურამ აბსანძის ეს პასუხი გამოქვეყნდა გაზეთ „იბერია-სპექტრში" (4-10 ივნისი, 1992 წ.).

გურამ აბსანძე წერს: „...საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად მოსულმა სისხლიანმა ხელისუფლებამ გააჩაღა ცილისმწამებლური კამპანია კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამას უბრალო ლოგიკა ედო საფუძვლად – იარაღითა და უსამართლოდ მოსულ ხელისუფლებას უნდა დაესაბუთებინა კანონიერი ხელისუფლების დამხობის „სამართლიანობა"

„...როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, კანონიერი ხელისუფლება მოქმედებდა კანონის სრული დაცვით, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ამან განაპირობა ის, რომ ხუნტის პროკურატურას კრინტი არ დაუძრავს ჩემს მიერ მოყვანილ არგუმენტებსა და სიმართლის დამამტკიცებელი დოკუმენტების საწინააღმდეგოდ. ქართველი ერის თვალში ისინი დარჩნენ, როგორც დეზინფორმაციის გამავრცელებლები, ცილისმწამებლები და არაკაცები. ამიტომ მოხდა 1992 წლის აგვისტოში ჩემი გათავისუფლება და არა ხუნტის „მანიფესტის" გამო. ხუნტა ბრიყვულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული შეიქნა გავეთავისუფლებინე. ჩემმა პასუხმა, რომელმაც მართლაც ნიღაბი ახადა პუტჩისტებს, მაშინ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა, კანონიერი ხელისუფლების მომხრეებმა შვებით ამოისუნთქეს.

მახსოვს, 1992 წლის შემოდგომაზე ბატონ ზვიადთან შეხვედრა

გროზნოში, როცა მან გამომიტანა გაზეთი „იბერია-სპექტრი" და მითხრა: „მადლობელი ვარ, ჩემო გურამ, ასეთი პირდაპირი, სამართლიანი და ვაჟკაცური პასუხის გაცემისათვის ხუნტის ცრუ ბრალდებებზე, ციხეში გამომწყვდეულს კი არა, თავისუფლებაში მყოფ ადამიანს გაუჭირდებოდა ასეთი სიმართლის დაწერა შენმა მართალმა სიტყვამ ბევრი ეჭვი გაფანტა და მრავალი მოტყუებული ადამიანი მოაბრუნა ჩვენსკენ"

ზუსტად იგივე მეთოდით, ცილისმწამებლური, ცრუ და ამავე დროს ბრიყვული ინფორმაციის გავრცელებას მიჰყვეს ხელი 1993 წლის 6 ნოემბრიდან, კანონიერი ხელისუფლები მეორედ დამარცხების დღიდან, პირსისხლიანმა ხელისუფლებამ და მისმა ყურმოჭრილმა „სამართალდამცავებმა" დევნილი კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით. აპრობირებული სცენარით, იგივე შემსრულებლებით (მხოლოდ სატანისათვის სულმიყიდული, ჩვენს რიგებში გველივით შემომძვრალი ზოგიერთი „ზვიადისტის" დამატებით) მიმდინარეობდა დეზინფორმაციის გავრცელება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

გარდა ცრუ ბრალდებების ოფიციალურად შეთითხვნისა, მათ დავალებული ჰქონდათ დევნილი კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელებზე ფანტასტიკური ცილისმწამებლური ინფორმაციის „გაჟონვის" ორგანიზება. კერძოდ, მათ უნდა გაევრცელებინათ დეზინფორმაცია დევნილი ხელისუფლების მიერ, განსაკუთრებით ჩემს მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დატაცების შესახებ. გარდა ამისა, საჭირო იყო ჩვენზე, როგორც „ბანდიტებზე", „სამშობლოს მოღალატეებზე", „ტერორისტებსა" და „მკვლელებზე" მყარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება."

შეიქმნა უნიკალური სიტუაცია ზვიად გამსახურდიასა და დევნილი კანონიერი ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის „ჩადენის" ძიების საქმეში. სიტუაციის უნიკალურობა გახლდათ ის, რომ სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული სისხლიანი ხელისუფლება მისი ჯიბის პროკურატური მეშვეობით, დევნილ კანონიერ ხელისუფლებას „ამხელდა" ისეთ დანაშაულებებში, რომლებიც თვითონ ჩაიდინა.

ბატონმა გურამ აბსანძემ უკანონო ხელისუფლების ამ ახალ ცილისმწამებლურ კამპანიას დაუპირისპირა კანონიერ ხელისუფლებისა და თავისი უმწიკვლობით აღსავსე კაცურკაცობა და შეუდგა ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის უმძიმეს გზას. ოღონდ ამჯერად იმ განსხვავებით, რომ უკვე არ იყო ცოცხალი ქართული ეროვნული მოძრაობის პატრიარქი, პირველი პრეზიდენტი, დამოუკიდებელი საქართველოს შემოქმედი ზვიად გამსახურდია.

გ.აბსანძე წერდა: „ხუნტის „მეგობარი" ქვეყნების, ჩვენთვის „კეთილისმსურველი" საერთაშორისო ორგანიზაციების და ნაფტალინიდან ამოღებული ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკური მოღვაწის რეკომენდაციითა და კარნახით, დეგრადირებულმა სისხლიანმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება დევნილი კანონიერი ხელისუფლებისათვის სამშობლოს მოღალატეთა, ორგანიზებულ შეთქმულთა ბანდის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ამ შემთხვევაში მთავარი იყო წინადადებაში სიტყვა „ბანდისათვის" საჭირო ადგილის მიჩენა. „ბანდაში" ხომ ასოცირებულია კრიმინალური სამყარო, შეიარაღებული დაჯგუფებები, ყაჩაღობა და ა.შ.

დევნილი კანონიერი ხელისუფლებისათვის „ბანდის" დარქმევით სისხლიანი ხელისუფლება კანონიერების აღდგენისათვის ჩვენს სამართლიან ბრძოლას ნიადაგს აცლიდა და ქართველი ერის, ასევე მსოფლიო საზოგადოებრიობის მოსატყუებლად „ბანდიტურ" დაჯგუფებათა თარეშად ნათლავდა.

საქართველოს მოსახლეობა ამ აზრის სისწორეში დარწმუნდება, როცა გაეცნობა ხელისუფლების პროკურატურის მიერ ზვიად გამსახურდიაზე, ჩემზე და დევნილი კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელებზე წარდგენილ ბრალდებებს (იხ. „ყოველკვირეული ალია", №16, 2001 წ.).

ჩემზე და დევნილი კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელებზე წარდგენილ ბრალდებათა ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ – სისხლიანი ხელისუფლების და მისი ყურმოჭრილი პროკურატურის ხელმძღვანელთა განსწავლულობა და პროფესიონალიზმი „ფეზეოს" კურსდამთავრებულის დონეზეა გაყინული. ამავე დროს, უზნეობისა და სულიერი გახრწნილების ნიმუშად მიმაჩნია საქართველოს პირველი

პრეზიდენტის „ბანდის" მეთაურად მოხსენიება.

კატეგორიულად მოვითხოვ: ჩემზე წარდგენილი ბრალდებების ყველა ეპიზოდიდან ამოღებული იქნეს ზვიად გამსახურდიას გვარი.

იმ შემთხვევაში, თუ ქართველი ერი ზვიად გამსახურდიას ჩათვლის „ბანდის" მეთაურად, შემიძლია სიამაყის გრძნობით იმ „ბანდაში" რიგითი „ბანდიტის" ადგილი დავიკავო, მაგრამ თვითონ დღევანდელ ხელისუფლებაში თავმოყრილ ბანდიტებს ზვიად გამსახურდიას ბანდიტად მოხსენიების უფლებას არ მივცემთ.

კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ვიყავით და ვართ კანონიერი ხელისუფლება, ხოლო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული სისხლიანი ხელისუფლება წარმოადგენდა ბანდიტურ ფორმირებას. ჩვენი კანონიერი გვარდია ებრძოდა ე.შევარდნაძის ბანდიტებს. დასავლეთ საქართველოს წარმოება-დაწესებულებებს და მოსახლეობას კანონიერი გვარდია იცავდა მათი თავდასხმისაგან, აწიოკებისაგან, ძარცვისა და ღირსების შელახვისაგან. ამას აკეთებდა კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალები.

სიტყვა „ბანდიტი" ამოიღეთ ჩემზე წარდგენილი ბრალდებიდან. თუ მაინცდამაინც ვერ ელევით ამ ტერმინს, მაშინ გამოიყენეთ თქვენს ხელისუფლებასთან მიმართებაში, ვინაიდან მათი ცხოვრების წესი ზუსტად მიესადაგება ბანდიტურსა და ქურდბაცაცურს."

ძალადობით მოსულმა ხელისუფლებამ, რომელმაც ომი ეამოუცხადა საკუთარ ხალხს, საფრთხის წინაშე დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

დაგომისის მოღალატური ხელშეკრულებით, ედ.შევარდნაძემ „თავიდან მოიშორა" სამაჩაბლოს პრობლემა და ეს კუთხე რუსეთის იმპერიას ჩააბარა. შემდეგ დადგა აფხაზეთის ჯერი, რასაც წინ უძღოდა სამეგრელოს არაერთხელ აწიოკება, სისხლიანი ექსპედიციები ამ კუთხეში, რომელიც აფხაზეთის შენარჩუნების ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენდა.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, პირადად პრეზიდენტი ზვიად გასახურდია არაერთხელ აფრთხილებდა ხუნტას, რომ აფხაზეთში შეიარაღებული ავანტიურის წამოწყება ამ კუთხის საქართველოდან ჩამოშორებას ნიშნავდა. ამ გაფრთხილების მიუხედავად, 1992 წლის

14 აგვისტოს ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ჯარები აფხაზეთში შევიდნენ, ხუნტის მიერ ინსპირირებული კონფლიქტი ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის – გაგრის დაკარგვას, ქართული მოსახლეობის ხოცვასა და გამოდევნას მოჰყვა მოღალატური ხელშეკრულებების ახალი სერიები, 1993 წლის შემოდგომაზე კი სოხუმისა და მთლიანად აფხაზეთის დაკარგვის საფრთხე აშკარა გახდა.

აფხაზეთის თანდათანობით დათმობის პარალელურად ე.შევარდნაძის ხელისუფლება პროვოკაციულად აცხადებდა, რომ ამ კუთხის საქართველოდან ჩამოშორება იგეგმება ჩეჩნეთში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი კანონიერი ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. ეს მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ძალ-ღონეს არ იშურებდნენ აფხაზეთში ხუნტის მიერ წამოწყებული სისხლიანი დაპირისპირების მშვიდობიანი მოგვარებისათვის; შემდეგ კი, როდესაც აშკარა გახდა, რომ ხუნტა აპირებს აფხაზეთის ჩაბარებას საკუთარი ტახტის გადარჩენის სანაცვლოდ, ეროვნულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა საკუთარი სამხედრო ძალები – ეროვნული გვარდია ჩაერთო აფხაზეთის გადარჩენისათვის ბრძოლებში.

პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ამ უაღრესად კრიტიკულ, მძიმე ვითარებაში გადაწყვიტა უშუალოდ ეხელმძღვანელა აფხაზეთის შესანარჩუნებლად საჭირო პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებებისთვის და საქართველოში ჩამოვიდა.

პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლაც ეროვნული ხელისუფლების მტრების პროვოკაციული ჭორების საგანი გახდა, კერძოდ, თითქოს ზვიად გამსახურდია მოტყუებით იქნა ჩამოყვანილი საქართველოში.

ჯერ ერთი, სამშობლოში პრეზიდენტის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1993 წლის ზაფხულში ქალაქ ზუგდიდში გამართულ სესიაზე, მეორეც, ეს იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მტკიცე ნება – ყოფილიყო საკუთარ ხალხთან ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს.

აი, რას წერს 1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდიას

საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბატონი გურამ აბსანძე თავის წიგნში „სრულიად საქართველოს გასაგონად":

„პრეზიდენტმა საქართველოში მისი ჩასვლის აუცილებლობა ასე დამისაბუთა:

დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძეს და მის ხუნტას დაგეგმილი აქვს აფხაზეთის ჩაბარება. ჩემი საქართველოში ჩასვლით ხელი უნდა შევუშალო ამ საზიზღარ ჩანაფიქრს. ერის გამთლიანებით და ქართული შეიარაღებული ძალების გაერთიანებით უნდა ვიხსნა აფხაზეთი ტრაგედიისაგანო."

ბატონი გურამი იხსენებს პრეზიდენტთან დიალოგს:

„შენ იცი, თუ რა სიბინძურეს და სიბილწეს ავრცელებს საქართველოში შევარდნაძის ხუნტა, თითქოს მე, ზვიად გამსახურდია, ვაგზავნიდე ჩეჩნებსა და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელ „ბოევიკებს" აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ. აფხაზეთის დაკარგვა საქართველოს დაკარგვას ნიშნავს. როგორ მიმიღებს მე ქართველი ერი, ჩემზე ამდენი დეზინფორმაციის გავრცელების შემდეგ, თუ მე ამ პროცესების შორიდან მაყურებლის როლში ვიქნები და მხოლოდ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ჩავალ საქართველოში"

მოჰყავს რა საქართველოში ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლის დამადასტურებელი დოკუმენტები, ბატონი გურამი წერს:

„როდესაც აღნიშნული წიგნის დასაწერად ვემზადებოდი, გადავქექე მთელი არქივი და მივაკვლიე არაერთ მასალას, ბატონი ზვიადის მიმართვებს, ინტერვიუებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც საქართველოში მისი ჩასვლის აუცილებლობასა და გარდაუვალობას ეხებოდა.

„მე, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტი, ჩემი ქვეყნიდან კომუნისტურ-მაფიოზური კრიმინალური ხუნტის მიერ ძალადობით განდევნილი, რომელსაც ფიცი მაქვს დადებული საქართველოს კონსტიტუციისა და მისი ინტერესების ერთგულებისა, ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ, გამცნოთ შემდეგი: დღეს უდიდესი საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და დგას ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი;

დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია ჩემი ყოფნა ჩემს

ხალხთან, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, სადაც მას ყველაზე მეტად უჭირს. ასეთი რეგიონია აფხაზეთი... მიუხედავად ჩემი არაერთგზის ცდისა, შევარდნაძის, იოსელიანის, ბათიაშვილის სამსახური მიქმნის ყოველგვარ დაბრკოლებებს, რათა ვერ ჩავიდე საქართველოში. შეგახსენებთ, რომ ჩემი ჩამოსვლა გამოიწვევს არა მარტო მოსახლეობის კონსოლიდაციას, არამედ სრული და საყოველთაო მობილიზაციის დაწყებას მთელი საქართველოს და განსაკუთრებით სამეგრელოს მასშტაბით აფხაზეთის ქართველების დასახმარებლად" („საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა სოხუმის, ოჩამჩირის და გალის ქართველი მოსახლეობისადმი" (1993 წლის 7 ივნისი. გაზ. „აღდგომა", 1993 წ. 13 ივნისი).

ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუში – „მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა იხსნის საქართველოს" – ვკითხულობთ: „...საქართველოში ჩემი ჩამოსვლა ხალხზე და ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელ მოძრაობაზეა დამოკიდებული და არა მხოლოდ ჩემს სურვილზე. მე მწამს, რომ ეს მალე მოხდება, მაგრამ თავს ვიკავებ კონკრეტული თარიღის დასახელებისაგან, ვინაიდან ეს ყოველივე უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. ყველას გასაგონად ვამბობ და ვაფრთხილებ ყველას: თუ უახლოეს ხანში არ მოხდება ჩემი ჩასვლა საქართველოში და კერძოდ სოხუმში, აფხაზეთი დაიკარგება და მაშინ მთელი პასუხისმგებლობა ამ დამარცხებისათვის ხუნტას დაეკისრება. აფხაზეთის დაკარგვა კი საქართველოს დაკარგვას ნიშნავს" (გაზ. „აღდგომა", 1993 წ. 21 ივლისი, №24).

და ბოლოს, პრეზიდენტის კიდევ ერთი სიტყვა, წარმოთქმული ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე თავმოყრილი ასი ათასი ქართველის წინაშე: „ძვირფასო თანამემამულენო! ძმანო და დანო! მე, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი, დავბრუნდი სამშობლოში და განვაგრძობ ერის წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებას. მე ვხედავ საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას, მე ჩამოვედი არა მხოლოდ იმიტომ, რომ შევასრულო ჩემი თანამდებობრივი მოვალეობა, არამედ იმისათვის, რომ სათავეში ჩავუდგე ეროვნული ხსნის მოძრაობას"

ასე ფიქრობდა საქართველოდან განდევნილი მისი პირველი პრეზიდენტი და დღენიადაგ ემზადებოდა სამშობლოში დასაბრუ-

ნებლად. ამზადებდა სიტუაციას, ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს, საქართველოს მოსახლეობას უგზავნიდა მიმართვებს, აკეთებდა განცხადებებს.

შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო საქართველოს პრეზიდენტმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ის მოიქცა ისე, როგორც ეკადრებოდა ერის წინამძღოლს, ერის ლიდერს.ის აგენტებისა და მოღალატე „თანამებრძოლებისაგან" ჩამოტყუებული პრეზიდენტი კი არა, სამშობლოსა და ფიცის ერთგული პრეზიდენტია, რომელმაც არ მიატოვა გაჭირვებაში მყოფი თავისი მშობელი ხალხი. იგი მოტყუებით, სხვის ჭკუაზე და ნებაზე სიარულით, შემთხვევით კი არ აღმოჩნდა საქართველოში, არამედ თავად, თავისი ურყევი ნებით მიიღო გადაწყვეტილება და სრულიად შეგნებულად გადადგა ეს ნაბიჯი. ბატონმა ზვიადმა იცოდა, სად და რისთვის მიდიოდა. ის ჩამოვიდა საქართველოს გადასარჩენად და ფიზიკურად შეეწირა მას. შეეწირა, მაგრამ არ დამარცხებულა, ეროვნული გმირები არ კვდებიან, ისინი თავის ხალხში, თავის თანამოაზრეებში განაგრძობენ არსებობას და ბრძოლას. ბატონ ზვიადს სხვანაირად არ შეეძლო,მაშინ ის აღარ იქნებოდა ზვიადი.

ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რისთვის ჩამოვიდა ბატონი ზვიადი საქართველოში. მაშ რა ხდება, ძვირფასო თანამემამულენო, ჩვენს თავს? ვის სჭირდებოდა ან სჭირდება ბატონი ზვიადის საქართველოში ჩამოტყუების თეორიის შემუშავება? მსგავსი დეზინფორმაციები განკუთვნილია მიამიტი ადამიანებისათვის.

აღნიშნული თეორიის შემუშავებით და ხალხში გავრცელებით შევარდნაძის რეჟიმი ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს: პირველი – შეურაცხყოფას აყენებს საქართველოს პირველ პრეზიდენტს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს. მეორე – პოლიტიკურ სარბიელს უკეტავს პრეზიდენტის ერთგული კანონიერი ხელისუფლების იმ ლიდერებს, რომლებსაც შესწევთ ძალა გააგრძელონ ბატონი ზვიადის მიერ დაწყებული საქმე. მიამიტ ადამიანებს თავს ახვევენ პრიმიტიულ, მაგრამ შორს გამიზნულ მზაკვრულ აზრს: პრეზიდენტი მკვდარია, ხოლო მის გარემოცვაში ყველა მოღალატენი და პრეზიდენტის მკვლელები არიან. ზვიადის მკვლელებს და მოღალატეებს რა უფლება

აქვთ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე ილაპარაკონო. ჩვენი მოსპობით ისინი თავიანთ უკანონო არსებობას იხანგრძლივებენ. რანაირ პარადოქსადაც არ უნდა მიგაჩნდეთ ეს, ამას ისინი აკეთებენ ე.წ ჩვენიანების ხელით"

თუ რას ნიშნავდა ზვიად გამსახურდიასათვის საქართველოში ჩამოსვლა, თუ როგორი იყო „ჩამოტყუებული" პრეზიდენტის სულიერი განცდა სამშობლო მიწაზე ფეხის დადგმისას, ამას ამაღელვებლად გვიხატავს ბატონი გურამი თავის მოგონებებში:

„...ჩვენთან ერთად ჩამოვიდა, აგრეთვე, დაცვის ორი წევრი, ხოლო ორი ჩვენი თანამემამულე მფრინავი იმავე თვითმფრინავით დაბრუნდა გროზნოში. უცბად შევედით სენაკის გვარდიის ეზოში. პრეზიდენტმა გამიხმო გვერდზე. მარჯვენა ხელი ჩამჭიდა მარცხენაზე, დაიჩოქა და მიწას აკოცა. თავი ასწია და მითხრა:

– გურამ, აქედან გინდოდა ჩემი უკან გაბრუნება?

ბატონი ზვიადი რომ წამოდგა, დიდი სიამაყის გრძნობით ვუთხარი:

– დღეს დედამიწაზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადის!

მან ღიმილით მიპასუხა:

– ჩემო გურამ, დღეს მე ვარ ყველაზე ბედნიერი კაცი მთელს ქვეყანაზე" (იხ. „ყოველკვირეული ალია", №13, 2001 წ.).

იმ „პიროვნებებს", რომლებიც სისხლიანი ხელისუფლების დაკვეთით დევნილი კანონიერი ხელისუფლების და პირადად მის დისკრედიტაციას ეწევიან ცრუ ინფორმაციების გავრცელების გზით, ბატონი გურამ აბსანძე მიმართვს: „...მე, ისევე, როგორც დევნილი კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა უდიდესმა ნაწილმა, საქართველოს სიყვარულს, ზვიადის იდეას, მისადმი პირად პატივისცემას და ერთგულებას შევწირე ყველაფერი, რაც გამაჩნდა. ჩემთვის საქართველო სალოცავი ხატია, ამის გამო საკუთარ თავს და ოჯახს ბევრი რამ დავაკელი. ღრმად მწამს, თუ ადამიანი ასე არ მოიქცევა, მისი სიტყვები სამშობლოს სასიყვარულოდ ნათქვამი, ყალბად ჩაითვლება, თვითონ კი – დასაცინად. სამშობლოს სიყვარული, იდეისა და რწმენისადმი ერთგულება მსხვერპლს მოითხოვს, რომლის გაღებაც უნდა შეგეძლოს. მე გავიღე ეს მსხვერპლი, რის გამოც არ დამკლებია – დაჭრა, საპყრობილე, შეურაცხყოფა,

ცილისწამება, დევნა, ტანჯვა, ოჯახური უბედურება.

დამრჩა ერთადერთი – ღირსება, რომლის წაგლეჯაც უნდათ ამ უწმინდურებს, მაგრამ ვერ ეღირსებიან, ვერა!" (იხ. „ყოველკვირეული ალია", №15, 2001 წ.).

<u>სახელმწიფო გადატრიალების მიზეზთა შესახებ</u>

1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის კრიმინალურ-ბოლშევიკურმა გადატრიალებამ სათავე დაუდო საქართველოს უახლესი ისტორიის სისხლიან პერიოდს, რომელმაც ქვეყანა ააცდინა ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზას და არნახული უბედურება მოუტანა მის მოსახლეობას. „დემოკრატიის" ნიღბით მოსულმა რევანშისტ-კომუნისტებმა საქართველოს თავს მოახვიეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არადემოკრატიული ხელისუფლება, რომლის მიზანს დღემდე წარმოადგენს პირადი გამორჩენა, გამდიდრება, ხალხისა და სახელმწიფო ქონების მითვისება... პუტჩისტთა მიზნებს შეეწირა ათი ათასობით ქართველის სიცოცხლე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, ზნეობა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები...

საქართველოს შინაურ მტრებს სისხლიან გადატრიალებაში ზურგს უმაგრებდნენ იმპერიული ძალები, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სვლას თავისუფლებისა და აღმშენებლობისაკენ.

პუტჩის წინა დღეებში ბატონი გურამი ყაზახეთის დედაქალაქში, ალმა-ათაში იმყოფებოდა. როგორც ვიცით, 1991 წლის 21 დეკემბერს ამ ქალაქში წყდებოდა სსრკ-ის დაშლისა და მისი სახეშეცვლილი იმპერიული ვარიანტის – დსთ-ს შექმნის საკითხი. ამდენად, საინტერესოა გ.აბსანძის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა მოვლენები უძღოდა წინ საქართველოს დედაქალაქში განხორციელებულ პუტჩს და როგორ წარმოაჩენენ მას „სამართალდამცავი" ორგანოები:

„ამბობენ, ქაღალდი ყველაფერს იტანს, ის არ წითლდება, მაგრამ

მას, ვინც ეს ბრალდება შეთხზა, ჭკუის ნატამალი და სინდისი არ გააჩნია, აცხადებდა გ.აბსანძე სასამართლო პროცესზე, – ხუნტის პროკურატურის მტკიცებით, თურმე 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულება კი არ მომხდარა, არამედ საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონფლიქტი გამწვავებულა და შეიარაღებული შეტაკების პროცესში ხელისუფლება გაქცეულა.

დაუკვირდით, თუ რა მარტივი, პრიმიტიული და მათთვის სასარგებლო ახსნა მოუძებნა ამ ე წ. ხუნტის პროკურატურამ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობას. ხალხის გაბრიყვებით, მომავალი თაობისთვის ცრუ ისტორიის შექმნით სულიერად დეგრადირებული ეს ხელისუფლება ცდილობს მიჩქმალოს ეს უმძიმესი დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა ერის წინაშე. მას სურს ბინძური მეთოდების გამოყენებით შექმნას მის მიერ ჩადენილი ამ დანაშაულის გამამართლებელი ყალბი დოკუმენტები.

ავაზაკებო!, – გვრგვინვასავით გაისმოდა მისი ხმა სასამართლოზე, – კანონიერი ხელისუფლება კი არ გაქცეულა, არამედ განიდევნა საქართველოდან პუტჩისტების მიერ უცხო ძალის გამოყენებით. 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მოხდა სამხედრო კრიმინალური გადატრიალება – პუტჩი. კრიმინალურმა ბანდამ ომი გამოუცხადა არა მარტო ზვიად გამსახურდიას და მის ხელისუფლებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობას, მის სამართლიანობას. გავიხსენოთ, როდის დაიწყეს პუტჩისტებმა მოქმედება? 1991 წლის 22 დეკემბერს, დილით, რვის ნახევარზე. რატომ მაინცდამაინც 22 დეკემბერს და არა 15 ან 20 დეკემბერს? იმიტომ, რომ ურჯულოები ელოდნენ 21 დეკემბერს. ამ დღეს ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში წყდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლისა და დსთ-ს შექმნის საკითხი. თუ საქართველოს ხელისუფლება ხელს მოაწერდა დსთ-ში შესვლას, მაშინ არავითარ გადატრიალებას არ ექნებოდა ადგილი. პირადად ვიღებდი მონაწილეობას ალმა-ათის თათბირში და ვიცი, რაც ხდებოდა.

რუსეთის პრეზიდენტმა ბ.ელცინმა ოფიციალური თათბირის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სპეციალურად შეკრიბა მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურები და ილაპარაკა საქართველოში ადამიანთა

უფლებების „დარღვევაზე", გამსახურდიას „დიქტატორულ რეჟიმზე" და ა.შ. ამას მოჰყვა ჩემი და ნემო ბურჭულაძის საპროტესტო გამოსვლები მის წინააღმდეგ, რომელიც სერიოზულ კამათში გადაიზარდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ელცინმა გვაგრძნობინა, თუ დსთ-ში არ შეხვალთ, თქვენი ხელისუფლების დღეები დათვლილიაო. საქართველოში ელოდნენ სიგნალს მოსკოვიდან. 22 დეკემბერს მიიღეს ეს სიგნალიც და დაიწყეს პუტჩი. კანონიერი, მაგრამ რუსეთისა და დასავლეთისათვის მიუღებელი, ურჩი ხელისუფლების წინააღმდეგ...

22 დეკემბერს ბატონ ზვიადს ორჯერ ველაპარაკე ალმა-ათიდან იგი გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას, იცოდა რუსეთისა და დასავლეთის განზრახვაც. ალმა-ათის შეხვედრაზეც იგრძნობოდა, რომ საქართველოში მოსალოდნელი იყო სახელმწიფო გადატრიალება. ჩემი ღრმა რწმენით, საკითხი შეთანხმებული იყო მოკავშირე რესპუბლიკების თითქმის ყველა პირველ პირთან. ეს ჩანდა მათი დამოკიდებულებით ჩვენდამი. მეტიც, ელცინმა საქართველოში ადამიანის უფლებებზე ლაპარაკის დროს არაერთხელ დაიმოწმა უცხოელი ექსპერტები ეს იმას ნიშნავდა, რომ პუტჩს მწვანე შუქი მისცა დასავლეთმა. ამ თათბირზე საქართველო მონაწილეობას ღებულობდა დამკვირვებლის სტატუსით. ქვეყანას წარმოვადგენდით მე და ბატონი ნემო ბურჭულაძე. თათბირზე გადაწყდა, რომ დსთ-ში შემავალ ქვეყნებს გაეროში გაწევრიანებაზე რეკომენდაციას გაუწევდნენ რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია (როგორც გაეროს წევრი ქვეყნები) და მათ ყველას ერთდროულად მიიღებდნენ გაეროში. საქართველო რეკომენდაციის გარეშე დარჩა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სხვა ქვეყნების მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებაში. პუტჩის დაწყებიდან მე-6 დღეს საქართველო უკვე ცნო 36 ქვეყანამ, მათ შორი აშშ-მ.

...22 დეკემბერს, დილით, დაახლოებით 6 საათსა და 30 წუთზე ვიყავით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. მოვახსენეთ საქმის ვითარება. ამავე დროს გადავეცით ბორის ელცინის ტელეფონი და თხოვნა – თუ საჭიროდ ჩათვლიდა, დაერეკა მისთვის (ჯერ კიდევ არ იყო გვიან), რომ „საქართველო მზად არის დსთ-ში შესვლაზე"

ზუსტად მინდა გადმოგცეთ ის სიტყვები, რაც ბატონმა ზვიადმა ბრძანა ამ საკითხთან დაკავშირებთ:

„ჩემო გურამ და ნემო! ქართველ ერს დაუდგა ის ნანატრი დღე, რომელსაც ჰქვია დამოუკიდებლობის მოპოვება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რისთვისაც ჩვენი ღირსეული წინაპრები იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ, მათ შორის მეც. მთელი ჩემი ცხოვრება შევალიე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება, ძალაუფლების დაკარგვის შიშით, სამშობლოს ღალატის ტოლფასად მიმაჩნია. ჩვენ არ შევალთ დსთ-ში (ხელში ეკავა ჩვენს მიერ ალმა-ათიდან ჩამოტანილი დსთ-ს წესდება, მას ეცნობოდა და ისე ლაპარაკობდა, შემდეგ წამოდგა). იქ შესვლა ნიშნავს ქართველი ერის თვალში დამოუკიდებლობის იდეის სრულ დისკრედიტაციას, აღორძინებული ეროვნული სულის განადგურებას. უბედნიერესი კაცი ვარ, რომ მე მერგო ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამიტომ არსად დამრეკავი არა ვარ. მე ვიცი რუსეთისა და დასავლეთის განზრახვაც, მაგრამ ამავე დროს დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ისინი ისეთ დასაყრდენ ძალას ვერ მოძებნიან საქართველოში, რომელიც ქართველი ერის, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ულმობლად გაილაშქრებს. თქვენ წადით სახლში, დაისვენეთ და საღამოს გამოდით.

ბატონი ზვიადი იდგა კლდესავით, მისი სიტყვა იყო შეუვალი. ყოველივე ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ იმ წუთიდან გადავწყვიტე რაც არ უნდა მომხდარიყო, არ მოვშორებოდი გვერდიდან, ვინაიდან ვგრძნობდი მოახლოებულ საშიშროებას. ჩვენ სახლში არ წავსულვართ. დაახლოებით ორმოც წუთში დაიწყო უზენაესი საბჭოს შენობაზე შეტევა. ჩვენს მიერ ძალაუფლების დაკარგვის ფაქტი, არ შეიძლება ხელისუფლების სისუსტეს მიეწეროს. ეს იარაღით მოსული ხელისუფლების მონაჭორია. კანონიერი ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით აღმოჩნდა გამოუვალ მდგომარეობაში. მას უნდა დაეთმო ძალაუფლება, ან ქვეყნის დამოუკიდებლობა და მან არჩია პირველი ამით დაკარგა ძალაუფლება, მაგრამ ერს იმ ეროვნული იდეისადმი რწმენა – ქვეყნის დამოუკიდებლობა, რომელსაც ქართველთა მთელმა თაობებმა თავი შესწირა, შეუნარჩუნა. ეს მომენტია აქ მთავარი და არა ხელისუფლების დაკარგვა."

ასე იცავდა ბატონი გურამი ცრუ ბრალდებებისგან კანონიერ

ხელისუფლებას, ჭეშმარიტებას და არა საკუთარ თავს.

„...ჩვენ ვიცით და გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები იმის თაობაზე. – აგრძელებდა ის პუტჩის მომწყობთა მხილებას, – თუ ვინ, როდის, რისთვის, რა მიზეზითა და მოტივით დაგეგმა საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება (რომელსაც უახლოეს მომავალში გავაცნობთ საქართველოს მოსახლეობას), მაგრამ აუცილებელია ავხსნათ, თუ რა ძალებს ეყრდნობოდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები საქართველოში. ჩემი აზრით, ესენია:

– კომუნისტ-რევანშისტები და კრიმინალ-ფუნქციონერები;

– ცრუეროვნული მოძრაობა (სუკის მიერ შექმნილი პარტიები თუ შემოგზავნილი აგენტები);

– ზვიად გამსახურდიას მიმართ შურითა და სიძულვილით შეპყრობილი პოლიტიკური ძალები თუ პიროვნებები;

– საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პრივილეგიადაკარგული წითელი ინტელიგენცია;

– საბჭოთა კავშირის სუკის შემორჩენილი აგენტურა;

მათ შორის იყვნენ სამართლიანად და უსამართლოდ განაწყენებულები;

– ე.წ. ოპოზიციის მიერ იდეოლოგიურად მოწამლული, მოტყუებული, მიამიტი ადამიანები;

ამ ძალების ინტერესთა ერთიანობა მოქმედებაში მოიყვანა რუსულმა იმპერიულმა მანქანამ და დასავლურმა ფსევდოდემოკრატიამ, რომლისთვისაც უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლა და მათ მიერ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის დეკლარირება. რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ სურდა თავისი გავლენის სფეროდან საქართველოს გაშვება, ხოლო დასავლეთს არ აწყობდა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პერსპექტივა. მათ გეგმაში ამ ეტაპზე არ შედიოდა სსრკ-ს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლა, ამიტომ გახდა შესაძლებელი ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა.

რატომ აღუდგნენ წინ საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოთა

ლიდერები?!

როგორც ზევით მივუთითეთ, ამის მიზეზი გახლდათ: საქართველოს ნება დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობისა. აშკარა იყო, რომ ჩვენ მივისწრაფოდით დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებისკენ, არ დავემორჩილებოდით სხვა სახელმწიფოების დიქტატს. ჩვენ არ დავუშვებდით საქართველოს ხელახლა კოლონიად გადაქცევას. ყველა საკითხის გადაწყვეტისას, იქნებოდა ეს საშინაო, საგარეო, საფინანსო, ეკონომიკური თუ სხვა – ვიხელმძღვანელებდით მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესებით.

ჩვენთვის მიუღებელი იყო ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების უგულებელყოფა. საქართველო გადაქცევა გასაღების ბაზრად, მით უმეტეს, ბანანის რესპუბლიკად. გადატრიალების შემდეგ ამ პრინციპებზე ხელის აღების, მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველოში, ფაქტიურად, მოსპობილი იქნა ეროვნული წარმოება.

დასავლეთს აინტერესებს საქართველო, როგორც სატრანზიტო დერეფანი. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა იძლევა იმის საშუალებას, რომ თითქმის ორჯერ შემცირდეს ევროპიდან აზიამდე ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება. პოლიტიკური თვალსაზრისით, ვინც ფლობს კავკასიას – ის ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც.

რაც შეეხება რუსეთის ინტერესებს კავკასიაში, იგი ყველასათვის ცნობილია – სურს კავკასია დარჩეს მისი გავლენის სფეროში. სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია წარმოადგენს ხიდს ევროპასა და აზიას შორის და მისი ფლობის ამ შესაძლებლობას მუდამ შეეცდება. ამისათვის ცარისტული იმპერიაც იბრძოდა, სსრ კავშირიც და „დემოკრატიული" რუსეთიც.

კანონიერი ხელისუფლების დამხობას ჩქარობდა როგორც შინაური, ისე გარეშე მტერიც. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ჩვენი ხელისუფლება დროის გარკვეულ პერიოდში გაძლიერდებოდა. საქართველოს სახელმწიფო 1991 წელს ჰგავდა ახალფეხადგმულ ბავშვს, რომელიც დამოუკიდებლად სიარულს ძლივს ახერხებს. ჩვენ ვერ მოვასწარით სრულყოფილი სახელმწიფო სტრუქტურების

ჩამოყალიბება, ამისათვის დრო არ გვეყო. მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა ფინანსური რესურსები, ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელები ვერ იყენებდნენ ამ შესაძლებლობას. ზოგიერთი პიროვნება, რომელსაც კონკრეტულად სამსახურებრივად ევალებოდა ასეთი სამუშაოს ჩატარება, მოღალატე ან არაპროფესიონალი გამოდგა."

პროცესზე ბატონმა გურამმა ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა 6 იანვრის შემდეგ სახელმწიფო ვაკუუმის შექმნის ცრუ „თეორიას":

„საქართველოში სამხედრო -კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, მართველობაში არავითარი ვაკუუმი არ წარმოშობილა. ხუნტამ ჯერ კიდევ 2 იანვრიდან 4 იანვრამდე ჩამოაყალიბა „სამხედრო საბჭო" – ახალი მმართველობის ორგანო, რომლის განკარგულებითაც, რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, დათხოვნილი იქნა კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელობა, შეჩერებული იქნა კონსტიტუცია და ა.შ. 1992 წლის 6 იანვარს კი ისე შეცვივდნენ უზენაესი საბჭოს და მთავრობის შენობებში და მოკალათდნენ სახელისუფლებო სავარძლებში, რომ იქიდან გამოსვენებულიც არ იყო მათ მიერ დახოცილ ქართველ ვაჟკაცთა ცხედრები. საიდან ჩანს მათ მოქმედებაში ხელისუფლებაში არეული ვაკუუმის შევსება?!"

რაც შეეხება ხუნტის პროკურატურის მტკიცებას – 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ საყოველთაო და თანასწორუფლებიანი საარჩევნო პრინციპების დაცვით აირჩია საქართველოს პარლამენტი და შექმნა ლეგიტიმური ხელისუფლება", – ბატონმა გურამმა ქვა-ქვაზე არ დატოვა.

„ჯერ ერთი, – ამბობდა ის, – როგორ შეიძლება ვუწოდოთ პარლამენტს და პრეზიდენტს ლეგიტიმური, როცა მათი არჩევნები დანიშნა არალეგიტიმურმა, არაკონსტიტუციურმა ორგანომ, სამხედრო ხუნტის მემკვიდრე სახელმწიფო საბჭომ?

მეორეც, არჩევნები „ჩატარდა" აფხაზეთის ომის მიმდინარეობის პერიოდში.

მესამეც, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ხელისუფლების კანონიერად მოპოვების გზა არჩევნებია. 1992 წლის 2 იანვარს რომელი ლეგიტიმური არჩევნების გზით მოვიდნენ პუტჩისტები

ხელისუფლებაში?!

მეოთხეც, რა იურიდიული, კანონიერი და სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტის საფუძველზე მოექცა ე.შევარდნაძე ქვეყნის სათავეში? ვინ შექმნა „სახელმწიფო საბჭო"? ვინ დანიშნა მისი წევრები?

აი, ამ ხალხზე, ე.შევარდნაძის მეთაურობით, უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე საშშობლოს ღალატის, ტერორიზმის, ბანდიტიზმის და ა.შ. ბრალდებით და არა კანონიერი ხელისუფლების პრეზიდენტსა და ხელმძღვანელებზე."

ამდენად, სასამართლო განხილვის პირველივე ეტაპზე გურამ აბსანძემ მის წინააღმდეგ შეთითხნილ ბრალდებებზე აგებული პროცესი აქცია ხელისუფლების სასამართლოდ:

„ასეთი პროკურატურის, სასამართლოს და სხვა დეგრადირებული სამართალდამცავი ორგანოების არსებობამ განაპირობა, – აგრძელებდა ის, – რომ საქართველოს მმართველი სისხლიანი ხელისუფლება გახდა ბრალმდებელიც და მოსამართლეც ერთდროულად. ეს ერის უბედურებაა."

<u>აფხაზეთის ომთან დაკავშირებული ცრუდაპირებებიც უკუგდებულია</u>

აფხაზეთის ტრაგედია!.. რომელი ჭეშმარიტი მამულიშვილი შეიძლება გულგრილი იყოს იმ უბედურების მიმართ, რაც ე.შევარდნაძის ხელისუფლებამ თავს დაატეხა ჩვენს საშშობლოს აფხაზეთში ინსპირირებული სისხლიანი კონფლიქტით და ამ კუთხის საქართველოდან ჩამოშორებით! ფაქტობრივი ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებანი, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, ერთ-ერთი უმთავრესი საგანი იყო იმ ბრალდებებისა, რაც ბატონმა გურამ აბსანძემ სასამართლო სხდომებზე წაუყენა ე.შევარდნაძეს და ფაქტობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებს ამის შესახებ გ.აბსანძეს არაერთხელ განუცხადებია პრესის ფურცლებიდანაც.

ვნახოთ, თუ რას ამბობს იგი ამ საკითხთან დაკავშირებით:

„უკანონო ხელისუფლებისა და მისი ჯიბის პროკურატურის

ცინიზმს ზღვარი არა აქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, აფხაზეთში ომის დაწყებას ისინი ჩვენ, დევნილ კანონიერ ხელისუფლებას გვაბრალებენ. მათი ამგვარი მცდელობის დამადასტურებლად მინდა მოვიყვანო საქმის მასალებიდან კიდევ ერთი ეპიზოდი:

„გამომძიებელ ა.ხვადაგიანის კითხვა ბრალდებულ გ.აბსანძეს: წარმოგვედგინათ ზ.გამსახურდიას 1993 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოს შს მინისტრის დანიშვნის შესახებ. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ 1993 წლის 26 სექტემბერს, ე.ი. სოხუმის დაცემის წინა დღეს ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება? ეს ფაქტი მიანიშნებს თუ არა იმ გარემოებაზე, რომ გამსახურდია, ნათლად ხედავდა რა მის მიერ დაგეგმილ აფხაზეთის ომში ფაქტობრივი ხელისუფლების სამხედრო კრახის მოახლოებას, ყოველმხრივ ემზადებოდა შემდგომში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად?

აბსანძის პასუხი: შეკითხვა გასაგებია. მიმაჩნია, რომ ეს არის პროვოკაციული შეკითხვა. მასზე პასუხის გაცემა შეურაცხყოფად მიმაჩნია" (ტომი7.1; ფ.319).

ასეთი შეკითხვის დამსმელი გამომძიებელი ხომ წმინდა წყლის პროვოკატორი, ნაძირალა და ავაზაკია?! იგი მოქმედებს უკანონო ხელისუფლების ხელმძღვანელთა კარნახით, იმ ხელისუფლების კარნახით, რომელმაც დაიწყო აფხაზეთის ბინძური ომი და მისი დაწყებასურს გადააბრალოს ზვიად გამსახურდიას, კაცს, რომელიც იმ პერიოდში იმყოფებოდა ემიგრაციაში. საინტერესოა, ეს „პაპუასები" რა პასუხს გასცემენ შემდეგ შეკითხვებს: როგორ შეეძლო ზვიად გამსახურდიას დაეგეგმა ან განეხორციელებინა აფხაზეთის ომი?! იქნებ დაერეკა შევარდნაძისთვის და დაევალებინა აფხაზეთში ჯარის შეყვანა? იქნებ კიტოვანისთვის მიეცა ბრძანება აფხაზეთში შეჭრის შესახებ? სისხლიანი ხელისუფლება არაფერს ერიდება იმისთვის, რომ აფხაზეთის ომის დაწყება, ამ ომში სამარცხვინო დამარცხება და ამის გამო მიღებული უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შედეგები გადააბრალოს დევნილ კანონიერ ხელისუფლებას და საქართველოს პირველ პრეზიდენტს."

...თიბილისის 7 წელია გასული სისხლიანი ხელისუფლების მიერ

პროვოცირებული აფხაზეთის ომის დაწყებიდან, – ამბობდა გურამ აბსანძე 1999 წელს, – სულ მალე აფხაზეთიდან ქართველების განდევნის 6 წელი შესრულდება. სისხლიან ხელისუფლებას სურს, დავიწყებას მისცეს იმ ხელმძღვანელთა სახელები, რომლებმაც ქართველი ერის წინაშე უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს. მაგრამ ქართველმა ხალხმა იცის, რომ აფხაზეთის ომის დაწყებისათვის და ამ ომში დამარცხებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ე.წ. პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ე.წ. პრეზიდენტს, რომელიც ამავე დროს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც ბრძანდებოდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკანონო ხელისუფლების მიერ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ჯარის შეყვანას, რომელიც მათივე ხელშეწყობით ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა, საშინაო პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად, ვინაიდან იმ დროს საქართველოს მართავდა სისხლიანი გადატრიალების გზით მოსული უკანონო ხელისუფლება, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა კანონიერ პრეზიდენტს და ხელისუფლებას უჭერდა მხარს. ხუნტამ პატრიოტული აჟიოტაჟის შექმნის გზით, მიზნად დაისახა თავის გარშემო შემოეკრიბა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რასაც უნდა მოჰყოლოდა საქართველოს მოსახლეობის ყურადღების გადატანა თითქოსდა აფხაზების წინააღმდეგ წამოწყებულ ომზე, კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს შორის შუღლის და განხეთქილების ჩამოგდება და საბოლოო ჯამში მათი განადგურება. ამ ომით უნდა გადაჭრილიყო „ზვიადიზმის პრობლემა" საქართველოში. ეს საკითხი შეთანხმებული იყო რუსეთის ხელმძღვანელობასთან. მეტიც, მათთან შეთანხმების თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალები გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ. ხუნტისთვის ხელისუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ. სისხლიანი ხელისუფლება მზად იყო: 1. დაეთმო აფხაზეთი; 2. საქართველო შესულიყო დსთ-ში; 3. დაეკანონებინა 25 წლის ვადით რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა საქართველოში. ყველა პირობა ორივე მხრიდან პირნათლად შესრულდა. რუსებმა აფხაზებთან საზღვარი დაგვიწესეს მდინარე ენგურთან,

საქართველო გახდა დსთ-ს წევრი, შევარდნაძემ ხელი მოაწერა რუსეთის სამხედრო ბაზების 25 წლის ვადით საქართველოში დატოვების შესახებ ხელშეკრულებას. რუსებმაც, პირველად თავიანთი სახელმწიფოს არსებობის მანძილზე, შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მათ 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს ფოთში გადმოსხეს 3000–კაციანი დესანტი ბალტინის მეთაურობით, აგრეთვე ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სპეცდანიშნულების დივიზიის, ე.წ. „მფრინავი ღამურების" დაქირავებული პროფესიონალი მკვლელები.

სისხლიანი ხელისუფლების უუნარობა და სურვილის არქონა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისა, დევნილების დაბრუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა – აი, ეს არის აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებული ყველა უბედურების თავი და თავი. ის შეხვედრები, რომლებიც ჩატარდა აფხაზურ მხარესთან, არაფრის მომცემი, დევნილთა მოსატყუებელი ბლეფი გამოდგა. შედეგიც ნულოვანი მივიღეთ. ყველა დადგენილება, ხელშეკრულება თუ სხვა დოკუმენტი, რომელიც მიიღეს და ხელი მოაწერეს აფხაზეთთან დაკავშირებით და აფხაზურ მხარესთან, ქართველ ერს შეურაცხყოფს. სხვათა შორის, ქართველი მხარის მიერ ხელმოწერილ ერთ-ერთ დოკუმენტში პირდაპირ მითითებულია – იმ ქართველ ვაჟკაცებს, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ აფხაზ სეპარატისტებს, აფხაზეთში დაბრუნების უფლება არა აქვთ.

სისხლიანი ხელისუფლება აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის ნაცვლად საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ზრუნავს. ერის ინტერესების გამყიდველური პოლიტიკის გასამართლებლად ტყუილებით კვებავს ხალხს, იდეოლოგიურად წამლავს მოსახლეობას, მიმდინარეობს მათი გაბრიყვებისთვის შეგნებული, მიზანმიმართული მუშაობა. ამის ნიმუშად გამოდგება გალის ტრაგედიის შემდეგ ე.შევარდნაძის მიერ სხვადასხვა შეხვედრებზე გამოთქმული „ბრძნული" აზრები. აი, რა ბრძანა მან უნივერსიტეტის საიუბილეო სხდომაზე: „მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ არ ჩამერთო გალის კონფლიქტში არმია, რადგან ეს მიგვიყვანდა ფართომასშტაბიან ომთან, საქართველოსთვის ძალზე

მძიმე შედეგებით, თუ ამ გადაწყვეტილებას ქართველი ხალხი არ გაიზიარებს, მაშინ მზად ვარ, როგორც პრეზიდენტმა პასუხი ვაგო"

ვეკითხები საქართველოს შეიარაღებული ძალების ე.წ. მთავარსარდალს, როდის უნდა გამოიყენო ქვეყნის შეიარაღებული ძალები, თუ არა შენს ტერიტორიაზე შემოჭრილი მტრის მოსაგერიებლად და საკუთარი მოსახლეობის სიცოცხლის დასაცავად?

საქმე ის არის, რომ საქართველოს შეიარაღებული ძლების ე.წ უმაღლესი მთავარსარდალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალას, ქართულ არმიას იყენებს მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, ქართველი ერის მისთვის მიუღებელი ნაწილის გასაჟლეტად, თუ ისინი დაემუქრებიან მის უკანონო ხელისუფლებას.

საქართველოს ე.წ. პრეზიდენტის და უმაღლესი მთავარსარდლის „საომარმა პოლიტიკამ" 1992-93 წლებში და მის შემდგომაც ათი ათასობით ქართველი შეიწირა. ვინ, როდის და რა ფორმით უნდა აგოს პასუხი ამაზე?! მათი უმეტესობა დაუოჯახებელი ყმაწვილი იყო, ეს ხომ ერის გენოციდია?!

საქართველოს უკანონო ხელისუფლებას არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოში არ დაუფიქსირებია და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მათ მიერ სამშვიდობო მისიის შესრულება მიუკერძოებელი იყოს. ამ შეკრულ წრეში საინტერესო ის გახლავთ, რომ აფხაზეთის ავანტიურა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთად დაიგეგმა საქართველოს სისხლიანი ხელისუფლებისა და რუსეთის მიერ. ამიტომ ქართული მხარე ვერ ამხელს მას, როგორც აფხაზეთის ომის ნამდვილ ავტორს, რადგან საპასუხოდ რუსებიც წარმოაჩენენ ქართული მხარის ნამდვილ სახეს. რაც შეეხებათ რუსეთის მშვიდობისმყოფელებს, ეს ძალა უკანონო ხელისულებას სჭირდება დევნილი კანონიერი ხელისუფლების დასათრგუნად, მისი კანონიერი პროტესტის შესაკავებლად. ამიტომ ხდება „სამშვიდობო" ძალებისათვის მანდატის პერიოდულად გაგრძელება აბსურდული მოსაზრებებით. ამასობაში რუსეთმა „სამშვიდობო" ძალები რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ჯარად აქცია."

მთავარი ბრალდების შესახებ

გურამ აბსანძეს 1998 წლის 9 თებერვალს ე.შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილი „ტერაქტის" ორგანიზება დააბრალეს. თუ რამდენად აბსურდული გამოდგა აღნიშნული ბრალდება, ეს თვით ე.შევარდნაძის პროკურატურამაც აღიარა. მაგრამ ბატონ გურამს სხვა დამოკიდებულება აქვს აღნიშნულ შეიარაღებულ ოპერაციასთან. ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ ე.შევარდნაძის ხელისუფლებას თავისი დანაშაულებრივი არსით, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული პოლიტიკით თვითონ გამოაქვს განაჩენი საკუთარი თავის მიმართ და მომხდარი „ტერაქტებიც" საპასუხო რეაქციაა იმ ტირანიასა და ძალადობაზე, რითაც ცდილობს ფაქტობრივი ხელისუფლება სიცოცხლის გახანგრძლივებას. ესაა სამაგიეროს მიგება ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის.

გურამ აბსანძის დამოკიდებულება ზემოთ ხსენებული „ტერაქტის" მიმართ სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს. კერძოდ, იგი აღნიშნავს:

„საქართველოში დატრიალებულ ყველა ტრაგედიას საფუძვლად 1991–92 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება უდევს.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი დესტაბილიზაციის წყარო უსამართლობაა. უსამართლობამ ააღებინა გოჩა ესებუას და მის თანამოაზრეებს იარაღი ხელში. თითქმის ყველა, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა 9 თებერვლის მოვლენებში, აცხადებს. რომ მათ ქმედებას საფუძვლად ედო რწმენა. წარმოიდგინეთ, ბატონებო, 15-20 კაცი სიკვდილს აწერს ხელს. იმ პერიოდში, როცა მათ გადაწყვეტილება მიიღეს, აღნიშნული დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული, ესეც არ ყოფილიყო, ვინ არის დაზღვეული, რომ ასეთი ოპერაციის ჩატარების დროს ცოცხალი გადარჩები? მათ თავი განწირული ჰქონდათ. რისთვის? ვისთვის? გურამ აბსანძისთვის? არა, ბატონებო, მათ უფრო ამაღლებული იდეალები ამოძრავებდათ, ისინი ვერ შეეგუენ ამდენ ბოროტებას და უსამართლობას, ზოგად ქართულ ტრაგედიას და, განსაკუთრებით, ე.შევარდნაძის მითითებით სამეგრელოს ხუთგზის „დალაშქვრას", ამ ჯალათების მიერ კოლხეთის

სასამართლო პროცესზე

უძველესი კუთხის შერყვნას, მეგრელი ქალის მანდილის წაბილწვას, კოლხი ვაჟკაცების სულში ჩაფურთხებას, აბუჩად აგდებას და დაცინვას. მათ ხომ სისხლის გუბეები დააყენეს და სიკვდილი დათესეს სამეგ-რელოში, მრავალი ვაჟკაცის სამარედ აქციეს კოლხური მიწა, ცოცხლად დარჩენილები ციხეებში ჩაყარეს, გადარჩენილი ნაწილი ტყეს და უცხოეთს აფარებს თავს.

ის, რაც 1992 წლიდან საქართველოში და, გასაკუთრებით, სამეგრელოში მოხდა და ხდება, იურიდიულად სხვაგვარად არ შეიძლება კვალიფიცირებული იქნეს, თუ არა დანაშაული კაცობრიობის წინაშე. მისმა ჩამდენებმა საერთაშორისო სისხლის სამართლით უნდა აგონ პასუხი.

ამით ბატონმა გურამმა თავისი სასამართლო პროცესი საბოლოოდ აქცია ხელისუფლების გასასამართლებლად:

„9 თებერვალს საქართველოს ფაქტობრივ პრეზიდენტზე თავდასხმას არ შეიძლება ეწოდოს ტერორისტული აქტი. ის იყო კონტრტერორისტული სამხედრო ოპერაცია უკანონო პრეზიდენტის მიმართ, რომელიც ჩაატარა კანონიერმა გვარდიამ, ვინაიდან ფაქტობრივი ხელისუფლების უმრავლესობა, პრეზიდენტის ჩათვლით თვითონ იყო 1991-92 წლების ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტის ორგანიზატორი და დამფინანსებელი. მათ შექმნეს პრეცედენტი ძალის გამოყენებით ხელისუფლებაში მოსვლისა, რასაც მაშინ „დემოკრატიული რევოლუცია" დაარქვეს. დემოკრატიის ნიღაბაფარებული ვამპირები იმკიან იმას, რაც დათესეს. ვინც ქარს თესავს, ისი ქარიშხალს იმკის. ისინი ებრძვიან არა მიზეზს, არამედ – შედეგს. დღეს მათ მიერ „ტერორისტებად" და „სამშობლოს მოღალატეებად" მონათლულები ხვალ შეიძლება ქართველმა ერმა გმირებად გამოაცხადოს. ამიტომ საჭიროა ღრმად იქნეს შესწავლილი ამ სამხედრო გამოსვლის გამომწვევი მიზეზები და მოტივები. ამის გაკეთება აუცილებელია მსგავსი შემთხვევების მომავალში თავიდან ასაცილებლად. ამ საქმეში, გარდა ერთუჯრედიანი გამომძიებლებისა, ჩასართავია სოციოლოგები, ფსიქოლოგები, პოლიტოლოგები და სხვა სპეციალისტები. მათი დასკვნა უფრო მეტ სამსახურს გაუწევს ქართველ ერს, ვიდრე ხელისუფლების პროკურატურისა და სასამართლოს მიერ შეკოწიწებული საბრალდებო დასკვნა და განაჩენი."

როგორც ვხედავთ, ქვეყნისათვის ზრუნვა, რეალური სიტუაციის აღქმა და ჭეშმარიტების დადგენაა ბატონი გურამისთვის მიზანი და არა თავის მართლება:

„ფაქტობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობას ვუსვამ ასეთ მარტივ შეკითხვას: ძალის გამოყენებით რომ არ დაემხოთ კანონიერი ხელისუფლება, ე.შევარდნაძეს 1992 წლის მარტში უკანონოდ რომ არ მიეტაცებინა ძალაუფლება, არ დაერბიათ, გაეძარცვათ და დაეხოცათ სამეგრელოს რეგიონი და მისი მოსახლეობა, ექნებოდა თუ არა ადგილი 9 თებერვლის „ტერაქტს"?"

რა თქმა უნდა, ამის პასუხი არ აღმოაჩნდა ბრალდების მხარეს.

„ფაქტობრივი ხელისუფლება თავისი ანტიქართული პოლიტიკით, საქართველოს ეკონომიკური გაჩანაგებით, ერის გენოფონდის ფიზიკური განადგურებით, ცინიზმის უმაღლესი გამოვლინებით, ქართველი ერის სულიერი დეგრადირებით და დაკნინებით, ეროვნული იდეოლოგიის მოსპობით, პირადი ღირსების შელახვით დღესაც უბიძგებს ქართველ ვაჟკაცებს უმძიმესი საპროტესტო ქმედებისაკენ. ასეთი პოლიტიკით უკანონო ხელისუფლებას სურს დააშინოს, დააჩოქოს და ლაჩართა ხროვად აქციოს ქართველი ერის უმეტესი ნაწილი. ეს ყველაფერი კეთდება მისი იოლად მართვის მიზნით.

თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში სანთლით საძებნი გახდება ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, შეგვრჩება სულით ღარიბი, მლიქვნელი, უნიათო კაცუნები, „შპიონები" (დამსმენები) და „პედარასტები"

არ გამოგივათ, ბატონებო! არა! ერთიანად რომ გავწყდეთ, ამის განხორციელების საშუალებას არ მოგცემთ.

მოყვანილი ჩვენებებიდან ჩანს, რომ გოჩა ესებუას გააჩნდა მიზეზი ე.შევარდნაძის წინააღმდეგ მოქმედებისა.

სამეგრელოში კანონიერი გვარდიელების, პარტიზანებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს შორის მისმა ავტორიტეტმა განაპირობა ის, რომ მის წინადადებას ე. შევარდნაძეზე თავდასხმის შესახებ უსიტყვოდ თანხმდებოდა ყველა. გარდა ამისა, საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა ჩეჩნეთშიც. ყოველივე ამან და მისმა პიროვნულმა თვისებებმა განაპირობეს 9 თებერვალს მის მიერ ე. შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზება. არავითარი სხვა ორგანიზატორი აღნიშნულ საქმეს არ ჰყოლია და არც საჭიროებდა. რაც შეეხება მთავარ ორგანიზატორს, იგი თვითონ ე. შევარდნაძე გახლავთ, მის მიერ ქართველი ერის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულებების გამო. ეს ფაქტი, გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ.

რატომ არ აბსენა ერთმა ბრალდებულმა მაინც, ტერაქტს აბსანძის პატივისცემით, ხათრით ან ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით ვაწყობდიო? გურამ აბსანძე კი არა, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მათ ქმედებას რწმენა ედო საფუძვლად, რწმენა! როცა ადამიანი რწმენით აკეთებს საქმეს, იგი საკუთარი სინდისის, ერისა და ღმერთის წინაშე

მართალია, ხოლო რაც შეეხება ჩადენილ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს, ამას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ასე რომ, გ.ესებუა, ისევე როგორც სხვა ბრალდებულები, ამ მდგომარეობამდე ბოლო დროს საქართველოში დატრიალებულმა ტრაგედიებმა მიიყვანა. ამიტომ ჩაუდგა იგი სათავეში ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ გახდა ის გმირი. სამართალდამცავი ორგანოები სულ სხვანაირად მსჯელობენ, ისინი ხომ ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე არ ფიქრობენ. მათ ქმედების მოტივი და მიზეზი არ აინტერესებთ, მათთვის მთავარია შედეგს მისცენ მიკერძოებული სამართლებრივი შეფასება. ჩემი ღრმა რწმენით კი, იმ პიროვნებების ქმედება, რომლებიც 9 თებერვლის მოვლენებში მონაწილეობდნენ, არ შეიძლება შეფასდეს როგორც ტერორისტული აქტი.

და ბოლოს, 9 თებერვლის ტერაქტთან დაკავშირებით ყველაზე მთავარი საკითხი – რატომ მოკლეს გოჩა ესებუა? საქმის მასალებიდან ჩანს, რომ იგი ფლობდა უდიდეს, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლოებებს. მაშ, რატომ მოსპეს ფიზიკურად ასეთი ინფორმაციის მატარებელი ადამიანი?

საქმე ის არის, ბატონებო, რომ გოჩა ესებუა დაკავების შემთხვევაში დაადასტურებდა სიმართლეს. იგი დაამოწმებდა ჩვენს შორის ჩეჩნეთში გამართული საუბრის შინაარსთან დაკავშირებით ჩემს მიერ ძიებისათვის მიცემული ჩვენების სისწორეს. გოჩა ესებუა სხვა ბრალდებულებთან შედარებით უფრო უკეთესად დაასაბუთებდა და დაამტკიცებდა იმას, რომ ე.შევარდნაძეზე თავდასხმა განხორციელებული იქნა იმის საპასუხოდ, რაც პირადად ე.შევარდნაძემ და მისმა სისხლიანმა ხელისუფლებამ დაატრიალა 1992-97 წლებში საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, რომ ეს იყო პროტესტი სისხლით მოსული პოლიტიკური ვამპირების მიმართ, უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ ამხედრება.

მოკლედ რომ ვთქვათ, გ.ესებუას ე.შევარდნაძის გამოყვანა შეეძლო 9 თებერვლის ტერაქტის მთავარ ორგანიზატორად. ამის აღიარება და დამტკიცება კი შელახავდა საქართველოს პრეზიდენტის საერთაშორისო „იმიჯს"

კიდევ ერთხელ, მე ვგმობ ყოველგვარ ტერორსა და ძალადობას.

რაც მოხდა და ხდება საქართველოში, ამას აღვიქვამ, როგორც სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით ე.შევარდნაძის მიერ ხელისუფლების უკანონოდ მითვისების შედეგს."

შეიარაღებული გამოსვლის შემდეგ გურამ აბსანძე სახავს სამომავლო მოქმედების გეგმას, რათა მიღწეული იქნეს ეროვნული თანხმობა და გადარჩეს ქართული სახელმწიფოებრიობა:

„ასეთი სიტუაციების მომავალში თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სასწრაფოდ მიეცეს უმკაცრესი შეფასება 1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას საქართველოში. ეს უნდა გააკეთოს საქართველოს ფაქტობრივმა პრეზიდენტმა და მისმა ჯიბის პარლამენტმა, თუ უნდათ საქართველოში დაიმარხონ. საჭიროა მათ მიერ დაგმობილი იქნეს არა მარტო თავიანთი უკანონო ხელისუფლების ხელყოფის მცდელობები, არამედ 1990 წლის 28 ოქტომბერს კანონიერად არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლების ძალით დამხობა. აღიარებული და მონანიებული უნდა იქნეს ქართველი ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაული და მთავარი ორგანიზატორები დაუყოვნებლივ წავიდნენ პოლიტიკური არენიდან ეს გახდება ქართველი ერის გაერთიანებისა და საყოველთაო შერიგების საფუძველი. მხოლოდ მათი ამგვარი ნაბიჯი გადაარჩენს საქართველოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის მოიძებნება „სამართლებრივი" საფუძველი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული ხუნტის სამართალმემკვიდრე ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობისა, ვინაიდან მსოფლიოს „დემოკრატიულ საზოგადოებას" (მათ შორის ხუნტის „მეგობარი" ქვეყნის ლიდერებსაც), ჯერ კიდევ არ გაუციათ პასუხი ქართველი ერის მიერ მრავალი წლის მანძილზე დასმულ ერთ ძალიან მარტივ შეკითხვაზე – რატომ შეიძლება ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების ძალის გამოყენებით დამხობა და რატომ არ შეიძლება ედუარდ შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების იგივე მეთოდით თავიდან მოშორება!"

ასე დაუნდობლად ამხელდა ბატონი გურამი ფაქტობრივ ხელისუფლებას, მის დამქაშებს თუ ზურგს უკან მდგომ ანტიქართულ ძალებს. იგი სასამართლო სხდომაზე და პრესის საშუალებით პირუთვნელად ამხელდა იმ „პიროვნებებს", რომლებიც უკანონო

ხელისუფლების დაკვეთით ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციებს დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და პირადად მისი დისკრედიტაციის მიზნით.

. დაღუპულია ის ერი და ქვეყანა, რომელსაც ბაბილაშვილის, თარგამაძის, ალექსიძისა და ყიფიანისნაირი გენერალური პროკურორი, შინაგან საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტის მრჩეველი და გენერალური პროკურორის მოადგილე ჰყავს.

ვეკითხები ამ ზნედაცემულებს – რატომ წამლავთ ქართველ ერს დეზინფორმაციით? შეგნებულად რატომ ავრცელებთ ჭორებს? რატომ ეწევით დევნილი კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელთა დისკრედიტაციას? რატომ აყალიბებთ ცრუ საზოგადოებრივ აზრს ჩვენი ხელისუფლების კორუმპირებულობისა და დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ? თუ თქვენს მიერ საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნებულ „ფაქტებს" ფლობდით, რატომ არ წარმიდგინეთ ბრალდებაში? (გარდა 128,0 ათასი ამერიკული დოლარის „დატაცების" სასაცილო, ბრიყვული და აბსურდული ბრალდებისა, რომელზედაც ქვემოთ მექნება საუბარი).

სიტყვებს ვერ ვპოულობ ამ „ადამიანების" ქმედებების შესაფასებლად. ესენი ყველაფერს კადრულობენ, რათა ასიამოვნონ თანამედროვეობის უდიდეს „დემოკრატს". უფრო მეტსაც გეტყვით, „სამართალდამცავები" მოქმედებენ მისი უშუალო მითითებით. მათი მიზანია მყარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება დევნილი კანონიერი ხელისუფლების კორუმპირებულობის შესახებ. საზოგადოებრივი ყურადღების ამ მიმართულებით გადატანა ემსახურება ფაქტობრივი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არსებული კორუფციის მიჩქმალვის მცდელობას. ქურდბაცაცათა ხელისუფლება, რომელიც თვითონ არის კორუფციის წყარო, ვერ შეგუებია იმ აზრს, რომ ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლება გახლდათ უპატიოსნესი ხელისუფლება საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ამიტომ ცდილობს ცილისმწამებლური ინფორმაციების გავრცელების გზით საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. მუშაობა მიმდინარეობს მიზანმიმართულად. მერვე წელიწადია, რაც ადამიანებს უშედავენ თავში ათასნაირ სისულელეს, იდეურად წამლავენ და ყვრნიან მათ გონებას. ამ მიზნით უკანონო ხელისუფლების

მიერ შექმნილი იქნა ცრუინფორმაციის სპეციალური სამსახური. ჩვენ ვფლობთ ფაქტებს იმის შესახებ, თუ როგორ ავრცელებდნენ ამ სამსახურის აგენტები თბილისში და განსაკუთრებით სამეგრელოში ხმებს სხვადასხვა ბეჭდვითი და საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.

გურამ აბსანძის პიროვნულ ღირსებასა და მოქლაქეობირვ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს ის მოტივიც, თუ რატომ ჩაბარდა იგი ფაქტობრივი ხელისუფლების ძალოვან სტრუქტურებს და რატომ განუმზადა საკუთარ თავს ხუნტის საპყრობილეში ტანჯვის მწარე ხვედრი. „ბევრჯერ დამისვამს საკუთარი თავისათვის შეკითხვა – რატომ არის, რომ ყველა ბოროტს, უწმინდურს, ცილისმწამებელს და უზნეოს სძულს კეთილი, პატიოსანი და ვაჟკაცური ბუნების ადამიანები? – წერს ბატონი გურამ და იქვე პასუხობს: – იმიტომ, რომ როცა ისინი საკუთარ თავს მათ ადარებენ, უფრო ცხადად გრძნობენ თავიანთ სისაძაგლეს"

განა შეეძლო გურამ აბსანძისთანა ზნეობის ადამიანს, შორიდან ეცქირა იმ უსინდისო ცილისწამებისა და დისკრედიტაციისათვის, რითაც ხუნტა ლაფში სვრიდა კანონიერ ხელისუფლებასა და მის ხელმძღვანელებს? თანაც ეს ბინძური კამპანია ხორციელდებოდა თვით გურამ აბსანძის პიროვნების გამოყენებით.

დანარჩენს ბატონი გურამი ჩვეული გულწრფელობით და დამაჯერებლობით მოგვითხრობს:

„უკვე მერამდენედ მიხდება იმის გამეორება, რომ ფაქტობრივმა ხელისუფლებამ დევნილი კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაცია განიზრახა ჩემი მეშვეობით. აღმოვჩნდი გამოუვალ მდგომარეობაში. საჭირო იყო დამემტკიცებინა ქართველი ერისათვის ჩემი აბსოლუტური უდანაშაულობა, რაც ავტომატურად ნიშნავდა დევნილი კანონიერი ხელისუფლების უდანაშაულობასაც. ამისათვის ერთადერთი გზა არსებობდა – საქართველოში ჩამოსვლა და უკომპრომისო ბრძოლა სიმართლის დასამტკიცებლად. რა თქმა უნდა, იყო მეორე გზაც – ყველაფრისთვის თავის არიდება და სხვა ქვეყანაში ემიგრაცია, რისი საშუალებაც ბოლო წუთამდე მქონდა. მაგრამ ეს ხომ ღალატი იქნებოდა იმ იდეებისა და რწმენისა, რომლებსაც თავი შესწირა მრავალმა მამულიშვილმა. ბევრი ციხეებში იტანჯება, ან სამშობლოდან გადახვეწილია. მხოლოდ მე, გურამ აბსანძეს, შემეძლო დევნილი ხელისუფლებისა და ჩემს წინა-

შვილები: ვალიკო, თამარი, გიორგი

აღმდეგ სისხლიანი ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ცილისწამებებზე საკადრისი პასუხის გაცემა, ვინაიდან ვფლობდი ყველა ინფორმაციას დევნილი ხელისუფლების მიერ საფინანსო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდის დაღუპვისა და პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის საზღვარგარეთ ემიგრაციის შემდეგ, თანამდებობრივად და კაცურადაც უნდა ამეღო ჩემს თავზე უმძიმესი ტვირთი,

რასაც ქართველი ერის წინაშე პასუხისმგებლობა ჰქვია. მეც რომ ემიგრაციაში წავსულიყავი, მაშინ ვის უნდა დაეცვა დევნილი ხელისუფლების ღირსება და ავტორიტეტი?! იმ ადამიანებს ხომ არა, რომლებსაც დაწერილი და დაუწერელი კანონის მიხედვით ევალებოდათ დევნილი ხელისუფლების დაცვა უზნეოთა ხელყოფისაგან, მაგრამ პირიქით – ისინი გახდნენ ინიციატორები ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ გავრცელებული ცილისწამებებისა?"

ზუსტი და დამაჯერებელია ბატონ გურამის ეს მსჯელობა მისი ემიგრაციაში არწასვლის შესახებ:

„ამიტომ მივიღე ასეთი უმძიმესი გადაწყვეტილება – ჩავბარებულიყავი სისხლიან ხელისუფლებას და მემხილებინა ყველა რჯულის ცილისმწამებელი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყანა მთავაზობდა პოლიტიკურ თავშესაფარს, მათ შორის ევროპის ქვეყნებიც. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რაც უფრო შორს და ხელმიუწვდომელი ვიქნებოდი საქართველოს პირსისხლიანი, უკანონო ხელისუფლებისათვის, მით უფრო ურცხვად გაზრდიდნენ ისინი ჩემსა და დევნილი ხელისუფლების მიერ საქართველოდან „დატაცებული" სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრებისა და ქონების ოდენობას; ასევე გაზრდიდნენ ჩვენს მიერ „დახოცილ" ადამიანთა და ჩადენილ „ტერორისტულ აქტებთა" რიცხვს. და ბოლოს, რაც მთავარია, გაქცევაში ხელშეწყობას დააბრალებდნენ რუსეთის სპეცსამსახურებს და ამით ქართველ ერს ჩამოუყალიბებდნენ მყარ აზრს ჩემი და დევნილი კანონიერი ხელისუფლების რუსებთან „შეკვრის" შესახებ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უკანონო ხელისუფლების მიზანი იყო ჩემი გაქცევა საზღვარგარეთ. ამიტომ განსაკუთრებით იქნა გაძლიერებული ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება 1998 წლის 9 თებერვლის „ტერაქტის" შემდეგ. ისინი იმედოვნებდნენ, ასეთი დეზინფორმაციით ჩემზე ზემოქმედებას, რაც მაიძულებდა საზღვარგარეთ ემიგრირებას – ეს ერთი. მეორეც – მაქვს მშვენიერი ოჯახი (რა თქმა უნდა, ყველას თავისი ოჯახი მოსწონს), მყავს სამი შვილი, სანათესავო, სამეგობრო წრე. თუ ჩემი შვილები და შვილიშვილები თავიანთი ნიჭისა და გაქანების წყალობით მიაღწევდნენ წარმატებებს მეცნიერებაში, პოლიტიკასა თუ ბიზნესში, როგორ უნდა დამერწმუნებია სისხლიანი ხელისუფლების

მიერ იდეურად მოწამლული ქართველი ერის უდიდესი ნაწილი იმაში, რომ ყოველივე ამას მათ თავიანთი ნიჭის წყალობით მიაღწიეს? საქართველოს მოსახლეობას ხომ შვიდი წლის განმავლობაში უჭედავდნენ ცნობიერებაში ჩემს მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახსრებისა და ქონების „დატაცებას"? ამიტომ ოჯახის წევრების უმნიშვნელო წარმატებასაც კი ჩემს მიერ „დატაცებულ" თანხებს მიაწერდნენ, ე.ი. ემიგრაციაში წასვლით არა მარტო შვილებს, არამედ შთამომავლობასაც ვუსპობდი ნიჭის გამოვლინების შესაძლებლობას და ამავე დროს, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, შეულახავი ავტორიტეტით სარგებლობის პერსპექტივასაც.

რას მივაღწიე ჩემი ასეთი ნაბიჯით: 1. დავიცავი დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და ჩემი ღირსება; 2. ჩემს ოჯახს, შვილებს, შთამომავლობას, ნათესავებსა და მეგობრებს მოვუხსენი ცილისმწამებლური ინფორმაციების შედეგად შექმნილი დაბრკოლებები; 3. ნიღაბი ჩამოვხსენი და გავაშიშვლე ყველა რჯულის ცილისმწამებელი; 4. ავიმაღლე ავტორიტეტი ქართველი ერის თვალში; 5. საქართველოს მოსახლეობას დავუბრუნე რწმენა და ნდობა დევნილი კანონიერი ხელისუფლებისადმი და ბოლოს, 6. ძიების მასალების გაცნობისას წავაწყდი ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ვერც წარმოვიდგენდი. ამ ფაქტებმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი, შევიცანი უამრავი ადამიანი. მარტო ამად ღირდა საქართველოში ჩამოსვლა.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებას პირადად ჩემთვის უარყოფითი შედეგი მოჰყვა – დავაკლდი ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, შემერყა ჯანმრთელობა, დამაკლდა ყოველივე ის ადამიანური, რაც უფალმა თავისუფლებაში მყოფთ არგუნა, მაგრამ მერწმუნეთ, არსებობს ამ გრძნობებზე უფრო მაღალი, უფრო ძლიერი, უხილავი რამ, რომელსაც რწმენა ჰქვია. რწმენა ღმერთისადმი, იდეისადმი, ადამიანისადმი. მე რწმენით მივყვებოდი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ყველგან, მწამდა მისი იდეებისა და პირადად მისი. ამ თვალსაზრისით ჩემთვის რწმენა სინდისიერების, მეობისა და ულალატობის საფუძველი გახდა. ამ გზის არჩევა ჩემთვის თავს არავის მოუხვევია. იგი თავად ავირჩიე ამიტომ არც ვნანობ გადადგმულ ნაბიჯს.

„ნეტარია ის, ვინც თავის თავს არ სდებს მსჯავრს იმის გამო, რასაც

ირჩევს" (იოანე. 3.21).

ისინი. ვინც დღეს ციხეში რწმენის, სიმართლისა და კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერის გამო იტანჯებიან, საუკუნო დიდებას ჰპოვებენ არა მარტო თავისი, არამედ ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელებისა და მხარდამჭერთა შთამომავლებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ვიმყოფები ციხეში, მაინც კმაყოფილი ვარ (ზოგიერთი გაიცინებს, ალბათ, თუ კმაყოფილი ხარ, იყავი მანდო), ვინაიდან ეს ყველაფერი რწმენისა და იდეის ერთგულებისათვის გადამხდა. ჩემმა ასეთმა ბედმა მტკიცედ გაწვრთნა ჩემი სული. მან გაუძლო მრავალ ტანჯვას, ამიტომ ვარ ძლიერი. მე უკვე გამოვცადე საკუთარი თავი. დარწმუნებული ვარ, რომ გამოცდას გავუძელი. ჩემი და ჩემი მეგობრების ტანჯვა ქართველი ერისა და ეროვნული იდეების ძნელბედობასთანაა დაკავშირებული, ამიტომაცაა ის ამაღლებული. საპყრობილეში მოხვედრის შემდეგ ჩემი მტრები და ზოგიერთი ვაიმოყვარეც ფიქრობს, რომ გურამი დაიღუპაო; მათ შევახსენებ – თვითონ არიან განწირულნი. ჩემი ნავი მიცვალებულთა სამეფოს საზღვრებს ჯერ არ მიახლოებია, იქამდე დიდი მანძილი მაქვს დარჩენილი. მჯერა, რომ ღმერთი შესაძლებელზე მეტად არ გამომცდის და ამ გაჭირვების ჟამს გამოსავალსაც მომცემს, რათა შევძლო მისი გადატანა. მათი ნავი კი მათივე ცოდვებითაა დამძიმებული და ამიტომ ჩაიძირებიან კიდეც.

სასამართლოს არც იუმორი აკლდა...

გურამ აბსანძის პიროვნულ მომხიბვლელობას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს იუმორის ბრწყინვალე ნიჭი. შეუვალ ლოგიკასთან, ღრმა განათლებულობასა და კომპეტენტურ ცოდნასთან ერთად მან იუმორიც აქცია ბასრ იარაღად სასამართლო სხდომებზე დევნილი ხელისუფლების ხელმძღვანელებზე შეთითხნილი ბრალდებების გასაბათილებლად. სწორედ ბრწყინვალე იუმორით აცამტვერებდა იგი ამ აბსურდულ ბრალდებებს.

ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

„ხელისუფლების პროკურატურის სულელური „ფანტაზიის"

ნაყოფია მეშვიდე ეპიზოდში ჩემთვის წარდგენილი ბრალდება: „წალენჯიხის რაიონში განლაგებული „ბანდა" გურამ აბსანძესთან შეთანხმებით 1993 წლის ივლისში თავს დაესხა წალენჯიხის რაიონის საზკვების გაერთიანებას..."

პროკურატურის ბანდიტებს ეგონათ, აქ მაინც მოვარტყით „მიზანშიო', რადგანაც ჩემი წონისა და ზომის ადამიანის მიერ საზკვების ობიექტებზე „თავდასხმას" რეალური საფუძველი უნდა ჰქონოდა. თუ გავითვალისწინებთ მათ გურმანულ მიდრეკილებებს, დანაშაულის დამტკიცებაც არ უნდა გაჭირვებოდათ, მით უმეტეს მსგავსი სასამართლო კოლეგიის წინაშე. მაგრამ ამ ეპიზოდშიც უმტყუნათ ალღომ. სწორედ 1993 წლის ივლისის თვეში საქართველოდან 14 ათასი კილომეტრის დაშორებით, ქ.სახალინში ვიმყოფებოდი. ამ მიზეზით წალენჯიხის რაიონის საზკვებაზე თავდასხმაში პირადად მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ საზკვებაზე თავდასხმის „გეგმა", რომელიც შემუშავებული იყო კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში, დამტკიცებული იქნა ქ.სახალინში უშუალოდ ჩემს მიერ და საიდუმლო კავშირგაბმულობის საშუალებით გადაეცა შემსრულებლებს. ამბობენ, დოკუმენტი ხუნტის დაზვერვას ჩაუგდია ხელში და გასაშიფრად ვაშინგტონში გაუგზავნია. აღნიშნულ დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერის დადასტურების შემთხვევაში იძულებული ვიქნები ვაღიარო დანაშაული, მანამდე კი „ატკაზზე" ვარ.

ამონაწერი მერვე ეპიზოდიდან: „გურამ აბსანძის ბანდებმა ვახტანგ ქობალიას ხელმძღვანელობით, ხობის რაიონის სოფლების: კოხეთის, შუა ხორგის, საჯიჯაოს, ახალი ხიბულის, ჭალადიდის, პირველი ხორგის, ბიის მეურნეობებიდან და ხობის მეცხოველეობის საწარმოებიდან გაიტაცეს 43 სული მსხვილფეხა პირუტყვი" (ტომი №7; ს.ფ.73).

ამ ეპიზოდმა მთლად დამაბნია, არ ვიცი რომელ „ბანდაზეა" საუბარი. ერთი კი ცხადია – „ბანდები" ჩემი ყოფილა, მაგრამ ვახტანგ ქობალია ხელმძღვანელობდა თურმე. თუ ქობალია „ბანდას" ხელმძღვანელობდა, აბსანძე რა შუაშია? ხოლო, თუ „ბანდა" ჩემი იყო, ქობალიას რატომ მივცემდი სახელმძღვანელოდ?! ამ ეპიზოდთან დაკავშირებითაც პროკურატურის ავაზაკებს ვუცხადებ კატეგორიულ პროტესტს. ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიეთ, ვისი ხელმძღვანელობით მოხდა 43

სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გატაცება? ვინ არის ჩვენს შორის „ჩლიქოსანი"? აგრეთვე მოვითხოვ, „გაგვიშიფროთ" დატაცებული 43 სული მსხვილფეხა პირუტყვის „კლიჩკა", მათი ჯიში, შთამომავლობითი გენეალოგია.

როგორც ჩემთვის ცნობილია, გამოძიების ხელთ არსებული „მტკიცებულებების" თანახმად (აშშ-ში და მოსკოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა), ერთ-ერთი ძროხის მარჯვენა რქაზე აღმოჩენილი იქნა ლოთი ქობალიას მარცხენა ხელის შუა თითის ანაბეჭდი, ე.ი. კვალი. მისმა აღმოჩენამ ხელი შეუწყო ერთი ძროხის დატაცების ფაქტის დადგენას, მაგრამ დანარჩენი 42 მსხვილფეხა პირუტყვის დატაცებაზე პროკურატურას არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია.

დაზარალებული პირუტყვისაგან გამოძიებამ „ჩვენება" ვერ მიიღო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი „შეახრამუნეს" ზვიადისტებმა. დანაშაულის თვითმხილველი პირუტყვებისგანაც „ჩვენების" მიღება ვერ მოხერხდა, ვინაიდან გატაცებას გადარჩენილი და მოწმედ გამოძახებული ძროხები ხუნტის ხელისუფლების და პროკურატურის პასუხისმგებელ მუშაკებს შემოვმევიათ, ზოგიერთი პირუტყვი კი შიშის გამო „ჩვენების" მისაცემად არ გამოცხადდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში მსხვილფეხა პირუტყვების დატაცების მომენტში ფიზიკურად ვიმყოფებოდი სახალინსა თუ მოსკოვში, მთელ პასუხისმგებლობას ჩადენილ დანაშაულზე ვიღებ საკუთარ თავზე.

ვიცი რომ, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ სასამართლო განაჩენს, თუ აღიარება დამტკიცებული არ არის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით. ამასთან, მტკიცებულებათა სახით, პროკურატურას და სასამართლოს ვთავაზობ ხობის რაიონიდან ქ.მოსკოვში ფაქსით გამოგზავნილ ძროხის ტყავებს, რომლებიც ინახება ალტუფევოს შოსეზე, ერთ-ერთი სახლის მე-12 სართულზე, იმ ბინაში, რომელიც უკანონო ხელისუფლების მტკიცებით ჩემს მიერ „შესყიდული" ყოფილა 1997 წელს (უფრო ზუსტ მისამართს ისინი შეგატყობინებენ). აქვე მინდა გავამახვილო ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ძროხების დატაცებას ძირითადად ვაწარმოებდი დისტანციური მარ-

თვის საშუალებებით.

აღნიშნულ „უმძიმეს დანაშაულს" იმიტომ ვიღებ ჩემს თავზე, რომ ამით მსურს პატივი მივაგო წინაპრების ხსოვნას. მე-18 – მე-19 საუკუნეებში ისინიც მისდევდნენ ასეთ ხელობას, განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ კამეჩისა და ცხენის ქურდობისკენ.

თითქმის ყველა ქართველს მოუსმენია მეგრული სიმღერა „ჩელა" აღნიშნული სიმღერა შეიქმნა ჩემი წინაპრის ბურდღუ აბსანძის პატივსაცემად, რომელსაც მთელ დასავლეთ საქართველოში ბადალი არ ჰყავდა კამეჩისა და ცხენის ქურდობაში. ლექსში ჩართული იყო შემდეგი სიტყვები: „ჩელა, სო ულ, დარჩელიშა, ავავა დო შავავა, ჩელა. სო ულ, ბურდღუშ ღუჩა, თექ ვენგოკორდუ ჭა დო ფურჩა". მიახლოებითი თარგმანი შემდეგნაირად გამოიყურება: ჩელა (ე.ი. კამეჩი), საით გაგიწევია, დარჩელისკენ (დარჩელი არის სოფელი ზუგდიდის რაიონში, ჩემი სოფელი, სადაც ცხოვრობდა ბურდღუ აბსანძეც), ჩელა, საით გაგიწევია, ბურდღუს სახლისკენ, იქ არ მოგაკლდება ჩალა და ფუჩეჩი. მისამღერი და ა.შ. ასე რომ, ლოთი ქობალია და საერთოდ ქობალიები ამ შემთხვევაში კონკურენციას ვერ გაგვიწევენ.

დარწმუნებული ვარ, ჩემი ამ გულწრფელი „აღიარებით", საქართველოს უზენაესი სასამართლო სასჯელს შემიმსუბუქებს, რადგანაც სასჯელის მიზანი არა მხოლოდ დასჯაა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მსჯავრდებულის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით, კანონთა ზუსტი შესრულებით. პატიოსან სიტყვას ვიძლევი, მეტჯერ არ „მოვიპარო" მსხვილფეხა პირუტყვი"

ამ მწარე იუმორის უკან ნათლად ჩანს ნიღაბახსნილი ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების სახე.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შესახებ

სისხლიანი გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლების ვერაგობა იმაშიც გამოიხატა, რომ იგი ეკონომიკურ აღმშენებლობასა

და კეთილდღეობას ჰპირდებოდა საქართველოს მოსახლეობას, თუ რა დღეში აღმოჩნდა ქვეყანა ე.შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, დღეს ყველასათვის გასაგებია: საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების დონე სრულ წინააღმდეგობაშია ეროვნული ხელისუფლების მიერ შემუშავებულ გარდამავალი პერიოდის კონცეფციასთან, როდესაც თანდათანობით, უმტკივნეულოდ უნდა მომხდარიყო გადასვლა საკუთრების სოციალისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე.

ეროვნული ხელისუფლების გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პროგრამაში პრიორიტეტი ეკუთვნოდა ქვეყნის თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვას, მისი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აღნიშნული პროგრამა, რომლის ერთ-ერთი ავტორი და განმახორციელებელი ბატონი გურამ აბსანძე იყო, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი საკუთრების გადანაწილებაში სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, რაშიც თავისთავად იგულისხმებოდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და მისი საწარმოო პოტენციალის შემდგომი განვითარება.

რა თქმა უნდა, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის პუტჩის შემდეგ ასე არ მოხდა. უფრო სწორად, ბოლშევიკურ-კრიმინალური გადატრიალება განხორციელდა სწორედ იმიტომ, რომ ხაზი გადაესვათ საერთო სახალხო კეთილდღეობისათვის და ქვეყნის მთელი სიმდიდრე უკანონო და უკონტროლო „პრივატიზაციის" გზით თვითონ მოძალადე ხელისუფალთ ჩაეგდოთ ხელთ.

ამჯერად ამ თემაზე საუბარს გავაგრძელებთ ბატონ გურამ აბსანძის ფრიად საგულისხმო მოსაზრებებიდან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკურ, საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკასთან და ე.შევარდნაძის მმართველობის დანაშაულებრივ სტილთან დაკავშირებით, რაც აშკარავებს დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების მტაცებლურ, ანტიეროვნულ ბუნებას ზვიად გამსახურდიას ეროვნული ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

ამ საკითხზე გურამ აბსანძის აზრი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ,

ერთობ კომპეტენტურად და სამართლიანად მიგვაჩნია:

„დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკურმა, საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკამ კრახი განიცადა. უკანონო ხელისუფლების მთელი სტრატეგია შეიძლება განისაზღვროს ხალხური თქმით – ჩემს შემდეგ ქვაც უთოვიაო – რაც პრაქტიკულად მიღწეული იქნა. ქვეყნის საგარეო ვალის მოცულობამ 2,0 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. დაახლოებით 1,0 მილიარდ ლარს შეადგენს საშინაო დავალიანება. მთლიან შიდა პროდუქტში საგარეო ვალის წილმა 2001 წელს, ჩემი გაანგარიშებით, შეადგინა 68%, ხოლო სახელმწიფო ვალის (საგარეო ვალს დამატებული საშინაო ვალი) წილმა – 80%, საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტმა კი – 53%, როცა კრიტიკულ დონედ მიღებულია 25%. შექმნილია საგანგაშო მდგომარეობა. ასეთ დროს ქვეყანამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს საგარეო ვალის აღება. ხელისუფლება კი პირიქით – კრედიტონარკომანად იქცა.

მენდეთ, როგორც ფინანსისტს, პროფესიონალს, ასეთი მოცულობის საგარეო ვალის გადახდას ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს. პრობლემას ვერ მოხსნის ვალების რესტრუქტურიზაცია. საქართველო კარგავს კრედიტუნარიანი ქვეყნის იმიჯს.

საგარეო ვალთან მიმართებაში ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი – საგარეო ვალის ანულირება, ანუ დავალიანების ჩამოწერა.

მოგახსენებთ, დავალიანების ჩამოწერა ხდება კრედიტორის თანხმობით. ამ შემთხვევაში არავითარი პრობლემა არ წარმოიშობა, მაგრამ ხელისუფლებამ, რომელმაც საგარეო ვალები ვერ გამოიყენა ეფექტურად, გაფლანგა და გაანიავა, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია დავალიანებას არ ჩამოაწერს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ ქვეყანას არ შეუძლია გადაიხადოს საგარეო ვალები, მაშინ ეს ფაქტი მოქმედებს მის საერთაშორისო პრესტიჟზე და კრედიტუნარიანობაზე. ამ შემთხვევაში ახალი კრედიტის მიღება პრაქტიკულად გამორიცხულია.

დევნილ ხელისუფლებას მრავალჯერ ოფიციალურად განუცხადებია, რომ არ ცნობს უკანონო ხელისუფლების მიერ ხელმოწერილ არც ერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელმაც ზიანი მოუტანა

საქართველოს ან ეწინააღმდეგება ქართველი ერის ინტერესებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მხოლოდ კანონიერ ხელისუფლებას შეუძლია უარი თქვას წინა, უკანონო ხელისუფლების მიერ აღებული და ამავე დროს განიავებული საგარეო ვალების გადახდაზე. ასეთი მიდგომა გამოყენებული იქნა მრავალი ქვეყნის მიერ.

ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობის გასაგონად ვაცხადებ: ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, 1990 წლის 28 ოქტომბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე, ქვეყანას არ აუღია არც ერთი ცენტი საგარეო ვალი. საქართველოში წარმოებული და ნაშთის სახით არსებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები, რომელიც ჩვენი მაშინდელი გაანგარიშებით შეადგენდა 2,5 მილიარდ აშშ დოლარს, საქართველოს რესპუბლიკას ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფდა სულ მცირე სამი წლით. გარდა ამისა, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დავალიანება გააჩნდათ: რუსეთს, უკრაინას, ყაზახეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს საერთო თანხით 48,5 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით. ეს ისე, ცნობისათვის.

კანონიერი ხელისუფლება რომ არ დაემხოთ და ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობის პროცესი არ შეჩერებულიყო, ეროვნული ხელისუფლების მიერ დაწყებული ეკონომიკური, საფინანსო და საკრედიტო რეფორმების გატარება საშუალებას მოგვცემდა 2001 წლისათვის ბიუჯეტის მოცულობა განგვესაზღვრა 3,0 მილიარდი დოლარით. ნაცვლად საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილით გათვალისწინებული 310,0 მილიონი ამერიკული დოლარისა, რაც განვითარებულ ქვეყნებში სიდიდით ზუგდიდის ტოლი ქალაქის ბიუჯეტს უდრის. ფაქტობრივ ხელისუფლებას არ სურს და არც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის ცივილიზირებული მართვა. არადა ეკონომიკაზეა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება. ეკონომიკის, საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკის მართვის კომუნისტურ-ბოლშევიკურმა მეთოდმა არ მისცა გასაქანი ქვეყანაში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. ეს გახლავთ მიზეზი ქვეყნის ბიუჯეტის სიმწირისა.

დღეს კი ფაქტია, რომ უკანონო ხელისუფლების დანაშაულებრივმა საფინანსო, ეკონომიკურმა და საკრედიტო პოლიტიკამ ქვეყანა

მიიყვანა ღრმა საფინანსო და საბიუჯეტო კრიზისამდე, რაც გამოიხატება ბიუჯეტის ქრონიკულ შეუსრულებლობაში, პენსიებისა და საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა ხელფასების თვეობით გაუცემლობაში, ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა ხარჯების დაუფინანსებლობაში მაშინ, როცა პენსიებისა და ხელფასების განაკვეთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში – საშუალო პენსია საარსებო მინიმუმის 13,3 პროცენტს შეადგენს. საერთოდ, საქართველოს მთლიანად შიდა პროდუქტში სოციალური დახმარების წილის მიხედვით ერთ-ერთი ბოლო ადგილ უკავია მსოფლიოში.

დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა გამიზნულია იმპორტის სტიმულირებისათვის. ეს ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკაა.

ძირფესვიანად არის შესაცვლელი საკრედიტო პოლიტიკა. საგარეო ვალიდან მიღებული სახსრები უნდა მიემართებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც ორიენტირებულნი არიან: 1.საექსპორტო პროდუქციის გამოშვებისკენ; 2. იმპორტის შემცვლელი პროდუქციის გამოშვებისკენ; 3. ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე ახალი საწარმოების შექმნის და აღნიშნულ ნედლეულზე მომუშავე საწარმოების დაკრედიტებისაკენ და ა.შ.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზებაში ადგილი აქვს არნახულ კორუფციას. მეწარმეები იძულებულნი არიან გადასახადი უხადონ ე.წ. კრიშებს, რომლებიც ათავისუფლებენ მათ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებისგან. ეს არის წმინდა წყლის სახელისუფლებო ბიზნესი, რომელშიც მოკალათებულნი არიან: ბიუროკრატია, სამართალდამცავი ორგანოების, საგადასახადოს, საბაჟოს და სხვა სტრუქტურათა ხელმძღვანელები. ყველაფერ ამას ხელმძღვანელობას და კოორდინაციას უწევს პრეზიდენტი თავისი აპარატით და მმართველი პარტია. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ მთლიან შიდა პროდუქტში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 2000 წელს საქართველოში შეადგენს 21%-ს, აზერბაიჯანში – 17%-ს, რუსეთში – 31%-ს? მე არ ვასახელებ ევროპის ქვეყნებს, სადაც მშპ-ში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 20%-ზე ნაკლები არ არის. ვის ჯიბეში მიდის ყოველწლიურად ბიუჯეტის კუთვნილი თანხები, 1,0 მილიარდიდან 1,3

მილიარდ ლარამდე?"

ბატონი გურამ აბსანძე შესანიშნავად, პროფესიონალურად ხსნის ეკონომიკის გლობალური კრიზისის მიზეზებს:

„რა არის მიზეზი საქართველოში დღეს არსებული საფინანსო-საბიუჯეტო, საერთოდ, ქვეყანაში გამძვინვარებული გლობალური ეკონომიკური კრიზისისა? ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ: 1. ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ერთიანი სისტემის არარსებობა; 2. არასწორი საგადასახადო-ფისკალური პოლიტიკა; 3. პროიმპორტული საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა; 4. გლობალური კორუფცია; 5. სამართალდამცავი ორგანოების აქტიური ჩარევა საფინანსო, საკრედიტო, საგადასახადო და, საერთოდ, ეკონომიკის მართვის პროცესში; რაც მთავარია, არ არსებობს პოლიტიკური ნება, პოლიტიკური გადაწყვეტილება პირველი პირისა ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლისათვის. ე.შევარდნაძის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკისა და, საერთოდ, ქვეყნის მართვის სისტემა არის კომუნისტური. მას უსაფუძვლოდ გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის გარეშე არ შეუძლია ქვეყნის მართვა. აღნიშნული ბიუროკრატიული აპარატი კი არის კორუფციის ბუნაგი. ქვეყნის მართვის შევარდნაძისეული მოდელი გახლავთ „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური", ამიტომ იქცა მართვის ეს სისტემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მუხრუჭად.

ე.შევარდნაძის ძალაუფლებას საზღვარი არა აქვს. ის ყოველგვარ კანონზე მაღლაც კი დგას. ამიტომ აღმოჩნდა ქვეყანა ასეთ უმძიმეს ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ მდგომარეობაში.

ზემოთ თქმულის ანალიზის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: პრეზიდენტი და ხელისუფლება ვერ უძღვებიან ქვეყანას, ამიტომ საქართველოს და მის ხელისუფლებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მართავს გარეშე ძალა, რომელთა გადაწყვეტილებები თუ რჩევები პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნისა და ერის ინტერესებთან.

ასე ამათრახებს ფაქტობრივი ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას ბატონი გურამი და აშიშვლებს ე.შევარდნაძის მმართველობის მანკიერ სტილს:

„ყველასათვის ცნობილია, რომ ე.შევარდნაძეს სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვის უნარი არ გააჩნია. მას ყოველთვის მოკარნახე სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება. ის ყოველთვის შემსრულებელი იყო – ჯერ მოსკოვის ცკ-ს დავალებებს ასრულებდა, ახლა კი საავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, კიდევ უარესი, მსოფლიო მაფიოზური ძალებისას, თეთრი სახლის ადმინისტრაციის და, რა თქმა უნდა, კრემლის დავალებებს ერთდროულად ასრულებს. შესრულების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარე მისცემს უფრო მყარ გარანტიას უკანონო ძალაუფლების შენარჩუნების და ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გახანგრძლივების თვალსაზრისით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ე.შევარდნაძე ფლობს ხელისუფლებაში მოსვლის და ძალაუფლების შენარჩუნების ყველაზე უბინძურეს მეთოდებს. მისთვის მთავარია სკამი, რის გამოც მრავალჯერ გაუწირავს ქვეყნისა და ერის ინტერესები. ზოგიერთი მეხოტბე მის ამ თვისებას დაბალანსების პოლიტიკის უბადლო, ვირტუოზულ, ბრძნულ და სანიმუშო მაგალითად მიიჩნევს. მე კი მიმაჩნია. მისი პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორებია: ფუჭი დაპირებები, მუდმივ პერსპექტივებზე საუბრები, ქვეყანაში არსებული უმძიმესი მდგომარეობის უსირცხვილოდ შელამაზება, არაარსებით მოვლენებზე მოსახლეობის ყურადღების გადატანა, არსებითი მოვლენების მიჩუმათება, მოსახლეობის ზომბირება და... ტყუილები, ტყუილები, ტყუილები..."

ბატონი გურამი ბრწყინვალედ ხსნის ე.შევარდნაძის მიერ მასების გაღატაკების, ე.წ. მესამე ფენის განადგურების პოლიტიკის სახელმწიფო დონეზე აყვანის არსს. სოციალური კატასტროფის მიზეზებს, მოსახლეობის სრული პაუპერიზაციის პროცესის წინასწარგანზრახულობას:

„დღევანდელმა ხელისუფლებამ მოახდინა საშუალო ფენის შეგნებული ლიკვიდაცია. გახსოვთ, ალბათ, 1992 წლის სექტემბერი, როცა მოსახლეობას ანაბრებზე თანხები შეატანინეს და შეპირდნენ, უკან გაორმაგებულს დაგიბრუნებთო. ფაქტიურად კი, საერთოდ დააკარგვინეს.

გარდა ამისა, ხელისუფლების წინასწარდაგეგმილი სცენარით მიმდინარეობდა ზოგიერთი კომერციული ბანკების საიმედოობის რეკლამირება ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, კულტუ-

რისა და ინტელიგენციის ღვაწლმოსილი წარმომადგენლების მხრიდან, რაც გახდა საფუძველი ამ „საიმედო" ბანკებში მოსახლეობის მიერ ანაბრებზე სახსრების შეტანისა. შედეგად რა მივიღეთ? ისევ ათიათასობით გაძარცული ადამიანი. ყველაფერი ეს გაკეთდა შეგნებულად. ასე წაართვა ე.შევარდნაძის ხელისუფლებამ მოსახლეობას დანაზოგები, რითაც უზნეო ხელისუფლებამ საქართველოში ჩამოაყალიბა ღატაკთა ფენა. ამის შემდეგ კი გამოაცხადა ე.წ. ნულოვან აუქციონზე საწარმოების გაყიდვა. აღნიშნული საწარმოები და ქართველი ერის მიერ შექმნილი ეროვნული სიმდიდრის უდიდესი ნაწილი ჩალის ფასად ხელში ჩაიგდეს მმართველი ხელისუფლების სანათესავო კლანებმა (რა თქმა უნდა, ქრთამის საფასურად), ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა თუ საწარმოების შესაძენი, არამედ ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებელი სახსრები არ გააჩნდა. ასეთი ქმედებით დღევანდელმა ხელისუფლებამ გაწირა ქართველი ერი, გენოციდი მოუწყო მას.

1992 წლიდან დღემდე უკანონო ხელისუფლების მიზანდასახული მუშაობის შედეგია ის, რომ მათ მოსპეს საშუალო ფენა და მისი წარმომადგენლები შეუერთეს ღატაკთა არმიას. ფაქტია ის, რომ საქართველოში ღატაკთა ფენას ქმნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც მოქალაქეთა პარტიაში არ გაწევრიანებულა და მხარს არ უჭერს მის პოლიტიკას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სუსტად განვითარებული აზიისა და აფრიკის ქვეყნების მკვიდრთათვის, ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმის ზღვრად წელიწადში დადგენილია 1000 აშშ დოლარი. საქართველოში კი წელიწადში ერთ პენსიონერზე, ფაქტიურად, დარიცხული პენსიის ოდენობა შეადგენს 72 აშშ დოლარს, ხოლო საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული უმდაბლესი თანრიგის მუშაკის მინიმალური ხელფასის წლიური თანხა 120 აშშ დოლარის ტოლია.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, 2001 წელს ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი შეადგენდა 14,1 ლარს მაშინ, როცა საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული მუშაკის მინიმალური ხელსფასი 20,0 ლარია, რაც

საარსებო მინიმუმის 17,5%-ს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ნორმალური საშუალო ხელფასი 54,4 ლარია და საარსებო მინიმუმის 72% კვების ხარჯებზე მოდის, გამოდის, რომ ადამიანები შიმშილობენ. ადამიანის შრომის არაადეკვატური ანაზღაურება, ასეთი უმნიშვნელო ხელფასებისა და პენსიების თვეობით გაუცემლობა იწვევს მათ მიერ კანონის დარღვევით ცხოვრებას, კორუფციის მასშტაბების გაფართოებას. თუ ადამიანს ხელისუფლება 3-ჯერ ნაკლებ ხელფასს და თითქმის 7-ჯერ ნაკლებ პენსიას აძლევს, ვიდრე ეს მისი სიცოცხლის შენარჩუნებას სჭირდება (დასვენებაზე და გართობაზე არ ვლაპარაკობ), მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლების საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა შეგნებულად მიმართულია ერის გენოციდისაკენ. ასეთ პირობებში ადამიანების ჩაყენება ნიშნავს იმას, რომ აიძულო იგი მოიპაროს, გაფლანგოს, იყაჩაღოს და ა.შ. ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ეპოქაში მონების სიცოცხლის შესანარჩუნებლად და კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობის მიზნით, ისინი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფილნი იყვნენ. საქართველოში კი ადამიანებს პირუტყვებივით ბრძოლა უხდებათ საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად.

ე.შევარდნაძის ხელისუფლების ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული საქართველოს მოსახლეობის წინაშე გახლავთ ისიც, რომ მათ შეგნებულად დააკნინეს ლეგალური ხელფასის როლი და ასევე შეგნებულად შეუწყვეს ხელი ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების არნახულ გაფართოებას.

•

ცხოვრების ასეთი დაბალი დონე იჭრება სოციალური ცხოვრების ტრადიციულ ნორმებში და უხეშად ანგრევს მას. ამას ემატება არნახული უმუშევრობა. უმუშევართა რაოდენობა საქართველოში 60 პროცენტს შეადგენ და არა 13 პროცენტს, როგორც ამას სტატისტიკის დეპარტამენტი აცხადებს. ყველაფერი ეს ანგრევს ქართულ ოჯახებს. გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ განქორწინების მიზეზად ეკონომიკური მოტივი სახელდება 85 პროცენტში, ხოლო ოჯახის შეუქმნელობის მიზეზად 95 პროცენტი ასევე ასახელებს ეკონომიკურ მოტივებს. კიდევ რამდენიმე ციფრი განსჯისათვის: ე.წ. „უპატრონო ბავშვთა“ 80%-ს ჰყავს დედა, 60%-ს – ცოცხალი მშობლები, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ

ადამიანებს აღარ შეუძლიათ შვილების შენახვა და შემთხვევათა 70% სრულიად შეგნებულად „ამათხოვრებს" ბავშვებს. პროსტიტუციით დაკავებულთა 60%-ს ჰყავს მეუღლე, ხოლო 90%-ს – მშობლები.

კიდევ ერთი, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით (600 აშშ დოლარი) საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველო წარმოადგენს უღარიბეს ქვეყანას მთელ პლანეტაზე.

ჩამოყალიბდა ისეთი სიტუაცია, როცა, ერთი მხრივ არსებობს უღატაკესი ფენა, რაც მთელი მოსახლეობის 93-95 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ხოლო მეორე მხრივ – უმდიდრესი კლანური გაერთიანება, რომელთა რაოდენობაც არ აღემატება მოსახლეობის 5-7 პროცენტს, მაგრამ მათ ხელშია მოქცეული საქართველოს მთელი სიმდიდრის 90-95%"

ბატონი გურამი პროფესიული სიზუსტით აღწერს ქვეყნის მთელი ეროვნული სიმდიდრის მიმტაცებელთა ანატომიას, განსაზღვრავს პოლუსებს:

„პრეზიდენტის, მისი ადმინისტრაციის, სამართალდამცავი ორგანოების, აღმასრულებელი ხელისუფლების როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების, მოქკავშირის ხელმძღვანელების, პრივილეგირებული ინტელიგენციის და მოსყიდული საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელების ზღაპრული სიმდიდრის უკან იმალება ქართველი ერის საშინელი სიღარიბე.

მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ასეთია რეალობა. ჩემი ღრმა რწმენით, ყველაფერი ხდება მიზანმიმართულად, წინასწარგანზრახული გეგმის მიხედვით. ქვეყნის ე.წ. პრეზიდენტმა შექმნა შრომის ანაზღაურებისა და საპენსიო უზრუნველყოფის ისეთი სისტემა, რომელიც ხელფასებითა და პენსიით ცხოვრებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. ასეთ პირობებში ადამიანი იძულებულია ეძიოს თავის გადარჩენისათვის ცხოვრების არაკანონიერი გზა. ვინც ასეთ გზას დაადგება, ის ხდება იძულებით დამნაშავე, ხოლო თანამდებობის პირი – კორუმპირებული. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფო მოხელეებს, მმართველობის აპარატს, ყველა სახის მაკონტროლებელ ორგანოს, სამინისტროების, უწყებების, რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოების

ხელმძღვანელებს. საქართველოში არ არსებობს თანამდებობის პირი, რომელიც კორუმპირებული არ არის, ადამიანები გაიხრწნენ ზნეობრივად. ასეთი პიროვნებები მათდა უნებურად ყოფენ თავს შევარდნაძის მიერ დაგებულ მახეში, ხდებიან მისი ყურმოჭრილი მონები. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ესენი გამოჭერილები ჰყავს და იძულებულნიც გახადა გუნდრუკი უკმიონ მას. გარდა თანამდებობებზე მყოფი პიროვნებებისა, ხელისუფლებამ, ფაქტიურად, დამნაშავე გახადა მთელი ერი. ყოვლად მიუღებელი საგადასახადო კანონის გამო, ბიზნესმენი იძულებულია მოატყუოს სახელმწიფო. ვინც ხელისუფლებასთან შეკრული არ არის, მას იჭერენ ან დიდი ქრთამის გაღების შემდეგ ათავისუფლებენ. წვრილი ვაჭრებიც სამართალდამცავების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, უმუშევრები – ქურდობენ, ყაჩაღობენ, პროსტიტუციას ან ნარკომანიას მისდევენ და ა.შ.

ასეთ პირობებში ხელისუფლებამ განსაკუთრებული როლი მიანიჭა სამართალდამცავ ორგანოებს: პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროებას. მათ საჯიჯგნად მიუგდეს იძულებით დამნაშავეთა მთელი მასა. ამ უზნეოთა ხელში აღმოჩნდა იძულებით დამნაშავეთა ბედი. არ მოქმედებს არავითარი კანონი, სასაცილო გახდა რეფორმირებულ მოსამართლეთა გადაწყვეტილებები, დაჭერა – არდაჭერა, ბრალის წაყენება, ყველაფერი ეს დამოკიდებულია ქრთამის სიდიდეზე. მიმდინარეობს აშკარა ვაჭრობა, რაც მთავარია, იყიდება სინდისი, ნამუსი, კაცობა. სასამართლო, სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და ბიუროკრატიული აპარატი ერთად აღებული გახდა კორუფციის ბუდე. ეს არის მყარად ორგანიზებული სისტემა.

ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულია ბიზნესის ახალი სახეობა – „სახელისუფლებო ბიზნესი", რომლის ხელმძღვანელები აკონტროლებენ ქვეყნის მატერიალურ, ფინანსურ, საკრედიტო და ინფორმაციულ რესურსებს. ამ რესურსების „განაწილებისათვის" „სახელისუფლებო ბიზნესის" ხელმძღვანელები ღებულობენ „დივიდენდებს" ქრთამის სახით. მათი შემოსავლის ძირითადი წყარო არის ქრთამი.

ასე შექმნა საქართველოს „ამყვავებელმა" პრეზიდენტმა კორუმპირებულთა, მლიქვნელთა, ლაქიათა კასტა, ამავე დროს შეგნებულად

მოსპო საშუალო ფენა, რომელიც უნდა გამხდარიყო ქვეყნის ხერხემალი, რომლის გარეშეც ვერ იარსებებს საბაზრო ეკონომიკა და სამოქალაქო საზოგადოება. ყოველივე ამას მოჰყვა ღატაკთა მასის ჩამოყალიბება.

ფაქტია, რომ ბიუროკრატიისა და სამართალდამცავი ორგანოების გარეშე სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია. ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბიუროკრატიაც და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები ყველა ცივილიზირებულ ქვეყანაში წარმოადგენს მართვის მექანიზმს. საქართველოში კი ბიუროკრატიაც და სამართალდამცავებიც თავად გახდნენ მმართველები, რაც მათ განუსაზღვრელი ძალაუფლების ფლობის და მათთვის არასასურველი და „არაფრისმომცემი" გადაწყვეტილებების მიღების ბლოკირების საშუალებას აძლევს.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ყოვლად გაუმართლებლად გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის არსებობას და ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ზღაპრულ რიცხოვანობას, წარმოვიდგენთ, თუ რა მასშტაბებს აღწევს მათ მიერ შეგნებულად ბლოკირებული გადაწყვეტილებების რაოდენობა.

ისმება კითხვა: რატომაა დღევანდელი მმართველი რეჟიმი დაინტერესებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გაღატაკებასა და გაუბედურებაში? საქმე ის არის, ბატონებო, რომ გაღატაკებულ და არაფრის მქონე ადამიანს უფრო ადვილად ახვევ თავს ისეთ ძალაუფლებას, რომელიც მისთვის მიუღებელია, უფრო ადვილად იმორჩილებ მას და იგი ხდება მართვადი იმ ხალხის მიერ, რომელსაც ეს ფული გააჩნია."

<u>სამართალმემკვიდრეობის საკითხი და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა</u>

რა ეშველება ჩვენს სამშობლოს? როგორი უნდა იყოს მომავალი იმ ქვეყნისა, რომელსაც 12 წელიწადია უკანონო ხელისუფლება მართავს?

მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ დიდი ხანია დაგმობილია ძალადობის ნებისმიერი გამოყენება, მით უმეტეს, ძალადობის გა-

მოყენება ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. გურამ აბსანძის პოლიტიკური პრინციპულობა და მოქალაქეობრივი შეურიგებლობა ამ შემთხვევაშიც ერთგვაროვანია. მისი მოსაზრება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხელისუფლების კანონიერი მემკვიდრეობითობა, ყველა ქართველისათვის ჩამაფიქრებელი და საგულისხმო უნდა იყოს.

აი, როგორ აქვს გააზრებული საქართველოში კანონიერი სახელისუფლებო მემკვიდრეობის აღდგენა ბატონ გურამ აბსანძეს:

„კანონიერი ხელისუფლების აღდგენა თვითმიზანი არ გახლავთ, ეს მიზნის მიღწევის საშუალებაა. მიზანი საქართველოს გადარჩენაა. უკვე ყველასათვის ცხადია, კანონიერი ხელისუფლების ძალით დამხობის შემდეგ, საქართველოს უფსკრულში გადაჩეხვა.

კანონიერების აღდგენით იმის მაგალითს ვუჩვენებთ ქართველ ერს და მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას, რომ ცეცხლითა და მახვილით მოსული ხელისუფლება განწირულია მიუხედავად იმისა, თუ რა დონის პოლიტიკური მოღვაწე უდგას მას სათავეში. კანონიერების აღდგენით ჭკუას ვასწავლით მომავალ პუტჩისტებსაც. ბევრ ნაძირალას წავართმევთ სურვილს ძალის გამოყენებით ხელისუფლებაში მოსვლისა. ასეთი ქმედების ზნეობრივი მასშტაბი განუზომელია, ამიტომ სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის დევნილი კანონიერი ხელისუფლების ბრძოლას ახლა მაინც უნდა შეუწყონ ხელი მსოფლიოს დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა. ადრე ხომ სწორედ საქართველოს მაგალითზე ყველაფერი პირიქით მოხდა – საქართველოში სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას მხარი დაუჭირეს, ან უკეთეს შემთხვევაში, წაუყრუეს დასავლეთის სახელმწიფოებმა; უფრო მეტიც, აშშ-სა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „დემოკრატიის" მამები აქტიურად უწყობდნენ ხელს სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების წარმატებით დაგვირგვინებას. ჩვენ ამის დამადასტურებელ ზღვა მასალას ვფლობთ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამართალმემკვიდრეობის აღდგენა აუცილებელია და საჭიროა იმისათვის, რომ, როგორც განვლილმა დრომ გვიჩვენა, მხოლოდ სამართალმემკვიდრე ხელისუფლებას ძალუძს:

1. საფუძველი ჩაუყაროს ეროვნულ თანხმობას, ერის გამთლიანებას;

2. აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა, დევნილები დააბრუნოს საკუთარ სახლებში;

3. გააუქმოს ყველა ხელშეკრულება, მათ შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შესახებ ე.შევარდნაძის ხელისუფლების მიერ დადებული ხელშეკრულებები და მიღებული დადგენილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ქართველი ერისა და ქვეყნის ინტერესებს;

4. საქართველოს უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას დაუბრუნოს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის არნახული დარღვევებით პრივატიზებული, ჩალის ფასად გაყიდული სტრატეგიული ობიექტები.

5. ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას დაუბრუნოს ე.შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების სანათესავო კლანების მიერ უკანონოდ პრივატიზებული ე.წ. ნულოვან აუქციონზე ჩალის ფასად შესყიდული და სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო მაქინაციებითა და ქმედებებით ხელში ჩაგდებული მილიარდობით აშშ დოლარის საფასური ეროვნული სიმდიდრე, მოახდინოს ამ საწარმოთა კანონიერი პრივატიზაცია.

6. საქართველოს მოსახლეობას აუნაზღაუროს ე შევარდნაძის ხელისუფლების მიერ წინასწარგანზრახვით 1992-94 წლებში წართმეული ხალხის კუთვნილი ანაბრები, რაც შესაძლებელია უკანონო პრივატიზაციის თუ სხვა კანონდარღვევითი „ოპერაციების" შედეგად მიტაცებული სახსრების კანონის სრული დაცვით ამოღების გზით;

7 მოისპოს კორუფციის მიზეზები: ა) მოიჭრას ბიუროკრატიული აპარატი, როგორც სახელისუფლებო ბიზნესის, კორუფციის „ბუნაგის" მაცოცხლებელი არტერია; ბ) შრომის ანაზღაურებისა და საპენსიო უზრუნველყოფის არსებული სისტემა, რომლის მეშვეობით ე.შევარდნაძის ხელისუფლებამ დააკნინა ლეგალური ხელფასის და საპენსიო უზრუნველყოფის მნიშვნელობა; გ) საერთოდ ქვეყნის, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სისტემა;

8. მიაღწიონ ე.შევარდნაძის ხელისუფლების მიერ აღებულ, განიავებულ და გაფლანგულ 2,0 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი საგარეო

ვალის ჩამოწერას საერთაშორისო ნორმების დაცვით.

9. ძირფესვიანად მოსპონ ქვეყნის საფინანსო, საბანკო, საგადასახადო სისტემებისა და, საერთოდ, ეკონომიკის ფუნქციონირებისა და კონტროლის პროცესში სამართალდამცავი ორგანოების უმნიშვნელო ჩარევაც კი.

10. საქართველოში დააბრუნოს და შეუქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები ქვეყნიდან განდევნ[illegible] 1.5 მილიონ ადამიანს.

11. პოლიტიკური და ფართომასშტაბიანი ამნისტიის საფუძველზე ციხეებიდან გაათავისუფლოს ყველა პო[illegible]ტპატიმარი და იძულებითი დამნაშავე.

12. მიაღწიოს დასრ-დან საქართველოს გამოსვლას, რითაც აღსდგება ქართველი ერის ნება, რომელიც მან გამოხატა 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გამოცხადებულ რეფერენდუმში ხმის მიცემით.

13. რადიკალურად შეცვალოს ე.შევარდნაძის ხელისუფლების მიერ ქართველი ერისა და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

საქართველოს ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის შესახებ

1992 წლის 6 იანვარს ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ, რომელმაც დაითხოვა 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებით არჩეული უზენაესი საბჭო, მინისტრთა კაბინეტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ამავე დროს ხუნტამ შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება.

პუტჩისტებმა თავიანთი ქმედება კანონიერი ხელისუფლების მიმართ შეაფასეს, როგორც საყოველთაო სახალხო აჯანყება, დემოკრატიული რევოლუცია, ამბოხი ტირანიის წინააღმდეგ.

სამხედრო კრიმინალური გადატრიალებით საქართველოს მოევლინა უკანონო, არალეგიტიმური, სისხლიანი ხელისუფლება, ხოლო

კანონიერი ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, აღმოჩნდა დევნილობაში.

დევნილობაში მყოფმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1992 წლის 11 მარტს ქ.გროზნოში გამართულ სესიაზე 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის კონსტიტუციური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალების კვალიფიკაცია მისცა.

ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლების სამართალმემკვიდრე უკანონო ხელისუფლება. ამავე დროს მიმაჩნია, უკანონო ხელისუფლების მიერ 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის პირველი თავის პირველ მუხლზე დაყრდნობით („საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით") იმის მტკიცება, თითქოს დღევანდელი ხელისუფლება იყოს სამართალმემკვიდრე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმისა და იმავე წლის 9 აპრილს გამოცხადებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით აღიარებული უფლებისა მან 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით დაარღვია სახელმწიფო ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა.

უკანონო ხელისუფლებას კონსტიტუციაში ასეთი მუხლის დაფიქსირება სჭირდება მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების მოსატყუებლად, საქართველოს მოსახლეობის გასაბრიყვებლად, საქართველოს უახლესი ისტორიის გასაყალბებლად, შთამომავლობის წინაშე თავის გასამართლებლად და თავიანთი თავის ლეგიტიმურ ხელისუფლებად წარმოსაჩენად"

ამდენად, ნათელია, რომ ძალის გამოყენებით მოსული ხელისუფლება შეუძლებელია იმ ხელისუფლების სამართალმემკვიდრე იყოს, რომელიც დაამხო. ბატონი გურამი ამბობდა: „სამართალმემკვიდრეობა

იქაა, სადაც ხელისუფლების უწყვეტობაა, როცა კანონიერად არჩეული საკანონმდებლო ორგანო ნიშნავს და უზრუნველყოფს ახალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ასეთი გზით მოსული ხელისუფლება არის კანონიერი სამართალმემკვიდრე წინა ხელისუფლებისა. ეს გახლავთ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმით აღიარებული ელემენტარული ცივილიზებული წესი.

სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს დევნილი კანონიერი ხელისუფლება როგორც იურიდიულად, ასევე ფიზიკურად. მას აღიარებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, რიგი საერთაშორისო არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები. მართალია, ის გახლეჩილია, მაგრამ მაინც განაგრძობს არსებობას (მხედველობაში მაქვს ბატონი ზვიადის ხელდასხმული უზენაესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი) და იარსებებს მანამ, სანამ არ მიიღებს გადაწყვეტილებას თვითლიკვიდაციის შესახებ, ან დევნილი უზენაესი საბჭო თავის უფლებამოსილებას გადასცემს ქართველი ერის ინტერესების გამომხატველ და ამავე დროს მისთვის მისაღებ, ახლადარჩეულ ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოს, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით, სამართალმემკვიდრეობის აღდგენასაც ნიშნავს.

სურვილი სურვილია, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საქართველოში?

ძალის გამოყენებით დამხობილ ხელისუფლებას მისი დაბრუნების სამი გზა აქვს: 1. საყოველთაო დაუმორჩილებლობის გამოცხადება, ე.ი. მიტინგებით, მანიფესტაციებით, გაფიცვებით, მასობრივი შიმშილობებით ხელისუფლების იძულებით გადაყენება და მისი ადგილის დაკავება; 2. ძალის გამოყენებით ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება; 3. არჩევნებში მონაწილეობის მიღებით ხელისუფლებაში მოსვლა (საერთაშორისო სამართლით აღიარებული ერთადერთი ცივილიზებული მეთოდი ხელისუფლებაში მოსვლისა).

მარტივად რომ ვთქვათ, კანონიერებას ვერ აღადგენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გარეშე, ძალაუფლებას კი ხელში ვერ ჩაიგდებ, თუ არსებულმა ხელისუფლებამ თავისი ნებით არ დაგითმო, არ აიძულე, რომ დაგითმოს, და ბოლოს, ძალის გამოყენებით არ წაართვი ძალაუფლება.

მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები და ა.შ. აპრობირებული მეთოდია ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისა (რომელსაც კიდეც მიმართა ხალხმა. ხელისუფლებამ უმოწყალოდ დაარბია იგი 1992 წლის 3 იანვარს და 2 თებერვალს). ბატონი ზვიადის დაღუპვის შემდეგ ხალხმრავალ მიტინგებს და დემონსტრაციებს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ აწყობდნენ. უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის ხელოვნურად შექმნით წელში გატეხა, დაობეჩავა და კუჭის პრობლემის გადაწყვეტას მიაჯაჭვა დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. ამდენი ხნის წარუმატებელმა ბრძოლამ გული გაუტეხა ზოგიერთ ჩვენს მომხრეს, მრეწველობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგების შეგნებულმა, მიზანმიმართულმა გაჩერებამ, რასაც მოჰყვა არნახული უმუშევრობა, აზრი დაუკარგა საგაფიცვო მოძრაობასაც. ასე რომ, არსებული უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო დაუმორჩილებლობის გამოცხადება ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება.

ამგვარად, „კეთდება" ორი საქმე: ხელისუფლების დაცვა და მოწინააღმდეგეთა „დასუსტება",, როცა ეს მოწინააღმდეგე საკუთარი ხალხია.

რაც შეეხება შიმშილობას. ეს სერიოზული პოლიტიკური აქციაა, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით მოსული ე.შევარდნაძის გულის აჩუყებას ამ აქციითაც ვერავინ შეძლებს. უფრო მეტიც, მის გადადგომაზე ფიქრიც სიბრიყვედ მიმაჩნია. მიამიტი ადამიანები ნუ შეგვყავს შეცდომაში და თავს ნუ ვიტყუებთ, დღევანდელი უკანონო ხელისუფლება სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ვინაიდან მისი დაკარგვით კარგავს ყველაფერს, ამავე დროს, და რაც მთავარია, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულობებისთვის კანონის წინაშე პასუხისმგებლობის შიში აიძულებს ბოლომდე იბრძოლოს ხელისუფლებაში დარჩენისათვის"

ამიტომ ბრძანებს ბატონი გურამი: „მე, როგორც კანონიერი ხელისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და როგორც პიროვნება, ვგმობ ყოველგვარ ძალადობას და ტერორს, მაგრამ ამავე დროს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ ძალადობით მოსული, უკანონო,

სისხლიანი ხელისუფლების წინააღმდეგ მსოფლიო პრაქტიკაში არსებული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დაშვებული ბრძოლის ყველა მეთოდის გამოყენებით."

კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენასთან დაკავშირებით ბატონი გურამი რიტორიკულ კითხვას სვამს: ხომ არ დაუკარგავს ამ იდეას აქტუალობა ბატონი ზვიადის ფიზიკურად განადგურების შემდეგ? და ჩვეული პირდაპირობით იქვე პასუხობს:

„რა თქმა უნდა, ბატონი ზვიადის მოსპობით ხუნტამ თავი მოჰკვეთა ეროვნულ ხელისუფლებას, მაგრამ ქართველი ერისათვის ამ უმძიმესმა ტრაგედიამ ხელი არ უნდა აგვაღებინოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენისათვის ბრძოლაზე. პირიქით, თუ თავს ვთვლით ზვიადის იდეის მიმდევრებად, საჭიროა ბრძოლის გაორმაგებული ენერგიით გაგრძელება მისი იდეების ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის ის ფორმები, მეთოდები, სტრატეგია და ტაქტიკა, რაც ბატონი ზვიადის სიცოცხლეში მისაღები და იდეალური იყო, დროის კარნახით დღეს ტრანსფორმაციას განიცდის. ეს ლოგიკურიცაა, ამიტომ შესაბამისად უნდა შეიცვალოს ბრძოლის ფორმაც და მეთოდებიც.

1993 წლის ოქტომბერში ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან, მაგრამ უკანონო ხელისუფლების მიერ ჩვენს წინააღმდეგ უცხო სამხედრო ძალის გამოყენების გამო დავმარცხდით, რასაც მოჰყვა საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურებაც. მათ იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ეროვნული ხელისუფლებისათვის, ქართველი ერისათვის ბატონი ზვიადი, ამიტომ ყველაფერი იღონეს მისი ფიზიკური მოსპობისათვის. ქართველი ერის თავზე დატრიალებული ამ უმძიმესი ტრაგედიის მიუხედავად, ცხოვრება მაინც გრძელდება. მას ვერ შევაჩერებთ. საჭიროა გაანალიზებული იქნეს განვლილი გზა, დამარცხების მიზეზები და გამოტანილი იქნეს შესაბამისი დასკვნები."

ბატონი გურამი სვამს კანონიერი ხელისულებისა და ფაქტობრივი

ხელისუფლების ურთიერთმიმართების პრობლემას დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის საკითხთან მიმართებაში:

„ჩვენ ვამტკიცებთ და სამართლიანადაც მიგვაჩნია დღევანდელი ხელისუფლება უკანონოდ, არალეგიტიმურ ხელისუფლებად, მაგრამ ამავე დროს ეს ხელისუფლება ფაქტიურად ფლობს ძალაუფლებას, მართავს ქვეყანას. ჩვენ კი ვართ კანონიერი, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას მოკლებული ხელისუფლება, რომელსაც არ სცნობს არავინ, გარდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დევნილი კანონიერი ხელისუფლების მიზანია საქართველოს გადარჩენა კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის გზით. დევნილ კანონიერ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ 1992 წლიდან დღემდე საქართველოს ყველა თავსდამტყდარი უბედურების მიზეზი არის 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, ამიტომ სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენით კანონიერი ხელისუფლება გადაწყვეტს ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის წინაშე მდგარ ყველა პრობლემას. ამისათვის საჭიროა ხელისუფლებაში მოსვლა, რეალური ძალაუფლების ფლობა. როგორ შევძლებთ დღეს ამას, როცა ასე დასუსტებული, გახლეჩილი და, რაც მთავარია, ლიდერის გარეშე ვართ დარჩენილნი? უკანონო ხელისუფლებას დაუმორჩილებლობის ღონისძიებები ფეხებზე ჰკიდია, შიმშილობა სასაცილოდ არ ჰყოფნის, ბოიკოტის განხორციელების საშუალება საარჩევნო კანონით ფაქტიურად მოისპო.'

ბატონი გურამი, ეხება რა კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი გზით აღდგენის თეორიულ ვარიანტს, დღეს მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობიდან გამომდინარე ამბობს:

„ძალის გამოყენებით დამხობილი ხელისუფლების მიერ იგივე მეთოდით სისხლიანი ხელისუფლების განდევნა და კანონიერების აღდგენა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლით და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ნორმებს. პირიქით, კანონიერი ხელისუფლების ამ გზით აღდგენა იქნებოდა დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის ცხოვრებაში გატარების მაგალითი. კონსტიტუციის აღნიშნულ პუნქტში წერია:

„არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება" უკანონოდ მითვისებული ხელისუფლების წართმევა და კანონიერების აღდგენა ისტორიული სამართლიანობის გამარჯვება იქნებოდა. დღევანდელ უკანონო ხელისუფლებას მინდა შევახსენო, რომ სანამ სისხლიანი ხელისუფლება ასეთ მუხლს თავის კონსტიტუციაში შეიტანდა, მანამდე 1991 წელს საქართველოში მოქმედ კონსტიტუციაშიც იყო ჩაწერილი იგი, რაც ხუნტის მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი.

კიდევ ვიმეორებ, დევნილ კანონიერ ხელისუფლებას არ გააჩნია ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც აღადგენდა სამართლიანობასა და კანონიერებას საქართველოში, თორემ ბოდიში არავისთან გვექნებოდა მოსახდელი. მათ შორის, არც გაეროსთან, ეუთოსთან, ევროსაბჭოსთან, თეთრ სახლთან, საქართველოს „მეგობარ" ქვეყნებთან თუ მსოფლიოს „დემოკრატიის" მამებთან, დედებთან, ბებიებთან თუ ბაბუებთან.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ერთადერთი დასკვნა: კანონიერების აღსადგენად დაგვრჩა ერთი გზა – არჩევნებში მონაწილეობით ხელისუფლებაში მოსვლა. ხელისუფლებაში მოსვლის გარეშე კანონიერებას ვერ აღვადგენთ, ხელისუფლებაში ვერ მოვალთ არჩევნებში მონაწილეობის გარეშე. შეიქმნა მოჯადოებული წრე. ამ წრიდან თავის დაღწევა შეიძლება არჩევნებში მონაწილეობით, მაგრამ დევნილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობა არჩევნებში სერიოზულ უხერხულობას ქმნის, რაც გამოიხატება უკანონო პარლამენტის მიერ დანიშნულ უკანონო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაში. აღნიშნული უხერხულობის დაძლევა უნდა მოხდეს დევნილი კანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ, რაც გულისხმობს უზენაესი საბჭოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მისცემს კანონიერი ხელისუფლების ავტორიტეტიან წარმომადგენლებს (კანონიერი ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს) არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ამ შემთხვევაში აუცილებელია ობიექტური და ამომწურავი პასუხი გაეცეს ორ შეკითხვას:

1 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობა ნიშნავს თუ არა ზვიადის მიზნიდან, მის გზიდან გადახვევას?

2. დევნილი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის კანონიერი ხელისუფლების აღდგენის იდეასთან?

ვფიქრობ, არა და აი, რატომ: როგორც თქვენთვის ცნობილია, ბატონი ზვიადის და ეროვნული ხელისუფლების მიზანი იყო ჟეშმარიტად დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა. ისეთი სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც გაატარებდა დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, არ დაემორჩილებოდა გარეშე სახელმწიფოების დიქტატს და არ გადაიქცეოდა მათი ინტერესების მსახურად. მოკლედ რომ ვთქვათ, არ დაუშვებდა საქართველოს ხელახლა კოლონიად გადაქცევას და ეროვნული ინტერესების შელახვას. ეს განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალური ძალაუფლება ჩვენს ხელში იქნება. რეალური ძალაუფლება კი ხელისუფლებაში მოსვლით იქმნება, ეს უკანასკნელი კი – არჩევნებში მონაწილეობით და მასში გამარჯვებით. არჩევნებში მონაწილეობითა და გამარჯვებით საფუძველი ეყრება კანონიერების აღდგენას.

გამარჯვების საწინდარია ეროვნული ძალების გაერთიანება. თუ ეს არ მოხერხდა, დამარცხება გარდაუვალია. საჭიროა კომპრომისებზე წასვლა, ამბიციურობის მოთოკვა. მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებელია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დაშვებული ბრძოლის ყველა მეთოდის გამოყენება უკანონო რეჟიმის მოსაშორებლად და ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსასვლელად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის კანონიერების აღდგენას უნდა ნიშნავდეს, თუ ის იმ იდეებს განახორციელებს, რისთვისაც კანონიერი ხელისუფლება იბრძოდა. ასეთ დროს ჩვენ ვალდებულნი ვართ გადავცეთ უფლებამოსილება მათ, რაც, ჩემი აზრით, კანონიერების აღდგენის ტოლფასი იქნება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ კანონიერების აღდგენა დევნილი ხელისუფლების პერსონალური შემადგენლობის ხელისუფლებაში მოსვლაა, აშკარად ცდება. მთავარია არა დევნილი კანონიერი

ხელისუფლებისაგან კონკრეტული პიროვნებების მოსვლა მმართველობაში, არამედ ეროვნული ცნობიერების მატარებელი და ერის ინტერესების დამცველი ხელისუფლების ფორმირება, რითაც შესაძლებელი გახდება საგარეო და საშინაო კურსის რადიკალური შეცვლა, იმ კურსის შეცვლა, რომელსაც დღევანდელი უკანონო ხელისუფლება ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ ატარებს. თუ ეს განხორციელდა, ბედნიერებაა, თუ არადა – ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ კანონიერებისა და სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად.

რა თქმა უნდა, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის მარტო არჩევნებში მონაწილეობა არ არის საკმარისი. აუცილებელია ყველა იმ მეთოდის გამოყენება, რომლებზედაც ზემოთ მქონდა საუბარი.

კანონიერი ხელისუფლების აღდგენის საქმეში მთავარია, ზვიად გამსახურდიას მიერ ხელდასხმულმა უზენაესმა საბჭომ ხელში აიღოს კანონიერების აღდგენის მიმდინარე პროცესის კოორდინებისა და ხელმძღვანელობის სადავე.

რამდენიც არ უნდა ისაუბრონ უკანონო ხელისუფლების და იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებსაც ლომის წილი უდევთ კანონიერი ხელისუფლების დამხობაში, რა დროს კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზეა მსჯელობა, როცა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ორი არჩევნები ჩატარდა და მესამე ახლა ტარდებაო, სამართლებრივი თვალსაზრისით ეს აბსურდულია, ვინაიდან პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები საქართველოში დანიშნული იქნა უკანონო, არალეგიტიმური ორგანოს მიერ და ამ მიზეზით პარლამენტიც და პრეზიდენტიც უკანონონი არიან. მათ იმიტომ არ აწყობთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე ლაპარაკიც კი, რომ პასუხს აგებენ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში განხორციელებულ სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაზე"

<u>აბრეშუმის გზის საკითხი არ გახლავთ ახალი იდეა</u>

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას თვით ღმერთმა უბოძა, ლამისაა ე. შევარდნაძემ საკუთარ

დამსახურებად ჩათვალოს. „აბრეშუმის გზა" ჩვენს სამშობლოში ისტორიულად გადის და არა ვინმეს დამსახურებით. საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია მისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდგომარეობითაა განპირობებული. ამ ფუნქციას საქართველო ყოველთვის შეინარჩუნებს ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში. სხვა საქმეა, თუ ვინ როგორ გამოიყენებს მას. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ე. შევარდნაძე და მისი ხელისუფლება საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ობიექტურ პირობას სუბიექტურ დამსახურებად ასაღებს; ეს მაშინ, როცა დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლება, პირიქით, აკნინებს ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და მან იგი აქცია ნარკობიზნესის გზად, კაბალურ პირობებში ხდება ამ „დერეფნის" ამოქმედება; ამის მიზეზია ის, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფუნქცია დაქვემდებარებულია ე. შევარდნაძის ოჯახის, მისი სახელისუფლებო მაფიოზური კლანების ინტერესებს, რის გამოც ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას კეთილდღეობა მოაქვს არა სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობისათვის, არამედ მაფიოზური სახელისუფლებო კლანებისათვის.

ნავთობსადენების, გაზსადენების თუ აბრეშუმის გზის საქართველოსთვის პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილობის საკითხზე ბატონ გურამ აბსანძის მსჯელობა ყველა ქართველს ჩააფიქრებს:

„პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ აბრეშუმის გზის საკითხი არ გახლავთ ახალი იდეა, ვინაიდან ამ პრობლემას, ე. ი. ევროპისა და აზიის შემაერთებელი სატრანსპორტო დერეფნის, ანუ როგორც მას უწოდებენ, „აბრეშუმის გზის" აღდგენის იდეას, ჯერ კიდევ 1991 წელს, ჩვენი კანონიერი ხელისუფლების დავალებით, რესპუბლიკის რამდენიმე ათეული დამსახურებული სპეციალისტის მონაწილეობით, ჩაუტარდა კომპლექსური ექსპერტიზა. არსებობს ამ საკითხზე ექსპერტიზის გადაწყვეტილებაც. ჩვენ ვატარებდით ამ კუთხით სერიოზულ მუშაობას, მაგრამ სამხედრო-კრიმინალურმა გადატრიალებამ წერტილი დაუსვა ყველაფერს.

რაც შეეხება ნავთობსადენს, ეს იდეაც არახალია, ნავთობსადენი

საქართველოში ასი წლის წინ როტშილდმა გაიყვანა. ეს ისე, ცნობისათვის.

დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს „გადერეფნებაში" ხედავს მის ხსნას. ქვეყნის „გადერეფნება" არის ამ ხელისუფლების სახელმწიფო კურსი, მისი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიაც და სტრატეგიაც. ნაცვლად იმისა, რომ ეს დერეფანი გამოყენებული იქნეს ქართველი ერის, ჩვენი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, პირიქით – ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული „პოლიტიკით" ქართეველი ერი და ჩვენი ქვეყანა იქნა გამოყენებულია.

არც ერთ ქვეყანას ჩვენზე მეტად არ აინტერესებს ქართველი ერი, მისი სულიერი თუ ეკონომიკური მდგომარეობა; მათ ინტერესებში შედის ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი უმოკლესი გზა, გზა ევროპიდან აზიამდე. ამ გზით ტვირთის გადაზიდვისას მანძილი და დრო ვენეციიდან შანხაიმდე 1,9 -ჯერ მცირდება, ხოლო სატრანსპორტო ტარიფები 2-ჯერ იაფდება, რუსეთის ტერიტორიით, ტრანსციმბირის მაგისტრალით ტვირთისი ტრანსპორტირებასთან შედარებით აბრეშუმის გზის გახსნით დამატებითი მოგების მიღება არის და უნდა იყოს იმ ქვეყნების და კერძო კორპორაციების მიზანი, რომლებსაც თავიანთი კუთვნილი ტვირთების აღნიშნული გზით ტრანსპორტირება აქვთ გადაწყვეტილი".

ჩვენ კი ჩვენი ინტერესები უნდა გვქონდეს. არ უნდა გამოვდიოდეთ ხელგაწვდილი მათხოვრის როლში. ესაა ბატონი გურამის მსჯელობის საგანი:

„საქართველოს ხელისუფლებას ეს მომენტი უნდა გამოეყენებინა და დაინტერესებული ქვეყნებისათვის წაეყენებინა წინადადება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების და სხვა პრობლემების მოგვარების შესახებ.

ფაქტობრივმა ხელისუფლებამ კი სულ სხვა გზა აირჩია. გზა, რომელიც ხელს უწყობს და აკანონებს საქართველოს ტერიტორიების დაკარგვას, ვინაიდან ნავთობსადენის აშენების შემდეგ ინვესტორი სახელმწიფოები და კერძო კომპანიები ქვეყანაში მხოლოდ „სტაბილიზაციისთვის" იზრუნებენ და არ დაუშვებენ დაკარგული ტერიტორიების ძალისმიერი გზით დაბრუნებას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნავთობსადენის გაყვანა და ქვეყნის „გადერეფნება" იმ პოლიტიკით, რა პოლიტიკასაც დღევანდელი ხელისუფლება ატარებს, სხვა მიზეზებთან ერთად, საქართველოს საბოლოოდ დააკარგვინებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, სამაგიეროდ განამტკიცებს უკანონო ხელისუფლებას. ეს შედის კერძო კომპანიების ინტერესებშიც. დღევანდელ უკანონო ხელისუფლებას ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავენ. ამის საფუძველი, გარდა პოლიტიკური მოსაზრებებისა, გახლავთ აგრეთვე ისიც, რომ ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მათთვის დაწესებული იქნა ენერგომატარებელი პრდუქციის ტრანსპორტირებისათვის მსოფლიოში ყველაზე დაბალი ტარიფი. მაგალითად, 1 ტონა კასპიის ნავთობის სუფსამდე გადაქაჩვა საერთაშორისო სანავთობო კომპანიას უჯდება 3,5 ამერიკული დოლარი, ამ თანხიდან საქართველო ღებულობს 1,2 ამერიკულ დოლარს. აღნიშნული მოცულობის ნავთობის ნოვოროსიისკში გადაქაჩვა კი ჯდება 15, 2 ამერიკული დოლარი, ე. ი. თითქმის ხუთჯერ მეტი. მაგალითისათვის, ჩეჩნეთი, რომლის ტერიტორიაზე გადიოდა ნავთობსადენი, 1 ტონა ნავთობის ტარების სანაცვლოდ ღებულობდა 2, 6 ამერიკულ დოლარს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გაცილებით ნაკლები სიგრძის ტრასა გდის, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ რა შეუსაბამო ტარიფით ხდება საქართველოსათვის ანაზღაურება. მით უმეტეს, ჩვენს ტერიტორიაზე ხდება ნავთობის ტანკერებში ჩატვირთვაც, რასაც შეუძლია შავი ზღვის გაჭუჭყიანება. იქმნება ეკოლოგიური კატასტროფის მუდმივი საშიშროება. ბოლოს და ბოლოს, რას აძლევს ასე „იდეოლოგიზებული" მილსადენი საქართველოს ბიუჯეტს? აღნიშნული ტარიფიდან გამომდინარე, მაქსიმალური შემოსავალი წელიწადში იქნება 5,0 მილიონი ამერიკული დოლარი. ეს თანხა ხომ სასაცილოა! რატომ არის ასეთი დაბალი ტარიფი? იქნებ ქაღალდზეა ნაჩვენები 1, 2 ამერიკული დოლარი, ხოლო სხვაობა სადღაც სხვაგან ირიცხება? ეს შეკითხვები ხალხმა უნდა დაუსვას ხელისუფლებას.

მმართველი კლანის ლაყბობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს ნავთობის გადაქაჩვიდან მიღებული შემოსავლები იქნებაო, საპნის ბუშტივით გასკდა (ჩემი ინფორმაციით,

ტარიფით განსაზღვრული თანხის ნახევარიც არ მიდის ბიუჯეტში. სად მიდის ეს თანხები?). ნათელია, რომ საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო ინტერესები „ტრუბის მფლობელთა" ინტერესების მიხედვით წარიმართება, მაგრამ დათვალა ვინმემ, თუ რა ზიანს მოუტანს ქვეყანას (მხედველობაში მაქვს ეკოლოგია) ამ ნავთობსადენის ფუნქციონირება?

რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არა ვარ აღნიშნული ნავთობსადენისა თუ გაზსადენების საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობისა, პირიქით, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მის მშენებლობას და ფუნქციონირებას, მაგრამ იქიდან მიღებული შემოსავალი ტოლფასი უნდა გახდეს საერთაშორისო ნორმით დაწესებული სატრანზიტო ტარიფებისა, ნაცვლად ხელოვნურად შემცირებული და ვიღაცის ინტერესების დასაკმაყოფილებლად დადგენილი ტარიფისა.

როცა ვაანალიზებ ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ გატარებულ საშინაო, საგარეო თუ ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოს მართავს არა ეს ხელისუფლება, არამედ ვიღაც სხვა. უბედურება ის არის, რომ ამ ხელისუფლებას კრემლის დაკარგვაც არ უნდა და ამავე დროს დასავლეთისკენაც მიისწრაფვის. იგი ეწევა გაორებულ თამაშს. მან არ იცის რა კურსს ატარებს. ამერიკასა და ევროპაში ჩასვლისას იმათ ეფიცება სიყვარულს და თავს ასაღებს დასავლეთის ორიენტაციის მატარებლად, ხოლო რუსებთან ურთიერთობისას – პრორუსულობას ჩემულობს. მოკლედ რომ ვთქვათ, მათი პოლტიკის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაა.

ორმაგმა თამაშმა გამოიწვია ის, რომ დასავლეთი ცდილობს ჩვენი ქვეყანა გამოიყენოს რუსეთთან დასაპირისპირებლად, ხოლო რუსეთმა კი ამის საპასუხოდ საქართველოს დასჯას და ჭკუის სწავლებას მიჰყო ხელი. ფაქტობრივი ხელისუფლების ასეთი პოლიტიკით ზარალდება საქართველო და ქართველი ერი.

ამ ხელისუფლებას არ გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული, ქართველი ერის ინტერესების დამცველი არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკა. ამ უგნურ ხელისუფალთ მინდა შევახსენო – ქართველები უძველესი კულტურის მქონე, ოქროს საწმისისა და რუსთველის ერი

ვართ, ამიტომ ჩვენი ერის შეურაცხყოფად მიმაჩნია სხვა ქვეყნებისაგან შველისა და თანადგომის იმედად ყოფნა. სასირცხვილოა მათ წინაშე დაჩოქილი და ხელგაწვდილი მათხოვრის როლში ყოფნა, როცა ერის ინტერესებიდან გამომდინარე საღი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებით, ჩვენი უნიკალური გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეგვიძლია ერის ღირსების შეულახავად მოვითხოვოთ ის, რაც გვეკუთვნის"

* * *

გურამ აბსანძის მიმართ უზურპატორული ხელისუფლების მხრიდან ძალადობაზე, სიცრუესა და ორპირობაზე აგებული პოლიტიკური ანგარიშსწორება კრახით დასრულდა. ბატონმა გურამმა შეძლო ის, რაც მსოფლიოს პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ძალზე ცოტას თუ ხვდა წილად: მის წინააღმდეგ მოწყობილი სასამართლო ფარსი ხელისუფლების გასამართლებლად იქცა. ამ ბრძოლაში მან არამარტო პიროვნულად გაიმარჯვა, არამედ მისი უდიდესი წვლილია იმაში, რომ სრულიად მოხსნა ყოველგვარი ბრალდება და ეუვი კანონიერი ხელისუფლების არაკანონიერ, არაკონსტიტუციურ ქმედებაზე. მით უმეტეს, საქართველოს დამოუკიდებლობის შემოქმედის, მისი პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ.

გურამ აბსანძემ შეძლო ის, რომ მისმა მედგარმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის საყოველთაო ხასიათი მიიღო და იქცა საქართველოში ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლად. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბრძოლამ პოლიტპატიმართა, პოლიტდევნილთა თუ სამხედრო ტყვეთა უფლებათა დასაცავად, რაც უკანონო პატიმრობიდან მათი გათავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გადაიზარდა. დიდი წარმატება იქნა მიღწეული. ამ წარმატების სათავეში მუდამ კანონიერი ხელისუფლების მომხრეები, მისი წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა გურამ აბსანძე იმყოფებოდა. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით გახდა

შესაძლებელი ხელისუფლების ტირანული, თავაშვებული მმართველობის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო აქციების ორგანიზებულად ჩატარება. ამ აქციებმა თვით ხელისუფლების რიგებშიც კი ჰპოვა ფართო გამოხმაურება, დაარწმუნა მათი ნაწილი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. ამ აქციების საყოველთაობამ ააღაპარაკა მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოება, ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები. ხელისუფლება იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე, მაგრამ – რაც შეიძლება უმნიშვნელოზე. სწორედ აქ წარმოჩინდა ბატონი გურამის შესაძლებლობა, მისი ავტორიტეტი. სწორედ იქ, ციხის საავადმყოფოს კედლებში უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარესთან მოლაპარაკებით იქნა მიღებული ის ვარიანტი 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებისა, რომლის საფუძველზეც ასეულობით პოლიტპატიმარმა, პოლიტდევნილმა, სამხერო ტყვემ მოიპოვა თავისუფლება.

ხელისუფლება, და ისიც ძალაუფლებით მოსული, ისე არაფერს დათმობს, მცირეოდენ მარცხზეც ასწილ იძიებს შურს. თუმცა ისიც უდავოა, რომ ადრე თუ გვიან თავისი ამ მრისხანების ცეცხლშივე დაიწვება. ასე მოხდა ამჟამადაც. მან მთელი თავისი სისასტიკე გურამ აბსანძისკენ მიმართა. არ არსებობს სასამართლო გამოძიებისა თუ პროცესუალური ნორმების არავითარი სახე, რომელიც გურამ აბსანძესთან მიმართებაში არ დარღვეულიყოს. ესეც არ იკმარა მოსამართლე ტყეშელაშვილმა და წინასწარდაგეგმილი პროვოკაციით დარბაზში შეყვანილმა სახელმწიფო დაცვის შეიარაღებულმა თანამშრომლებმა ატეხეს დებოში, დარბაზიდან კი გურამ აბსანძე გააძევეს. პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს განსასჯელთა ადვოკატებმა, დამსწრე საზოგადოებამ. ცარიელ დარბაზში „ბრალმდებელებმა" და „მოსამართლეებმა" 17 წლის პატიმრობა მიუსაჯეს აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანს, დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრემიერს, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს.

რომ არაფერი ვთქვათ უშუალოდ სასამართლო განხილვის არსობრივ მხარეზე, როგორც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისადმი წარდგენილი საკასაციო საჩივრიდან ჩანს, ათეულობით საპროცესო დარღვევა იქნა აღნუსხული, რომელთა უმრავ-

ლესობაც შემდგომში დადასტურებული იქნა სასამართლოს დიდი პალატის მიერ. გარდა ამისა დიდ პალატაში წარდგენილი იყო კერძო საკასაციო საჩივარი, სადაც მითითებული იყო, რომ სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევით გამოიტანა ოცზე მეტი განჩინება. ასეთი იყო გურამ აბსანძისადმი სასამართლოში პოლიტიკური ანგარიშსწორების აისბერგის ხილული ნაწილი,რომლის წყალქვეშა ნაწილი საფუძველს იღებდა ქაჯეთის ციხედ მონათლულ ე. წ. კანცელარიაში, უშიშროების საბჭოში. დრეიფის წამმართველ დინებად კი უშუალოდ პრეზიდენტად უკანონოდ აღზევებული ედუარდ შევარდნაძე გვევლინებოდა.

ასეთ ძალებთან ბრძოლაში იქნა მოპოვებული გამარჯვება და ეს იყო გამარჯვება საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა, ქვეყანაში არსებული ნაღდი დემოკრატიული ძალებისა, ყველა იმათი, ვინაც ამ ბრძოლაში იპოვა თავისი თავი, ნახა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. ტანჯვით, სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობა შეიძლება დაიკარგოს. დაიმსხვრა მოძალადე მონსტრის უძლეველობის მითი. ირწმუნა ხალხმა, რომ თუ შეუდრეკელად იბრძოლებ თავისუფლებისათვის, აუცილებლად მოიპოვებ მას.

***P.S.** წიგნი დასაბეჭდად მზად იყო, როცა ტელევიზიით მთელ საქართველოს აცნობეს: ხვალ, 19 მარტს, დღის 2 საათზე გურამ აბსანძე ციხის კედლებს დატოვებსო... ისევ ცხრიანით ნაწარმოები კალენდარული რიცხვი... ჩანს, ეს საქართველოს ბედისწერასთან გადანასკვული ციფრია... ღმერთმა ქნას, ამიერიდან ცხრას ისეთივე ამაღლებული დღეები მოეტანოს, როგორც ამჯერად!*

მივაღწევთ საქართველოს გაბრწყინებას

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ულოცავს ქვეყნის ისტორიაში ერთადერთი არჩეული, სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის, ერის განთავისუფლებისათვის ქვეყნის მტრების მიერ დევნილი ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრს, ვიცე-პრემიერს გურამ აბსანძეს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

საქართველომ თავისი არსებობის მანძილზე ერთადერთხელ, 1991 წელს მიიღო და შეასრულა ბიუჯეტი, თანაც ისეთი გაუთვალისწინებელი ხარჯების პირობებში, როგორიც იყო მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში რამდენიმე ათასი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება, გზების თავიდან გაყვანა, საქართველოში უდიდესი ხიდის (მდ.ჭოროხზე) აშენება, კრემლის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების მოგვარება და მრავალი სხვა. გვინდა შევახსენოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, რომ ამ ბიუჯეტის შედგენაზეც და შესრულებაზეც გურამ აბსანძე აგებდა პასუხს როგორც ფინანსთა მინისტრი. ამ პერიოდში, როდესაც ეროვნული ხელისუფლება ფაქტიურადაც მართავდა ქვეყანას, ბატონი გურამი გახლდათ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი, ხოლო 1991 წლის ქართული, რუსული და სხვა ქვეყნების წყაროების მტკიცებით, საქართველო პირველ ადგილზე იყო ეკონომიკური მდგომარეობით ჯერ კიდევ არსებული სსრკ-ს რესპუბლიკებს შორის.

მას შემდეგ, რაც ბოროტების იმპერია დაიშალა (რომლის მონაწილე პირადად გახლდათ გურამ აბსანძე) და ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარებული იქნა მსოფლიოს მიერ, რასაც იმპერიის მეხუთე კოლონის შეიარაღებული აგრესია მოჰყვა, განიდევნა პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო, აღმასრულებელი და ადგილობრივი

ხელისუფლება, ბატონი გურამი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ ყველაზე უახლოეს თანამებრძოლად დარჩა.

პრეზიდენტის მკვლელობისა და პრემიერ-მინისტრის ემიგრაციის შემდეგ, რომ არა გურამ აბსანძის დაუღალავი, თავდადებული მოღვაწეობა,საეჭვო იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განუწყვეტელი, შეუფერხებელი მოქმედება, რაც დღემდე გრძელდება.

1998 წლის თებერვალში თბილისში შევარდნაძეზე განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის მომზადება კანონიერ ხელისუფლებას, მისი დაფინანსება კი ბატონ გურამ აბსანძეს დაბრალდა. იგი კი ვერ დაიმალა, თვითონ ჩაბარდა „სამართალდამცავებს" და რამდენიმეწლიანი პატიმრობის შემდეგ სასამართლო პროცესზე, რომელიც მთელ წელიწადს გრძელდებოდა, დაიცვა არა მარტო თავისი, არამედ მთელი ეროვნული ხელისუფლების და, ამდენად, ამომრჩევლების, ანუ საქართველოს მთელი მოსახლეობის ღირსება, მიუხედავად სასამართლოს ტენდენციურობისა და შევარდნაძის მხრიდან მართლმსაჯულებაზე დაუფარავი ზეწოლისა, დაამტკიცა არა მხოლოდ ზემოთ ხსენებული, არამედ პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა დისკრედიტაციისათვის შეთითხნილი ყველა ბრალდების აბსურდულობა.

ბატონო გურამ!

იცოდეთ, რომ ის ცხრა ტყვია, რომელიც სამშობლოსათვის ბრძოლაში მოგხვდათ, როდესაც სხვებს გადაეფარეთ თქვენი გოლიათური სხეულით და რომელთაგან რვას დღესაც სხეულით ატარებთ, საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვროს მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, მტკიცებაა იმისა, რომ რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ქართველებს არ დაუკარგავთ თავისუფლებისაკენ სწრაფვა და მისთვის თავგანწირვის უნარი.

ბატონო გურამ, ამ მოლოცვას სევდაც ახლავს, რადგან ხელისუფლებაში ტერორით დაბრუნებულმა ბოლშევიკმა რევანშისტებმა დროებით დაგვაშორეს ერთმანეთს.

გვჯერა, მალე ერთად ვიქნებით, რაც საწინდარი იქნება იმისა, რომ ღვთის ნებითა და ჩვენი ერთობლივი მცდელობით მივაღწევთ საქართველოს გაბრწყინებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, გვენატრებით, გელოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით:

ნ.გურჯულაძე, რ.პეტრიაშვილი, ლ.ანდღულაძე,
ზ.ქოგალია, გ.დანგაძე, ი.ჩხეიძე,
ტ.გელანტია, მ.თუშმალიშვილი

ვამაყობთ თქვენით

საქართველოს ვიცე-პრემიერმინისტრს ბატონ გურამ აბსანძეს!

საქართველოს ეროვნული გვარდიის პირადი შემადგენლობა გილოცავთ დაბადების 50 წლისთავს.

ბატონო გურამ, თქვენი განვლილი ცხოვრება სამაგალითოა საქართველოს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის. თქვენ, ჭეშმარიტმა ქართველმა, საქართველოს ავბედობის ჟამს გამოიჩინეთ უდიდესი ნებისყოფა და ვაჟკაცობა. რაინდულად ედექით გვერდით ქვეყნის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას და კანონიერ ხელისუფლებას. თქვენი ვაჟკაცობის მაგალითზე აღიზრდება ქართველი მხედრობის არაერთი თაობა.

ჩვენ ვამაყობთ თქვენით და გარწმუნებთ, რომ თქვენთან ერთად ბოლომდე ვიბრძოლებთ საქართველოში კანონიერების აღდგენისათვის, ტერიტორიული მთლიანობის, საქართველოს სახელმწიფოს დაცვისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას. დაწყებული საქვეყნო

საქმის დაგვირგვინებას საქართველოსა და ქართველი ერის საკეთილ-დღეოდ!

გფარავდეთ წმინდა გიორგი!

ვ.ჭოგბალია,
ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი,
გვარდიის პოლკოვნიკი

რ.ლაკია,
მთავარი შტაბის უფროსი,
გვარდიის პოლკოვნიკი

ჯ. გოკუჩავა,
ოპერატიული სამსახურის უფროსი,
გვარდიის პოლკოვნიკი

18 აპრილი, 2002 წელი

თქვენი ბრძოლა სამართლიანობის აღდგენის საწინდარია

გურამ აბსანძეს – დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრს, დევნა და რეპრესია გამოვლილს, ჯალათების მიერ ცხრაკლიტულში გამოკეტილს, პოლიტპატიმარს, სულით გაუტეხელ რაინდს ამ თავგანწირულ ბრძოლაში შუახნოვანების ჟამი დადგომია...

18 აპრილს ბატონ გურამ აბსანძეს 50 წელი უსრულდება.

თავის ამ ორმოცდამეათე გაზაფხულს,ისევე, როგორც ბოლო ათწლეულის ყველა დაბადების დღეს, საყვარელი ოჯახისა და ახლობლების გარეშე, გისოსებს მიღმა ხვდება გულალალი, გაუტეხელი სულის ვაჟკაცი.

გურამ აბსანძემ მის წინააღმდეგ მოწყობილი სასამართლო პროცესი ხელისუფლების სასამართლოდ აქცია და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა არა მარტო თავისი, არამედ კანონიერი ხელისუფლების სახელით. დაამტკიცა არა მარტო საკუთარი უდანაშაულობა, არამედ დამ'ხობილი ხელისუფლების „სხვა წარმომადგენელთა მიმართ შეთითხნილი ყველა ბრალდების აბსურდულობა"

თავისი ბრძოლით მან გზა გაუხსნა ეროვნული თანხმობის რეალურ პროცესს. ბატონი გურამი იყო ყველა საპროტესტო თუ სხვა ღონისძიების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, რომელთა შედეგად ასეულობით პოლიტპატიმარმა და პოლიტდევნილმა მოიპოვა თავისუფლება. მისი არნახული ძალსხმევით იქნა მიღებული 2000 წლის 20 აპრილის ცნობილი დადგენილების დღევანდელი ვარიანტი, ნაცვლად ხელისუფლების მიერ შეთითხნილი არაფრისმთქმელი პროექტისა. ხოლო, როცა პოლიტპატიმრებმა უარი განაცხადეს გურამ აბსანძის გათავისუფლების გარეშე ციხიდან გამოსვლაზე, მაშინ მან კატეგორიულად განუცხადა თანამებრძოლებს, რომ დაწყებული ეროვნული თანხმობის პროცესის მიზნით უარი ეთქვათ მის დასაცავად გამოთქმულ პროტესტზე.

ბატონი გურამის ასეთი მიდგომა ეროვნული თანხმობის პროცესისადმი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული საზოგადოებრიობისათვის. მოძრაობამ გურამ აბსანძის დასაცავად საყოველთაო ხასიათი მიიღო. მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა უშუალოდ გადაეჯაჭვა ეროვნული თანხმობის პროცესს.

160 პარლამენტარის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილ შუამდგომლობაში ვკითხულობთ: „მიგვაჩნია, რომ ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს ეროვნული თანხმობის პროცესის განმტკიცებას და დადებითად წაადგება ქართველი ერის გამთლიანების საქმეს"

გურამ აბსანძის როლი ქართველი ერის გამთლიანების პროცესში აღიარებული იქნა მთელი პარლამენტის მიერ. როდესაც პლენარულ სხდომაზე, სადაც ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის საქმიანობის ანგარიში განიხილებოდა, ამ კომისიის

თავმჯდომარის ბატონ ვასილ მაღლაფერიძის მიერ აღნიშნული იქნა: „მე მადლობას მოვახსენებ ბატონ გურამ აბსანძეს, კომისიის წევრები დამეთანხმებიან, რომ მან განსაკუთრებულად მძიმე პირადული მდგომარეობის მიუხედავად არაერთგზის მოგვმართა და მუდმივად ააყენებდა თანხმობისა და სახელმწიფო ერთიანობის იდეას პირად გგანცდებზე მაღლა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანხმობის პროცესში. უფრო მეტიც, ვიტყოდი, რომ ის იყო თანხმობის კომისიის ერთ-ერთი არაოფიციალური წევრი და ამ მიზნით ბევრ კრიტიკულ სიტუაციაში გამოიყენა თავისი ავტორიტეტი"

გურამ აბსანძის ავტორიტეტი და საქმიანობის მიზანი მუდამ მიმართულია საქართველოს თავისუფლებისა და ღიდებისაკენ, ამიტომაც იყო ის ასეთი „დამთმობი", როცა საქმე ეხებოდა ეროვნული თანხმობის პროცესს. მოდით, თავად ბატონ გურამს მოვუსმინოთ: „უფალი გვეუბნება, შური არ უნდა ვიძიოთ ჩვენთვის, არამედ ადგილი უნდა დავუთმოთ უფლის რისხვას: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ" მე, როგორც ქრისტიანი, ვემორჩილები ამ მოთხოვნებს, ამიტომ შურს არ ვიძიებ..." ასეთია მისი მორალი, საპირისპიროდ ხელისუფლებაში მოკალათებული არაკაცებისა და მათ მიერ მოსყიდული უპრინციპო კაცუნებისა. როგორც ყოველთვის, ღვთიურმა სამართალმა ამჯერადაც გგაიმარჯვა. გურამ აბსანძისა და კანონიერი ხელისუფლებისადმი სსიცრუითა და ცილისწამებით მოწამლული, ზურგშექცეული მასა (ხალხი) გაერკვა სიმართლეში, დარწმუნდა მის უდანაშაულობაში. დღეს სრულიად საქართველო, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ბბედნიერდით უდგას და მის გათავისუფლებას მოითხოვს. აი, ის საჩუქარი, რომელიც ბატონმა გურამმა ათწლიანი პოლიტიკური ანგარიშსწორების საფასურად მიიღო. ყველამ იწამა, რომ გურამ აბსანძეს სსამშობლო საკუთარ თავზე მეტად უყვარს.

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით, ბატონი გურამი დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ექვემდებარება, ოოგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, პოლიტიკურ ანგარისწორებას პირადული შეენაცვლა. ედ. შევარდნაძე აბუჩად იგდებს ხალხის ნებას, კანონის უზენაესობას, ყოველნაირად ეღობება ციხიდან მის გამოს-

ვლას. მიუხედავად ამისა, გვჯერა, ბატონო გურამ, რომ ახლო მომავალში დააღწევთ თავს ამ უსამართლო ტანჯვა-წამებას და ბოლომდე მიიყვანთ ეროვნული თანხმობის პროცესის თქვენს მიერ გაკვალულ გზას, რაც სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის საწინდარიც იქნება.

პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა
საკოორდინაციო ცენტრი

მზემოწყურებული რაინდი

გურამ აბსანძე რაინდია!..

– მიზნისა და იდეის სისხლხორცეულად ერთგულ ადამიანს სხვა რა უნდა ვუწოდო. მის დევურ არსში გმირკაცის სული ბობოქრობს, მუდამჟამს ამბოხისა და შერკინებისათვის მზადმყოფი.

ქართველი კაცის ოცნებად ქცეული სამყაროსოდენი თავისუფლება გურამ აბსანძემ ვაჟკაცურად ატარა და, ხეკორძულას არაკისა არ იყოს, მკლავი ვერ მოსჭრეს, მაგრამ ათგზის ნატყვიარი და ნატკივილარი ციხეში გამოამწყვდიეს. თუმცა, უგულსულო ფაქტობრივ ხელისუფლებას ვერ შეუგნია, რომ გურამ აბსანძის სულიერი დატყვევება შეუძლებელია, ხორციელად კი ის იქაც თავისუფალია.

გურამ აბსანძე ტკივილიანი ბედ-იღბლით, როგორც მრავალი ღირსეული ქართველი, თავის სამშობლოს წარსულსა და აწმყოს ჰგავს. მომავალი კი, აუცილებლად ნათელი ექნებათ საქართველოსაც და მასაც. მან ლომის წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის მომავლის ნათელყოფაში, რამეთუ ბატონი გურამი ის მუხაა, ფესვები ლოცვებივით რომ აქვს შემოხვეული ყველა მართლმადიდებელი და ჭეშმარიტი ქართველის გულისა და გონისათვის.

გურამ აბსანძის სჯერათ!

გურამ აბსანძეს ელოდებიან!

გურამ აბსანძეს გაჰყვებიან!

ბატონი გურამი 50 წლისა გამხდარა. ნახევარსაუკუნემოლეული გმირკაცი კვლავ მედგრად დგას და ემზადება ახალი საქმეებისათვის, ახალი ბრძოლისათვის. მისი გზა ბრძოლის გზაა, მერმისისაკენ სისხლით მიმავალი.

მე მრავალგზის შევხვედრილვარ ბატონ გურამს საკანში და მუდამჟამს განცვიფრებული და იმედით სავსე წამოვსულვარ იქიდან. ის არასოდეს ჰგავდა და არც ჰგავს ტუსაღს, რომელსაც მზე მოაწყურეს, ოჯახს მოაშორეს. მასთან რჩევებისათვის მისულებს, იმედით ფრთაშესხმულებსა და ხალისიანებს გვიშვებდა. მუდამ გვაოცებდა ის, თუ საიდან ჰქონდა ციხეში მყოფ ადამიანს ზღვა ინფორმაცია პატარა წვრილმანზეც კი. ესეც ლიდერის თვისებაა ალბათ.

გურამ აბსანძემ ვერ აიტანა ტყვეობა თუ მძევლად ყოფნა და გაიქცა. გაიქცა იმიტომ, რომ რაინდია. თანაც, ფაქტობრივ ხელისუფლებას დაუმტკიცა მისი ყოველმხრივი უნიათობა და უსუსურობა. ამავდროულად თავისუფლად შეეფიცხა მზეს და ხარბად ჩაისუნთქა გისოსებმიუკარებელი ჰაერი. ესეც რაინდული თვისება და სურვილი ყოფილა თურმე!..

ვულოცავ ბატონ გურამს იუბილეს, ღმერთმა სიკეთე და ბედნიერება ნუ მოაკლოს მას, თავისი მრავალგზის ნატკივილარი ოჯახისა და სვეუბედური ქვეყნის საკეთილდღეოდ!..

და ბოლოს, ეს მილოცვა-ბარათი მისივე, სადღეგრძელოდქცეული სიტყვებით მინდა დავასრულო: „ეს იმ კაცს გაუმარჯოს, თავისი ქვეყანა საკუთარ თავზე მეტად რომ უყვარს!.."

თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო გურამ!

სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით,

ლაშა გვასალია

10 აპრილი, 2002 წელი
ხობი

გამოვხატავთ მადლიერებას

ბატონო გურამ!

სამეგრელოს რეგიონის ეროვნული გვარდიის წევრები გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – 50 წლის იუბილეს.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ თქვენი ვაჟკაცური შემართებით, საპოლიციო რეჟიმის მესვეურთა მიმართ გამოჩენილი მამაცობით და გამოვხატავთ მადლიერებას.

ბატონო გურამ, მალე მოგველოცოს თავისუფლება. გისურვებთ მზეგრძელობას და დღეგრძელობას. XXI საუკუნე ყოფილიყოს თქვენთვის, მთელი ეროვნული მოძრაობისათვის აღმავლობის, წინსვლისა და სიხარულის მომტანი.

წმინდა გიორგის მადლით გასხივოსნებულს დიდხანს გქონოდეთ ძალა და ენერგია ერის სამსახურისათვის.

გილოცავთ ამ დღეს უპრეტენზიო, დიდსულოვანო ადამიანო!

ს.ელიავა,
საქართველოს რეგიონის ეროვნული გვარდიის კავშირის
თავმჯდომარე

12 აპრილი, 2002 წელი

კვლავაც აღზევდება ქართული სული

ბატონო გურამ!

გამოჩენილ მამულიშვილს, ჭეშმარიტად არჩეული კანონიერი ხელისუფლების დიდებულ და ღირსეულ წარმომადგენელს მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს – 50 წლის შესრულებას და სამშობლოს

მოღალატე ხუნტისადმი ქედუხრელ წალენჯიხელთა სახელით გისურვებთ კვლავაც მედგრად მდგარიყავით ეროვნული სიმართლისა ადამიანური ღირსების სადარაჯოზე.

წალენჯიხაში, იმ რაიონში, რომელმაც სამეგრელოში ყველაზე მეტად გამოსცადა მოძალადე ხელისუფალთა სამთავრობო ჯარისაგან ანუ ბანდიტური შენაერთებისაგან სისხლიანი რბევა და ტოტალური ძარცვა-გლეჯა, არც დღეს განელებიათ სიძულვილი არაკაც მკვლელთა და მძარცველთა მიმართ, ხოლო თქვენ კი, რომელსაც წამითაც ძირს არ დაგიხრიათ კანონიერებისა და საქართველოს თავისუფლებისათვის თავგანწირული, უებრო პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ აღმართული დროშა, შემოსილი ხართ პატიოსან წალენჯიხელთა დიდი სიყვარულით.

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ თქვენი ვაჟკაცობით! სამშობლოს მტრებმა მოინდომეს გაენადგურებინეთ ფიზიკურად – ცხრა ტყვია დაგახალეს, მაგრამ გაუძლო თქვენმა ბრგე სხეულმა, მოინდომეს გაენადგურებინეთ სულიერად – ოთხ წელზე მეტია საპატიმროს დილეგში გამოგამწყვდიეს, ათასგვარი ცრუ ბრალდებით შეეცადნენ შეებღალათ თქვენი მეობა, პრინციპულობა, შეუდრეკელობა, მაგრამ თქვენ ყოველი წინააღმდეგობა შესაშური შემართებით გადალახეთ და სიცოცხლეშივე გადაიქეცით თაობათა სათაყვანებელ ლეგენდარულ პიროვნებად. იმპერიის მიერ დასმული, სისხლითა და ბიწიერებით შეზავებული ფაქტობრივი ხელისუფლების ფონზე თქვენ მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს დაუმტკიცეთ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დიდი სიმრთელე და სიდიადე.

გვჯერა, რომ კვლავაც აღზევდება ქართული გმირული სული, კვლავაც განმტკიცდება საქართველოს ერთიანობა, რისი ერთგულიც თქვენთან ერთად არის თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის ავანგარდი.

თქვენდამი დიდი მადლიერების გრძნობით,

ელგუჯა მესხია, სერგო ჟვანია, თამაზ ფიფია, ანზორ კვარაცხელია, რამინ გოგოხია

ფიცის ბოლომდე ერთგული

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრს, უკანონო პატიმრობაში მყოფ ბატონ გურამ აბსანძეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. იგი უკანონო ხელისუფლების საპყრობილეში გამოკეტილი ეგებება ამ საიუბილეო თარიღს. ეს გულდასაწყვეტი, მაგრამ ჩვენი სინამდვილისათვის არც თუ ისე უჩვეულო მოვლენაა.

ოთხი წელიწადია, ბატონი გურამი საპატიმროში იტანჯება, თუმცა დღევანდელმა გაკოტრებულმა რეჟიმმა მას ვერაფერი დაუმტკიცა, რადგანაც ამისათვის რეალური საფუძველი არ არსებობდა. მას ასეთი ხვედრი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და ერთხელ დადებული ფიცის ერთგულების გამო არგუნეს. ეს რეჟიმი საწადელს იმით აღწევს, რომ აბსურდული ბრალდებებითა და გაჭიანურებული „პროცესების" წყალობით წლობით იზოლაციაში ამყოფებს მისთვის არასასურველ პირებს. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვაზე ლაპარაკი ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია.

გურამ აბსანძისა და სხვა პატრიოტთა პოლიტიკურ ნიადაგზე დაპატიმრება ნიშნავს ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ინტერესების, კანონიერებისა და სამართლიანობის სრულ იგნორირებას.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მიმდინარე დამანგრეველი პროცესების უმთავრესი მიზეზი არის კანონიერი ეროვნული ხელისულების შეიარაღებული გზით დამხობა. აქედან გამომდინარე, ბატონი გურამ აბსანძე ისევე, როგორც ბევრი სხვა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ბატონ გურამ აბსანძეს ეროვნული ხელისუფლების შინაგანი რევანშისტებისა და იმპერიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის არც ერთ ეტაპზე პოზიცია არ დაუთმია. თავისი პრინციპულობის გამო მან ბევრი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა გადაიტანა, ვერც მოძალადეთა

ტყვიას დაემალა – მან ცხრა მძიმე ჭრილობა მიიღო.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების იარაღით დამხობის შემდეგ ბატონი გურამ აბსანძე მთელი ძალისხმევით იბრძოდა კანონიერების აღდგენისათვის. იგი ფაქტობრივი ხელისუფლებისათვის ფრიად არასასურველი ფიგურა შეიქნა.

ბატონ გურამ აბსანძეს დევნილობისა და პატიმრობის დუხჭირი წლები კიდევ უფრო დაუმძიმა უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანების – დედისა და ძმის ნაადრევმა სიკვდილმა, რომლებმაც ვერ გაუძლეს არნახულ დევნასა და გაუგონარ ცილისწამებას. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას გურამ აბსანძის, როგორც პოლიტპატიმრის, სულიერ სიმტკიცესა და პრინციპულობას. მისი ყველა წერილობითი თუ ზეპირი გამოსვლა უსამართლობასთან თავგანწირული ბრძოლის მაგალითია.

ჯანსაღი აზროვნებისა და ზნეობის მქონე ნებისმიერ ქართველს უფლება არა აქვს არ გაითავისოს გურამ აბსანძის ასეთი თავდადება, ვინაიდან იგი ერთიანად სჭირდება ყველას, ვისაც არ დაუკარგავს უზენაესი საკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემა, სამშობლოსა და სამართლიანობის პრინციპებისადმი ერთგულება. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩვენ მოვუწოდებთ სრულიად საქართველოსა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებს, ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, კიდევ ერთხელ გამოიჩინონ ძალისხმევა ბატონ გურამ აბსანძისა და სხვა ქართველი პოლიტპატიმრების ინტერესების დასაცავად, რათა ჩვენს ქვეყანაში თავის ძალმოსილებაში აღსდგეს კანონიერება და სამართლიანობა.

დასასრულს, გვინდა ჩვენს უსამართლოდ დაჩაგრულ, მაგრამ გაუტეხელ კოლეგას სულითა და გულით მივულოცოთ ეს საიუბილეო თარიღი. ვუსურვოთ მას ჩვეული სულიერი და ფიზიკური მხნეობა. მოვა დრო და პირუთვნელი მემატიანე სამშობლოს პატრიოტსაც და მოღალატესაც თავიანთ კუთვნილ ადგილს მიუჩენს ისტორიაში. ბედნიერია ის, ვინც სამართლიან ბრძოლაში დაიდებს წილს, რადგანაც ამ ბრძოლას უკვდავი და ამაღლებული მისია გააჩნია, რაც ერის სიცოცხლესა და მუდმივ განახლებაში გამოიხატება. გვწამს, რომ ბატონი გურამ აბსანძის მიერ გაღებული მსხვერპლი ამ სასიცოცხლო ნაკადის შემავსებელი ძალაა.

მალე თავისუფლება და კიდევ ორჯერ ორმოცდაათი წელი მოგველოცოს, ბატონო გურამ, თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად!

მედეა თუშმალიშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი

ტარიელ გელანტია,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი,
ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე (გერმანია)

თენგიზ გარამიძე,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი,
ქ.ფოთის პრეფექტი (გერმანია)

იური გურკაძე,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი(ჰოლანდია)

ზაზა პეტრიაშვილი,
ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტი

გოგი ჩიქავა,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი

მარლენ თოფაძე,
გლდანის რაიონის პრეფექტი

გიძინა გიორგოგიანი,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი

ზურაბ გუჩუა,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი,
წალენჯიხის რაიონის პრეფექტი

ავთანდილ კიწურაშვილი,
წალენჯიხის რაიონის საკრებულოს გამგებელი

ვანო ტურაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი,
ახმეტის რაიონის პრეფექტი

გივი თაქთაქიშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი

ვლადიმერ აბრალავა,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი,
წალენჯიხის რაიონის პრეფექტურის სპორტისა და ტურიზმის
განყოფილების გამგე

ვიქტორ დომუხოვსკი,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი

გოგი გულბანი,
საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების
უზენაესი საბჭოს წევრი,
იურიდიული კომისიის წევრი (ფინეთი)

გადამწყვეტია ძალთა გაერთიანება

ბატონო გურამ!

გილოცავთ დაბადების დღეს, საიუბილეო 50-ე წელს!

გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს ოჯახთან, სიძე-ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად.

თქვენ, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა და სახელმწიფო მოღვაწემ, ურთულესი გზა გამოიარეთ. პრაქტიკულად ყველაზე ლამაზი წლები შესწირეთ ქართულ საქმეს.

ხელისუფლება, რომლის სათავეებთან ეროვნული მოძრაობის პატრიარქი ბატონი ზვიად გამსახურდია იდგა და რომლის ერთ-ერთი წევრი თქვენ ბრძანდებოდით, არის საქართველოს რიგით მეორე (ნოე ჟორდანიას ხელისუფლების შემდეგ) კანონიერი, ლეგიტიმური ხელისუფლება უკანასკნელი 200 წლის მანძილზე. ეს ფაქტი ისტორიული ღირებულების მქონეა და დარწმუნებული ვართ, რომ მას უსათუოდ ექნება ლოგიკური გაგრძელებაც.

თქვენს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას და დაუშრეტელ ენერგიას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ მიუხედავად იმ სიცხლიანი ტერორისა და აუნაზღაურებელი დანაკლისისა, რაც სამხედრო კრიმინალურ გადატრიალებას მოჰყვა, დევნილი ხელისუფლება შენარჩუნებული იქნა. მთავარია ისიც, რომ იგი დარჩა იმ იდეების ერთგული, რისი ძალითაც შეიცვალა კიდევაც ყველაზე სისხლიანი, დიქტატორული (კომუნისტური) რეჟიმი კანონიერი ხელისუფლებით.

კანონიერი ხელისუფლება უზარმაზარი დატვირთვის მატარებელია თუნდაც იმიტომ, რომ ამ „ეროვნულში" ჩადებული იყო არა მარტო ქართველი ერის, არამედ მასთან ერთად საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის კომუნისტური უღლისაგან განთავისუფლება

და მათი ინტერესების დაცვა. სხვა საკითხია, ეს ვინ როგორ გაიგო, ან ვინ როგორ გამოიყენა თავისი ვიწრო კორპორაციული თუ ველი-კოდერჟავული მიზნების მისაღწევად.

კანონიერ ხელისუფლებას არავისთვის მიუცია საბაბი არც ქვეყნის შიგნით და არც მის ფარგლებს გარეთ, რომ შემდგომში დამხობილი, დევნილი და რეპრესირებული ყოფილიყო. ის გახდა საერთაშორისო ინტრიგისა და შეთქმულების მსხვერპლი, რომლის ინსპირატორი თვით საბჭოური პერიოდის ხელისუფალთა კორუმპირებული ფენა იყო.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს პოლიტიკური აზროვნების მრუდი შედარებით ობიექტურად ასახავს მოსახლეობის დამოკიდებულებას არსებული რეჟიმისადმი, რომელიც, როგორც არასდროს, უარყოფითია. ფაქტობრივმა ხელისუფლებამ დაკარგა ის ადმინისტრაციული რესურსი, რითაც ახერხებდა მოსახლეობის მოტყუებასთან ერთად მის მართვას.

ძირითადი ფაქტორი, რომლის ძალითაც ფაქტობრივი ხელისუფლება ასე თუ ისე ინარჩუნებს საკუთარ თავს, პოლიტიკური ძალების გათიშულობაში მოიძიება.

ძალთა გაერთიანება, აი, რა არის ამჟამად გადამწყვეტი.

ბატონო გურამ!

თქვენ უდაოდ ფლობთ ამ გამაერთიანებელ ძალას. საკითხი დგას მხოლოდ ეროვნული ძალების გაერთიანების სიბრტყეში. ეს არის ისტორიული მისია, რომელიც თქვენ უნდა იტვირთოთ.

ფ.ნიცშე ამბობდა: მძულს კაცი, რომელსაც პატიება არ შეუძლიაო. თქვენ თქვენი ბუნებით, უშუალობით და ჰუმანურობით აკმაყოფილებთ ამ ფილოსოფიურ ფორმულას, რომელიც მრავალუცნობიანი ამოცანის გასაღები უნდა გახდეს.

ამიტომაც ველით ასე მოუთმენლად თქვენს განთავისუფლებას. გვჯერა, რომ ეს მალე მოხდება და გაერთიანებულ საქართველოსაც ვიხილავთ.

ერთხელ კიდევ გილოცავთ დაბადების დღეს.
მრავალჟამიერ!
ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!
ამინ!

თენგიზ ჩაჩავა, კოტე ფირცხალავა, ვლადიმერ ჯოლოგუა, გია მამფორია, რევაზ ფაჩუაშვილი, ზურაბ სამუშია, გია ფერაძე, ზაურ კვარაცხელია, ვალერი ქოგალია, გია გიორგაძე, ვალერი გაგელია, მარი ჟღენტი, ლამზირა ფირცხალავა, ავთო მღებრიშვილი, სოსო ჟვანია, გორის კალანდია, ლუიზა ჯიგღაშვილი, გადრი ჭუთელია, გიული ჯალალონია, მურთაზ ჩიქოვანი

აპრილი, 2002 წელი
მოსკოვი

გვეამაყები!

ჩვენო გურამ!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსებისა და კრედიტის" სპეციალობის 1974 წლის კურსდამთავრებულები გულწრფელად გილოცავთ დაბადების 50-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანის და სულის სიმრთელეს ჩვენი მამულის საკეთილდღეოდ.

მართალია ახლა გისოსები გვყოფს, მაგრამ მარტო შენ ხომ არა ხარ თავისუფლებაშეზღუდული? ჩვენი თავისუფლება ილუზორულია. მანდ თუ ერთი ან რამდენიმე კაცია საკანში გამოკეტილი, აქ, გისოსებს გამოლმა, ყველა დანარჩენნი, ზედამხედველთა გარდა, ერთ დიდ საკანში

ვართ შეყრილები და ამას ჩვენდა სამარცხვინოდ თავისუფლება ჰქვია (?!). საბედნიეროდ, მხოლოდ ფიზიკურად გვერევიან.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას, ჩვენს შორის გამორჩეული იყავი. პირველობას არავის უთმობდი, ლიდერობდი, სიმართლის მოყვარული და მოურიდებლად პირში მთქმელი მაშინაც არ ეპუებოდი უსამართლობას. რაც გწამდა და გჯეროდა, იმისი ერთგული დამცველი იყავი.

ახლაც, როცა ზოგიერთებმა ცხვირსახოცებივით იცვალეს შეხედულებები თუ პარტიები, იქ გადაბარგდნენ, სადაც ხეირს ელოდნენ, შენ საკუთარი იდეალების ერთგული დარჩი. სწორედ ამიტომაც გვიყვარხარ და გვეამაყები.

გვეამაყება, რომ უღლის გამწევიც ჩვენიანი გყავს, ჩვენი ჯგუფელი, სწორედ ისეთი, ქართველი ქალის, მისი პატიოსნების, სინდის-ნამუსის ეტალონად რომ გამოდგება. ამდენ ჭირვარამგამოვლილს ისევ საკუთარზე მეტად მოყვასის სატკივარი რომ სტკივა.

ჩვენო გურამ, არწივი გალიაში დიდხანს ვერ დარჩება, მის მაგივრობას ბელურა ვერ გასწევს, თუნდაც ცხრაგზის თავისუფალი იყოს. გვჯერა, სულ მალე დაუბრუნდები ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, რაც მთავარია, შენს საყვარელ სამშობლოს და მისი კეთილდღეებისათვის ბრძოლის ალამდარად მოგვევლინები.

კვლავ მოგვასწრებს, ალბათ, ღმერთი
არწივების ცაში ლივლივს,
თუკი ერთად, როგორც ერთ დროს,
ქართველები ერთ გზით ვივლით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, როგორც ძმას, ისე გეხვევით და გკოცნით. გფარავდეს უფალი.

სიყვარულით,

შენი თანაჯგუფელები

18. 04. 2002 წ.

გურამ აბსანძე

გურამ აბსანძე დიდი საბაბია ისაუბრო ჩვენი დროის რაინდზე. ეს სჭირდება იმ ქართველებს, ვინც შეგნებულად ამცირებს ერის ღირსებას და იმათაც, ვისაც შეუგნებლად სჯერა ამის.

დრომ, ულმობელმა და უშეღავათომ ბევრს მოუწყო გამოცდა და ჭეშმარიტი შეფასებები მოსთხოვა, ხალხს კი უკულმართობის სწორი წაკითხვაც ასწავლა. ბევრმა უკვე იცის, ვის რატომ ეწოდა „სამშობლოს მოღალატე" და ვის – ღირსების ორდენის კავალერი.

ძველმა აბრევიატურამ პიროვნების ამოსაცნობად აღარ ივარგა. თვით კომუნისტებში ცოტა არ აღმოჩნდა მამულიშვილი, ეროვნულ მოძრაობაში კი – მედროვე. მაგალითი პირველისა გურამ აბსანძე იყო.

ზვიად გამსახურდიას, როგორც ადამიანის და ხელისუფალის, დამსახურება ისიც იყო, რომ პარტიული კუთვნილებით არ ზომავდა კადრების სიავკარგეს. კომუნისტური იმპერიის დამხობის ნატვრაში დავაჟკაცებული, იგი ცეცხლითა და მახვილით არ დაუპირისპირდა თანამდებობებზე აღზევებულ კომუნისტ თანამემამულეებს.

გურამ აბსანძეს ნიჭიერი ფინანსისტის რეპუტაცია უკვე ჰქონდა მოპოვებული. პროფესიული კარიერა ზუგდიდის საფინანსო განყოფილებიდან მოსკოვში ერთ-ერთი საკავშირო სამინისტროს განყოფილების უფროსობამდე მისმავე ნიჭმა გაუკაფა. ეროვნულმა ხელისუფლებამ იგი რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დაამტკიცა.

ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი გურამ აბსანძე ძლიერისა და დიდის შთაბეჭდილებას გარეგნობითაც ტოვებდა. ბალზაკის გაბარიტების ფინანსთა მინისტრი იმედიანობას ამკვიდრებდა უზენაესი საბჭოს ეროვნული შემადგენლობის თვალშიც.

ვისაც გ.აბსანძის მინისტრად დამტკიცების ცერემონიალი ახსოვს, ახლოს იმასაც შეამჩნევდა, როგორ დაგორდა მისი თვალიდან ცრემლი იმ მადლიერების ნიშნად, რომ მას ნდობა გამოუცხადეს.

გვიან ბატონი გურამისაგან გამიგონია: „ეროვნული მოძრაობიდან არ მოვსულვარ, მაგრამ ზვიადს ფიცი მივეცი და არ ვუღალატებ" ამ ფაქტში თვალსაჩინოდ გამჟღავნდა ეროვნული ხელისუფლების-

დროინდელი კურსი ეროვნული თანხმობისა.

ცნობილია, რომ დევნილ ეროვნულ ხელისუფლებას ვალი არ დარჩენია. ეს ფაქტი დღეს მეტ ყურადღებას იმსახურებს. საფინანსო პოლიტიკის ამგვარად წარმართვა, რუსეთის მხრიდან მკვეთრი ბლოკადის პირობებში, გურამ აბსანძის დამსახურება იყო.

და მაინც, იმხანარდ გურამ აბსანძე კარგი პროფესიონალის ჩარჩოში განიხილებოდა მხოლოდ. მისი პიროვნების სრული მასშტაბი ბოლო ათწლეულის ძნელბედობამ უფრო გამოაჩინა; დრომ, რომელმაც ყალბად აღმატებული ეპითეტების ბურუსი განფანტა და ნამდვილი სახელი მოუძებნა ყველაფერს.

ჩვენმა დრომ გმირები და ყაჩაღები გაათვალსაჩინოვა. ამ ანტიპოდური ძალების ჭიდილში გაცხადდა კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის, მართალისა და მტყუანის მარადიული დაპირისპირება. ეს ორი ძალა დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია გამოსული საზოგადოებრივ ასპარეზზე – მედიის ბასრი ერთნაირად ცელავს ორივე მხარეს. ახლა წყდება ჩვენი ქვეყნის არა მარტო ტერიტორიული მთლიანობის, არამედ სამოთხის ამ კუთხეში მცხოვრებთა ზნეობრივი ჯანმრთელობის ბედიც – ვინაა ღირსი იყოს ასეთი სამშობლოს მკვიდრი და პატრონი.

ბოროტებას სიკეთის სისუსტის იმედი აქვს და დღენიადაგ იღვწის მისი დაუძლურებისათვის. როცა გურამ აბსანძე გისოსების მიღმაც ისეთივე საშიშია ბოროტებისათვის, როგორც ბორკილდადებული ამირანი – გადარჩენის იმედი არ კვდება. მჯერა იმ ჯიშის უკვდავებისა, რომელმაც საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო და ჩვენი პატარა ქვეყანა ამ დრომდე მოიყვანა. მჯერა იმიტომაც, რომ თავისი უპირატესობის მიუხედავად, გურამ აბსანძე მარტო არაა. ბოლო ათწლეულმა მისდაგვარი ღვთისშვილებიც ცოტა როდი მოუვლინა დედა-სამშობლოს. მათ მხრებზე დგას ერის ღირსება, უკვდავი ქართული სული, რომლის უმთავრესი მოვალეობაა მამულის ამაღლებისა და სიცოცხლისათვის ზრუნვა.

გურამ აბსანძე დღეს 50 წლისაა და ერთ-ერთი საყრდენი ბოძია ერის იმ სულიერი ტაძრისა, რომელშიც სუფევს: სიყვარული, ერთგულება, ეროვნული და პიროვნული თავმოყვარეობა, ტრადიციისა და

წინაპრებისადმი პატივისცემა, მემკვიდრეებისადმი მოვალეობის შეგრძნება. მძიმე ტვირთია ეს დღევანდელი ქართველისათვის, მაგრამ ბატონი გურამის პიროვნულ მომხიბვლელობას აორკეცებს ტრაგიკულობისაგან განმმუხტავი ჯანმრთელი და ნიჭიერი იუმორის გრძნობა. ამგვარ ადამიანთა არსებობა ამართლებს ჩვენი ერის უფლებას სიცოცხლეზე და გმირი ხალხის რეპუტაციაზე.

როცა სიკეთის ძალაზე ვლაპარაკობთ, გურამ აბსანძის მაგალითზე არ გვეპატიება საპატიო ადგილი არ მივუჩინოთ მის გულს. ჩვენი სულიერი ღირსების ბრძენი და რაინდი დამფასებელი რუსთველი მიგვითითებდა: „უგულო კაცი არ კაცობს, კაცთაგან განაკიდია"

გურამ ხბსანძე არა მარტო ნაღვაწი, არამედ ბრძოლაგამოვლილი კაცია. მის სხეულში ჩარჩენილი ძმათამკვლელის 9 ტყვია ერის მეხსიერებაში ქვეყნის ხელახლად დამმონებლისა და სიძულვილით მისი სულიერების წამხდენის სიმბოლოცაა. სიკეთის ძალით გურამ აბსანძესთან შურისძიება პიროვნულ მოტივირებას არ ექვემდებარება. მას არ შეუძლია სძულდეს ჰირადი მტერი, თუ იგი საქართველოს მტერიც არაა.

ჩვენი მწარე დროც იმითაა ღირშესანიშნავი, რომ დაგვაახლოვა სიბრძნეს – თუ სამშობლო უბედურია, ცალკე კაცი ბედნიერი არ შეიძლება იყოს; რომ სამშობლოშია გაერთიანებული ყოველი ჩვენგანის მე.

სწორედ ასეთი შეგნება იყო ჩვენში ჩაკლული 200 წელი და იგივეს გვიპირებენ მომავალშიც. ყელში მხოლოდ XX საუკუნი 80-90-იანი წლების ის ვიწრო ზოლი ეჩხირებათ, რომლის სულისკვეთება ვერ მოსპეს, ვერ ამოძირკვეს სიკვდილით, დევნით, პატიმრობით. გურამ აბსანძე ყოველივე ამისათვის გაიმეტეს, მაგრამ თავისი სიმართლითა და კაცობით მოიმხრო ადამიანები დაპირისპირებული ბანაკიდან – ფაქტობრივი პარლამენტის 160 დეპუტატმა ხელი მოაწერა მის გათავისუფლებას. არ დარჩენილა სასამართლო პრაქტიკაში არსებული ფორმა საჩივრისა, ბრალდებისა, თხოვნისა, შუამდგომლობისა თუ თანამდგომთა ხელმოწერისა, მისი გათავისუფლების საბაბით სასიკვდილოდ გაფიცულთა მოთხოვნებისა თუ საპროტესტო აქციებისა, რომელშიც არ გამოხატულიყო გურამ აბსანძისადმი ღრმა სიმპათია. თითქმის ხუთი წელი, რომელიც პატიმრისათვის წლებად და თვეებად

კი არა, დღეებად და წუთებადაც კი განიცდება, მისი ბედისა და გათავისუფლების საკითხი სასწორზე იყო შეგდებული.

პროცესზე შეკრებილი საზოგადოებაც სულ მოლოდინში იყო, აარანაკლებ მძიმე იყო განსასჯელის განცდა არაერთგზის იმედგაცრუების გამო. გურამ აბსანძეს შუამდგომლობდნენ ადამიანთა უფლებების ცნობილი საერთაშორისო და ადგილობრივი დამცველები. აადვოკატების დაცვითი სიტყვები ვირტუოზულობითაც გამოირჩეოდა. შედეგი მაინც ყრუ იყო.

ბეტონის კედლებსაც არღვევს სიცოცხლეს მოწადინებული სუსტი ყელორტი და რა გასაკვირია, აღტაცებაც კი გამოეწვია გურამ აბსანძის გასვლას ციხის საავადმყოფოდან 30- მეტრიანი გვირაბით. ზოგს ეს იმდენად დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ დაერივნენ ციხის დაცვასა და მეედპერსონალს გურამ აბსანძის „ჭიშკრიდან გაპარებისათვის" განსაჯელ გურამ აბსანძის ამ საქციელმა, ისევ მისივე კაცური რეპუტაციის გათვალისწინებით, სიმაღლე არ დაკარგა. იგი განიმარტა, როგორც პროტესტის იძულებითი ფორმა.

ბატონ გურამს, გენეტიკურად გულით დაავადებულთა ოჯახის შვილს, რა სულისკვეთების კარნახით უნდა დაეძლია ასეთი წინააღმდეგობა?! ფიზიკურად ეს მის გადატყავებულ მუხლისთავებსაც დაეტყო. ერთგული მეუღლის კითხვაზე – რატომ? – მისი ბევრისმთქმელი პასუხი იყო: „შენ არ იცი, რაა თავისუფლება!"

გვირაბით გურამ აბსანძის გამოსვლა ციხიდან თავისი მასშტაბით თუ ჩამორჩება ერის დაბრუნებას აღთქმულ მიწაზე, საქართველოს გაყვანას დამოუკიდებლობის გზაზე. დიდ საქმეებს ასეთი პიროვნებები აკეთებენ. შემთხვევით არ იყო, ეროვნული ხელისუფლების ზეობის ხანაში კარგ მინისტრად ცნობილ გურამ აბსანძეში საქართველოს დევნილმა პრეზიდენტმა შემდეგში წარჩინებული მამულიშვილი და ერთგული თანამებრძოლი რომ ამოიცნო. მისი ძალის აღიარებად აღიქმება ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ შეთითხნილი ბრალდებებით გ.აბსანძის გაყვანა აქტიური ასპარეზიდან.

ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნება იმდენად სარისკო დავალება იყო, რომ აქ წარმოჩინდა სახეებად ფაქტობრივი ხელისუფლება და ამავე მიზეზითა და ზვიადის ჩამოსვლით გამოწვეული სიხა-

რულით ფრთაშესხმული ხუთგზის დალაშქრული ძაძებიანი სამეგრელო, ჭეშმარიტი ქართველები. ორივე სიტუაციის განმახორციელებელი გურამ აბსანძე იყო, ზვიადთან ერთად.

გასაჭირში ჩავარდნილ პრეზიდენტს, ვგონებ, ასეთ დახმარებას მერაბის შემდეგ გურამის გარდა ვერავინ გაუწევდა. ბატონი გურამისთვის ეს არ იყო მხოლოდ ხელისუფალის ბრძანების შესრულება. დეტალები, რომლებიც ამ ორი პიროვნების ურთიერთობიდანაა ცნობილი, შორს წაგვიყვანდა. გავიხსენებ მხოლოდ რამდენიმეს, რომლებიც ცხადყოფენ როგორი აღტაცებით შეჰხაროდა ბატონი გურამი ხელისუფლებაში დანახულ ჭეშმარიტ ქართველს, ერისათვის თავგანწირულ ადამიანს. შემთხვევით არ იკითხება მის წერილში, რომ ზვიადმა თვითმფრინავის ფანჯრიდან იცნო ტეხურას ხიდი, რომ საკუთარი გადარჩენისთვისაც კი ხელი არ მოაწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომ მშობელ მიწას ეამბორა დაბრუნებული და თქვა: აქედან ცოცხალს ვერსად წამიყვანთო.

ბატონი გურამის მოლოდინსაც კი გადაამეტა იმ სიხარულმა, რომლითაც სამეგრელოში მათ ჩამოსვლას შეხვდნენ. მაღალი გულწრფელობისა და სიბრძნის ნიმუშია გურამისა და ზვიადის დიალოგი:

„– ბატონო ზვიად, რატომ უყვარხართ ასე ხალხს?

– მართალს ვეუბნები."

ბატონი გურამი უყვართ ყველგან, სადაც უცხოვრია თუ უმსახურდია. მისი პიროვნება ყველას ანგარიშგასაწევად მიაჩნია. ოთხ წელზე მეტია ოჯახს მისადმი სიყვარული ინახავს. ასეთი დამოკიდებულება ჭირში ჩავარდნილი ყოფილი ხელისუფლებისადმი მხოლოდ მისი იშვიათი ადამიანური თვისებებით აიხსნება. სასამართლო პროცესებს ყოველთვის იმდენი გულშემატკივარი ესწრებოდა, ზოგჯერ ტევაც არ იყო. ბატონი გურამის გამოსვლები თუ რეპლიკები ყველა იურიდიული ნორმის მოშველიებით დღევანდელის ხელისუფლების გასამართლება უფრო იყო, ვიდრე მისი სასამართლო პროცესი. ამავე დროს ეს იყო ზნეობრივი გაკვეთილები იქ დამსწრე განსასჯელთათვის, დამსწრე საზოგადოებისათვის და თვით მსაჯულთათვის. შემთხვევითი არ იყო, რომ „ზვიად გამსახურდიას ბანდიტური ჯგუფის" წევრად მონათლულ გურამ აბსანძეს სასამართლოში ბატონობითაც მიმართავდნენ და

პროცესის პარალელურად გაჩნდა აზრი ზვიად გამსახურდიას სახელის
რეაბილიტაციისა ფაქტობრივი ხელისუფლების წრეში.

ბატონი გურამ აბსანძე საქართველოს თანამედროვე გმირთა იმ
პლეადის წარმომადგენელია, რომელთაგან ზოგმა თავი დაიწვა ერის
გონზე მოსაყვანად; ზოგმა გულწრფელად შეაკლა თავი საქართველოს
ტერიტორიულ მთლიანობას; ზოგმა ფაქტობრივი ხელისუფლებისაგან
სიკვდილმისჯილმა შეწყალებაც კი არ ითხოვა; ზოგმა შეგნებულად აიღო
ხელში იარაღი მთავარი ბოროტების მოსასპობად. ასევე ბევრმა
სამშობლოდან გადახვეწით, შიმშილითა თუ უსახსრობით განაწამებმა
არ უღალატა სინდისს, ერთგულებას იმ იდეისას, რომლის სათავეში
ყველა ამ ღირსების შემოქმედად ზვიად გამსახურდია მოგვეელინა.
როგორც ქრისტემ კაცობრიობას, ზვიადმა მშობლიური ერის შვილთა
უმეტესობას მხეცის ნიშანი წაუშალა შუბლზე.

საიმედოობის, საზოგადოებაზე სიკეთით გადამწვდენი გულისა და
გონების გამო ბატონმა გურამ აბსანძემ კუთვნილი ადგილი დაიკავა
თანამებრძოლთა თვალში. მისი პიროვნების სრული პორტრეტის
წარმოჩენას ხელი მოუმართა სწორედ ზემოთ ხსენებულმა სასამართლო
პროცესმა.

ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლს და უსამართლობით ათგზის განაწამებ გურამ აბსანძეს მაინც მოყვასისადმი სიყვარულით აქვს სავსე გული მხოლოდ ასეთებს ძალუძთ მიმდევრები გაიჩინონ, რადგან პირადად იძლევიან ამის მაგალითს, მხოლოდ ამ ტიპის ადამიანების სიტყვას დაეჯერება, რადგან გურამ აბსანძესთან სიტყვა საქმიანია. ერის გაერთიანების – თანხმობის ყბადაღებული სურვილიც მხოლოდ აბსანძის მსგავს ადამიანებს შეუძლიათ გადაწყვიტონ გონივრულად. მას კომპრომისები ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია დაუშვას.

ბატონ გურამ აბსანძისა და მასზე დაწერილი წიგნი ერის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი დოკუმენტია. გარეკანზე გამოსახული მისი პორტრეტი – გისოსებს მიღმა ძლიერი, მოწესრიგებული და იმედიანი ერისკაცისა – ეს ჩვენი ზნეობრივი დევიზია – იბრძოლო ყველა ვითარებაში, რადგან, როგორც ზვიად გამსახურდია ამბობდა: „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი"

ცოცხალთა შორის ბატონი გურამ აბსანძე ყველაზე თვალსაჩინო მიმდევარია ეროვნული ხელისუფლებისა – ჭკვიანი, ნიჭიერი, კეთილი, სამართლიანი და მიმტევებელი, ქედმოუხრელი და მგზნებარე სულის ადამიანი. მისი თაოსნობით დაიძრა 20 აპრილის სახელით ცნობილი დადგენილება პოლიტპატიმართა გათავისუფლების თაობაზე.

ისტორია და ლიტერატურის მრავალი დარგი გურამ აბსანძის თემას ხშირად მიუბრუნდება მაგალითისთვის. იგი გისოსებს მიღმაც ინარჩუნებს ქართველი კაცისათვის შეუნაცვლებელ ღირსებებს. მისი ჯანმრთელი ხასიათიც გვკარნახობს, რომ მუდმივი არის სამართლიანობა და დროებითი – ბოროტება, თუ მასთან ბრძოლაში არ იღლები.

ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და გამარჯვება მისი ერს არგია.

პატივისცემით,

ლია ანდღულაძე

9 აპრილი, 2002 წელი

გილოცავთ, ბატონო გურამ!

გილოცავთ დაბადებიდან 50 წლის თავს!

უფრო სწორად, გილოცავთ გამძლეობას, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენს „მშვენიერ" დღევანდელობაში – ღვთის მადლით, ხართ ჯანმრთელად როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად და გამოიყურებით ისე სიმპათიურად, როგორც შეეფერება ჭეშმარიტ ქართველს, ჭეშმარიტ კოლხს!

მე თუ მკითხავთ, თქვენ კიდევ ერთი რამ გაქვთ მოსალოცი – თუ არსებობს სამართლიანობა, თქვენ დღეს გინესის რეკორდების წიგნს უნდა ამშვენებდეთ. რა რეკორდის გამო? იმ რეკორდის გამო, რომელიც თქვენ დაგამყარებინათ საქართველოს დღევანდელმა ხელისულებამ: როცა ხალხმა წაიკითხა, რომ თქვენ დაგაპატიმრეს 65 ბრალდების გამო, ყველა გაოგნდა: ეს რამდენი დანაშაული ჩაუდენია ამ ერთ ადამიანსო.

ამდენი რაოდენობის დანაშაული არ ჰქონია ჩადენილი კაცობრიობის იტორიაში არც ერთ ადამიანს, ამიტომ თქვენი ეს რეკორდული მიღწევა თვით პროკურატურისთვისაც კი გამაოგნებელი აღმოჩნდა და იგი იძულებული გახდა ისინი თავადვე მოეხსნა – 65 დანაშაულიდან, რაც თქვენ წაგიყენეს... 64 მოგიხსნეს. ერთიღა დაგიტოვეს. საცოდავები! საცოდავები!

2001 წლის 13 ნოემბერი – გამარჯვების დღე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განაჩენის მოლოდინში

ყოფილა განა ასეთი ფაქტი მსოფლიო იურისპრუდენციაში?!

თუმცა ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილი ასეთი უსამართლობა და უკანონობა ერთადერთი არ არის. 1993 წელს ჩვენი გაზეთი „იბერია-სპექტრიც" დაადანაშაულეს რაღაც საშინელ დანაშაულში და 9 თვის მანძილზე დახურეს, როგორც „ქვეყნის დამაქცევარი" 9 თვის მერე კი, როცა ვერ დაადასტურეს ეს ჩვენი დამაქცევრობა, იძულებული გახდნენ ოფიციალური წერილი გამოეგზავნათ ჩვენთვის, თქვენს წინაშე

წაყენებული დანაშაული არ დადასტურდაო!

ასე რომ, არ უნდა გაგვიკვირდეს დღევანელი ხელისუფლებისა და მისი პროკურატურის „ობიექტურობა" და „სამართლიანობა"

ბატონო გურამ! ეს ერთი დანაშაული რომ დაგიტოვეს, რაღაცით ხომ უნდა „დაედანაშაულებინეთ" სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების გამო! ასე რომ, მე ვურჩევ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასა და პროკურატურას, წარადგინოს თქვენი თავი გინესის რეკორდების წიგნში შესატანად!

ხუმრობა ხომ არ არის: დაგაპატიმრეს 64 დანაშაული გამო და, თვით დამჭერების აღიარებით, თურმე არც ერთი არ ჩაგიდენიათ! თქვენი „დანაშაული" იმაში.მდგომარეობს, რომ მუდამ თავდადებით ემსახურებოდით თქვენს სამშობლოს და იღვწოდით მისი სრულყოფილი დამოუკიდებლობისათვის!

ასე რომ, თქვენი სიმტკიცე და თავდადება მუდამ დარჩება სამაგალითოდ საქართველოს ისტორიაში!

პატივისცემით,

ირაკლი გოცირიძე,
გაზეთ „იბერია-სპექტრის" დამაარსებელი და
მთავარი რედაქტორი

აპრილი, 2002 წელი
ქ.თბილისი

სანაქებო მამულიშვილი

გურამ აბსანძე თავისივე სულზე მონარგები გოლიათია. ასეთზე იტყვიან, ამ კარებში ვერ შემოეტევაო, თუმცა იგი თითოეული ჭეშმარიტი მამულიშვილის გულში „შეეტია" და იქ საპატიო ადგილი უჭირავს.

სხეულში რამდენიმე ტყვიას, ხოლო გულით ნატყვიარ საქართველოს ატარებს.

იგი მუდამ იღვწოდა და იღვწის სამშობლოს საკეთილდღეოდ და მუდამ იმის ცდაშია, ისე იცხოვროს, რომ სამშობლოზე ბედნიერი არ იყოს. ეს რომ ადამიანს ცხოვრების მიზნად გაუხდია,– მართლაც ნამდვილად ბედნიერია.

რჩეული ერისკაცები სწორედ კეთილშობილ მიზანსწრაფვათა და ღვაწლთათვის იხდიდნენ და იხდიან სასჯელს... ასეთ მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის იბრძოდნენ ქართველი ერის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რისთვისაც ისინი ჯვარს აცვეს და სიცოცხლეს გამოასალმეს.

სწორედ ზვიად გამსახურდიამ მიიწვია ბატონი გურამი განაუპატიურებ-განაძარცვი ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ და ფინანსთა მინისტრად.

მთელი არსებით, ძალ-ღონის დაუზოგავად შეუდგა ბატონი გურამი მეტად პასუხსაგები ამოცანების შესრულებას.

სულ რვა თვე იმოღვაწა ეროვნულმა ხელისუფლებამ.. თავისუფალი ქვეყანა ფეხს იდგამდა. ჭრილობებს იშუშებდა. არავისაგან ვალი არ აუღია და სიტყვა „სეკვესტრი" ჩვენს ყურს არ გაჰკარებია.

სულკურთხეულ დიდოსტატ არსაკიძისა არ იყოს, კარგი მშენებლობის დაწყებისთვის კომუნისტმა-რევანშისტებმა ერს მარჯვენა მოჰკვეთეს და ბედნიერება უბედურებით შეუცვალეს... ჭეშმარიტ მამულიშვილებს ტყვია დაუშინეს. ვინც გადაურჩათ, დევნა დაუწყეს... ციხეები გაავსეს...

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ გურამს შეეძლო ეშოვნა მოხელის თბილი სავარძელი, ამაოდ ნერწყვი არ ეყლაპა, ჯიბეებიც დატენილი ჰქონოდა. ამ ხვედრს წესიერ მამულიშვილად აღზრდილმა კაცმა გოლგოთისკენ მძიმე ჯვრით სიარული ამჯობინა...

ქვეყნის გამყიდველებმა იგი რუსეთიდან, როგორც იმ ქვეყნის 6 ჯარისკაცის მკვლელი, ცრუპრეზიდენტზე თავდასხმის ორგანიზატორი, ისე ჩამოიყვანეს საქართველოში და როგორც უკანონო პატიმარი, ციხის საკანში აღმოჩნდა...

მთელი მსოფლიო ალაპარაკდა პოლიტპატიმრის უფლებების

შელახვასა და უკანონობაზე. მაგრამ ვინც ამას სჩადიოდა, გულთან ხომ არ მიიტანდა ამ უსამართლობას. გამოსავალი თავად მოძებნა ამ გოლიათმა და გაიქცა... შეიპყრეს... ზოგიერთმა „ეროვნულმა მოღვაწემ" გაკიცხა ეს ნაბიჯი: – თუ ნაღდი არა ჰქონდა, არ უნდა გაქცეულიყო... განაღდებული რომ ჰქონოდათ, ერთი გაქცევით თავის შველა სერვანტესს, გურამიშვილს, სტალინს მაშინ რამდენჯერმე კი აღარ მოუწევდათ მისი გამეორება. მე მაშინ გაზეთ „თვალთაის" საშუალებით ვუპასუხე „ბრძენ პოლიტიკოსებს"

ნაძვის ხეს საახალწლოდ რომ მუყაოს ფუყე სათამაშოებს ჩამოჰკიდებენ, ისე აჩინჩხლეს ბატონ გურამ 65 შეთითხნილი ბრალდება. მათ შორის ყველაზე ცინიკური იყო „სამშობლოს მოღალატეობა" მისი ავტორები თავად გახლდნენ სამშობლოს მოღალატეები, რომლებიც ერთგულებას ასე აფასებდნენ. სკამები გასაცვლელი იყო, მაგრამ...

როცა ბატონ გურამს 64 ბრალდება მოუხსნეს, მაშინ უნდა გენახათ იგი სასამართლო პროცესზე, როგორი სიმშვიდით და ირონიით, თავისი მშვექარე ხმით ამათრახებდა „კანონის დამცველებს" ახლაც კარგად მახსოვს მისი სიტყვები: „თქვენ ჯერ კიდევ პირველ სხდომაზე დაარღვიეთ კანონი. ეს საქმე, როგორც არასრულად, არაკომპეტენტურად, არაობიექტურად გამოძიებული, ძიებაში უნდა დაგებრუნებინათ. მე ბრალი მედება 83 კაცის მკვლელობაში. თქვენ ახლა მიხსნით ამ ბრალდებებს, რადგან ახალი მტკიცებულებები არ მიგიღიათ. მე ჩვენება არ მიმიცია და რის საფუძველზე მიხსნით ბრალდებებს? კანონი ითვალისწინებს, რომ ამ შემთხვევაში დაღუპულთა ნათესავების თანხმობაა საჭირო, მოიყვანეთ ისინი, იქნებ არ არიან თანახმა. მაშინ კანონი ითხოვს საქმის გაგრძელებას. თუ პროკურორები ამას არ დაეთანხმებიან, მათ უფლება აქვთ არ მიიღონ მონაწილეობა სასამართლო განხილვაში. მე პროკურატურამ თითქოს მომიხსნა ბრალდება, სინამდვილეში მომიხსნა ეპიზოდები „კაკო ყაჩაღის" ცხოვრებიდან. ფაქტიურად ამით ბრალდება დამიმძიმეს. აქ ისევ ზვიად გამსახურდიას ასამართლებენ და არა მე. შეეშვით ამ კაცს. ახლა 2001 წელია. ეს არის ფაქტობრივად ახალი ბრალდება. კანონის შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებით ძიებაში"

იმ სულკურთხეულს თითქოს „შეეშვნენ" მისი სახელის უკვდავ-

ყოფაც კი გადაწყვიტეს. ეს დრომ და სიმართლემ ჰქნა.

დრო და სიმართლეა გურამ აბსანძის ღვაწლის დამფასებელი.

ბატონი გურამი გოლიათურ სულს გოლიათური სხეულით ატარებს. ერს და ქვეყანას უნაწილებს ზღვა სიყვარულს.

რევაზ ურუშაძე

„ნეტარია განსაცდელის გადამტანი“

„ეჰე, მეომარნო ქრისტიანნო, უკეთუ ღვთის რჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ.“

დავით აღმაშენებელი

1993 წელს ზუგდიდში ერთ-ერთ მიტინგზე გამოსვლისას ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „ეროვნულ გამნათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ეტაპი დარჩა, ბოლოს ცოტანი შემორჩებიან, მაგრამ საბოლოოდ გავიმარჯვებთ". მაშინ, საყოველთაო ეიფორიის პირობებში, როცა დღე-დღეზე კანონიერი ხელისუფლების სრულ აღდგენას ველოდით, ამ სიტყვებისათვის ბევრს ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ეს სიტყვებიც წინასწარმეტყველური გამოდგა. დღეს ყველა ვხედავთ, მართლაც „ცოტანი შემორჩნენ", ვინც იბრძვის ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა წინააღმდეგ. პირველი პრეზიდენტის დაღუპვის, პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემდეგ გურამ აბსანძე ზვიად გამსახურდიას მიერ ხელდასმული კანონიერი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს

უმაღლესი თანამდებობის პირია. ბატონი გურამი არ შეეგუა სახელმწიფო გადატრიალებას, არ ითანამშრომლა გადატრიალების შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულ კოლაბორაციონისტულ ხელისუფლებასთან, არ უღალატა ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას, არ უღალატა საქართველოს პრეზიდენტს, მრწამსს, არ უღალატა მშობლიურ დარჩელს, ოჯახს, არ უღალატა საკუთარ თავს. ამ ერთგულებისათვის მან მიიღო ცხრა ტყვია, რომელსაც დღესაც სხეულში ატარებს; წილად ხვდა დევნა, სამშობლოდან გადახვეწა, ცილისწამებები ყველა მხრიდან, ღალატი, დაუნდობლობა; ერგო ციხის საკანი, საიდანაც, აგერ უკვე მეხუთე წელია ჩვეული შემართებითა და გაუტეხელობით აგრძელებს ბრძოლას ქვეყნის კანონიერების რელსებზე დასაბრუნებლად.

„ნეტარია განსაცდელის გადამტანი, რადგან რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ." – გვასწავლის ბიბლია. ბატონი გურამი წუთისოფელმა მრავალ განსაცდელს გამოატარა, სული მისი გამოაწრთო და გადამწყვეტი ბრძოლისათვის შეამზადა. ხედავს მის შემართებას პატრიოტი ქართველი კაცი და ელის, როდის აღმართავს გურამ აბსანძე ერის გამაერთიანებელ ქართულ დროშას, რათა ერთიანი ძალით კვლავ შეუტიოს ასე მომრავლებულ ეშმაკის მიმდევართ.

ასე ხვდება ბატონი გურამი თავის 50 წლისთავს – მრავალ ჭირვარამ, მრავალ განსაცდელგამოვლილი, თავისუფლებამოწყურებული და საბრძოლოდ შემართული. ვულოცავ ბატონ გურამს ამ ლამაზ თარიღს. როგორც ჩანს, ეტყობა ეს თარიღი მისთვის წყალგამყოფი იქნება.

ღმერთი გფარავდეს, ბატონო გურამ!

პატივისცემით,

მანგულხუგუა

12 აპრილი, 2002 წელი

უშიშარი რაინდი

2002 წლის 18 აპრილს დაბადებიდან 50 წელი უსრულდება გურამ აბსანძეს!

სულით და გულით ვულოცავ ამ მშვენიერ თარიღს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, უკვდავი ზვიად გამსახურდიას უერთგულეს მეგობარსა და თანამებრძოლს, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრს, ამჟამად სინდისის ტუსაღს, ერთგულებასა და კაცურკაცობაში მისაბაძს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, წმინდა სისხლისა და სულის ქართველს, ქედმოუხრელს, დაუჩოქებელს, უკანდაუხეველს, გაუტეხელსა და უშიშარ რაინდს - გურამ აბსანძეს!

ლონგი ფარცვანია,
საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას
პირადი პოლკის მეთაური,
გვარდიის პოლკოვნიკი

ჰოლანდია, ქ. დელიერი, დევნილთა ბანაკი

გაბაასება ბატონ გურამ აბსანძესთან

ბატონო გურამ!

მომიტევეთ, რომ მილოცვისა და ადრესის ნაცვლად გაბაასება ვარჩიე თქვენთან. სათქმელი და საბაასო, იცოცხლე, ბევრი გვაქვს, მაგრამ ხომ იცით, მოკლე სიტყვას მეტი ფასი და წონა ჰქონდა ოდითგანვე. ასეა ახლაც.

დღეს თქვენი დაბდების დღეა. ღმერთმა ქნას, ამ ჩემს „გაბაასებას" გარეთ მოუსწროთ, ოჯახიც გაახაროთ და ჩვენც, თქვენი მეგობრები და

კეთილისმსურველნი.

სიმართლე გითხრათ, მეხამუშება თქვენს სახელთან ერთად ციხე ვახსენო, მაგრამ ეს ხომ რეალობაა, უფრო ზუსტად, ის სახადია, რომელიც დრომ მოგვიტანა და სწორედ საქართველოს საუკეთესო შვილებს დარია ხელი.

ციხე ციხეა, მაგრამ არც მის გარეთ ბრწყინავს დღეს არემარე. რაც „გარეთაა", ის არის „შიგნითაც". ამიტომაც მე დიდ სხვაობას ვერ ვხედავ ამ ორ გარემოს შორის – „გარეთ" არსებობაა, „შიგნით" – არსებობისათვის ბრძოლა!

ციხე ფიქრებისთვის გაუჩენია ღმერთს, – წერდით თქვენ ერთ-ერთ წერილში. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ მერწმუნეთ, საქართველოს ბუნების შემოქმედ ღმერთს არამც და არამც არ შეეძლო ის ციხე შეექმნა, რომლის კედლებსაც აგერ მეხუთე წელიწადია ვერა და ვერ გასცდით. ის უსათუოდ სატანის შექმნილია, ბატონო გურამ!

მაგრამ როდემდე! ციხეც გატყდება და მისი პატრონიც! მთავარია მებრძოლი სული შევინარჩუნოთ და იმ ოთხ კედელსშუა ნაფიქრალით ხალხში გავიდეთ, ერთმანეთს გადაკიდებული ძმები შევარიგოთ, გავაერთიანოთ, რათა ერი გადარჩეს. ეს ისტორიული მისია თქვენ უნდა იკისროთ კი, მძიმე იქნება ეს ტვირთი, მაგრამ თქვენ ხომ მარტო არ იქნებით, სჯერათ თქვენი და მხარში მთელი ხალხი ამოგიდგებათ.

მტერმაც იცის და მოყვარემ – მით უმეტეს: განგების მიერ მიმტევებლობით ხართ დაჯილდოებული. ამიტომაც კეთდება თქვენზე არჩევანი, მხოლოდ ასე შეიძლება გავიმარჯვოთ იმ შუღლზე, რომელიც ერის შუაგულში მართავს ორგიებს.

აბა, რა ბედენაა იმათი მცდელობა, ვინც ადრე ზვიად გამსახურდიას ძირს უთხრიდა და მიწასთან ასწორებდა, ახლა რომ ხალხში მისი დროშით დაიარება და, თქვენ წარმოიდგინეთ, ძეგლსაც კი უდგამს სამეგრელოში. არჩევნებია მოახლოებული და, ალბათ, იმიტომ. ვერა, ძმობილო, ჩვენ ამ გზით არ გვივლია და არც ვივლით. ვერც იმათ დავემსგავსებით, ვინც არჩევნების წინ მოსახლეობაში ფქვილსა და შაქარს არიგებს.

ეს ჩვენი გზა არ არის. ამ გზით 70 წელი იარეს „ხაპუგა" კომუნისტებმა და მათმა შთამომავლებმა, რომლებმაც თქვენ ტყვია გესროლეს, ციხეში ჩაგსვეს და გაგასამართლეს" მათ თვალში თქვენ ერთი „დანაშაული" გაქვთ: გიყვართ საშშობლო, ერი და ბერი!

ბატონო გურამ!

მინდა თბილი სიტყვები გითხრათ არა იმიტომ, რომ ძმადნაფიცობაც გვაკავშირებს, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ერისკაცი ბრძანდებით, კაი ყმა იყავით და ასეთივე დარჩით დღემდე. ეს ერთეულების ხვედრია მხოლოდ!

სიტყვა გამიგრძელდა. დროა დაბადების დღე მოგილოცოთ – მრავალჟამიერ, კაცურო კაცო!

ძმური სიყვარულით,

ზაურ კვარაცხელია

აპრილი, 2002 წელი
მოსკოვი

ყველაზე დიდი ჯილდო

ბატონო გურამ!

გულითადად მოგილოცავთ დაბადებიდან 50-ე წლისთავს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

თქვენ უდაოდ მოხვეჭილი გაქვთ ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა, რაც ყველაზე დიდი ჯილდოა საშშობლოზე შეყვარებული ადამიანისთვის. ბედნიერი ხართ, რამეთუ შეგიძლიათ ბრძოლა და ათასების თან გაყოლიება.

დარწმუნებული ვართ, მთელს ენერგიას, ცოდნასა და ავტორიტეტს კვლავაც ეროვნულ საქმეს, ქვეყნის აღორძინებასა და გამთლიანებას მოახმართ.

თქვენი შემართება და პოლიტიკური მოღვაწეობის შეუდარებელი ალღო ქართველ ერს დღეს ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ალმანახ „ემიგრანტი – XXI"-ის
სარედაქციო საბჭოს სახელით
მარი ჟლენტი – მთავარი რედაქტორი

ვლადიმერ ჯიოლოგუა – საქართველოს უზენაესი საბჭოს
წევრი, მწერალი

მურმან ხურცილავა – პოეტი

აპრილი, 2002 წელი
მოსკოვი

ბორკილდადებული დევკაცი

„მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა – „დაიჭირესო..." ყველანი შევშფოთდით... რას ერჩოდნენ, რისთვის?.. გაფაციცებით ვადევნებდით თვალს ტელევიზორს... ისმის დიქტორის ხმა: „დღეს თბილისში ჩამოიყვანეს კიდევ ერთი ეჭვმიტანილი" ეკრანზე ჩანს, თეთრი ლაინერი როგორ მოცურავს ასფალტზე... გაჩერდა, სუნთქვა შემეკრა... იღება კარი, კიბის თავზე გადმოდგა ჭაღარათმიანი, ბორკილდადებული დევკაცი, სწრაფად დაეშვა კიბეზე, გადახედა დამხვდურებს, მუშტშეკრული მარჯვენა ხელი მაღლა ასწია – გამარჯობათ, ქართველებო, – თქვა და ფეხი დაადგა ქართულ მიწას.

გამარჯობა გამარჯვებას ნიშნავს ჩვენთან...

„...მარჯი, საქართველოსო!" – როცა წერდა გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძე, ისიც გამარჯვებას გულისხმობდა მასში. ალბათ, მასაც სწამდა საქართველოს გამარჯვების და დაბრუნების... მაგრამ, საუბედუროდ,

ეს გამარჯვება არ შედგა მაშინ და არც დაბრუნება მომხდარა... როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ერთმანეთს..."

ეს სიტყვები რამდენიმე წლის წინ დავწერე... ახლა სხვა დროა, მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ... თან წაიღო ათასი სიხარული, ათასი გულისტკივილი... იმ ჭაღარათმიან დევკაცს დღესაც ბორკილი ადევს ხელზე, მაგრამ როცა სასამართლოზე გისოსებიდან მის მაღლა აწეულ. მუშტადშეკრულ მარჯვენას ვხედავ, იმედი კვლავ ცოცხლობს.

ამ იმედით ვულოცავ გაუტეხელი სულის პატრონს თავის დაბადების დღეს, დე, ასრულებოდეს მას ის სიტყვა, საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმისას რომ წარმოთქვა. მე კი მინდა მას ვუთხრა:

– გამარჯობა, დიდო ქართველო! მალე გამარჯვება მოგველოცოს შენთვის!

ლია მესხია

12 აპრილი, 2002 წელი

მადლობას გიხდით...

ბატონო გურამ!

ვუერთდები იმ ადამიანთა რიგებს, რომლებიც გილოცავენ დაბადების 50 წლის იუბილეს და მოუთმენლად ელიან თქვენს განთავისუფლებას ერის ნების დამთრგუნავთა ტყვეობიდან. თქვენ აღმოჩნდით ადამიანური და ეროვნული ღირსების ყველაზე ენერგიულად და უტეხად დამცველი, მრავალი გულგატეხილი სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის რიგებს დაუბრუნეთ. ქვეყნის დამთრგუნავთა ათწლიანმა ვაკხანალიამ მარტო პოლიტიკურ პარტიებში კი არა, მთელ საზოგადოებაში ამრავლა ფარისევლები. ერთობ გაძნელდა ნდობის მოპოვება ადამიანთა შორის, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ თუ ამ ათმა წელიწადმა მრავალი მიდრიკა სიმდაბლისაკენ, მრავალნიც აწრთო

და გაასალკდევა. ამ უკანასკნელთა ერთობლიობას ძალუძს კვლავაც წაღმა შემოატრიალოს ქვეყნის ბედი, აღადგინოს ეროვნული ცნობიერება.

ეროვნული ცნობიერების ადგენას ისახავს მიზნად თიანეთში ეროვნული დარბაზის „ჟალეთის" დაფუძნებაც. ამისი მიღწევა კი შეუძლებელია, თუ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში არ დავეხმარებით ადამიანებს. სწორედ ამიტომ ვარჩიეთ, დარბაზს საშუამავლო ასოციაციის ფუნქცია ეკისრა. იმის იმედიც გვაქვს, რომ მსგავსი საზოგადოებები შეიქმნება საქართველოს სხვა რაიონებშიც.

ბატონო გურამ, რომ არა თქვენი ჭეშმარიტად საყოველთაო მამულიშვილობა და ერისკაცობა, შესაძლოა ჩემი ეროვნული ოპტიმისტობაც ჩანავლებულიყო. მადლობას გიხდით გაუტეხელობისათვის. დაე, თქვენი შემდგომი დაბადების დღეები უფრო ღირსეულად აღენიშნოს მთელ ქართველ ხალხს.

იოსეგ პატარაშვილი,

საქართველო გაბრწყინდება!

ბატონო გურამ!

საქართველოსათვის, სიმართლისათვის ტანჯულო რაინდო, გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერია ის კუთხე, სადაც თქვენ დაიბადეთ; ბედნიერია ის ერი, რომელსაც თქვენნაირი ვაჟკაცი ჰყავს.

თქვენი შემართება გვაძლევს იმედს, რომ საქართველო გაბრწყინდება!

პატივისცემით,

ნანა ჩიჩუა,
ირაკლი ცინცაძე

მხნედ იყავ მარად...

გურამ აგსანძეს

შენ ამ ცხოვრების უძნელეს გზაზე,
მკერდით ატარე ჯალათის ტყვია.
მედგრად იდექი ჩვენი მესაჭე,
რწმენა ოდნავაც არ შეგიცვლია.
იმედით გიმზერს იმერ-ამერი
შენი ცხოვრების ამ მძიმე დროსაც,
შენს ვაჟკაცობას – მრავალჟამიერ,
რისთვისაც გულით გლოცავთ და გლოცავთ.
გლოცავს დარჩელი – მშობელი დედა,
ვინც შენთვის მწარე ცრემლები ღვარა...
მუდამ გვენახე შენ ასე მხნედ და
წმინდა გიორგი გფარავდეს მარად.

გურამ მოლაშხია

შველა უნდა

შვილები ვართ მზიანეთის,
მზემ სხივები დაგვასხურა.
როცა ჩვენთანაა ღმერთი,
რა ხელი აქვს მაცილს, გურამ!
ჩვენი ხალხის განაწესით
იდექ ქვეყნის სამსახურად.
ეშმამ ბოროტების თესლი,
კვლავ ახარა, ჩემო გურამ!
ახარა და მერე როგორ,
ვერაგობით, მისებურად.
უნდა მის წინ დაიჩოქო,
ვერ მიართვი ვერა, გურამ!
ვერც გაგტეხეს, დინებასაც
ებრძვი, უტევ ზვიადურად.
ვინც ცხრა ტყვიამ ველარ დასცა,
ღვთის კაცია, ჩემო გურამ...
ღვთის კაცო და ერის კაცო,
მამულს შავი ჯანღი ბურავს.
ყველას უნდა დაიტაცოს,
შველა უნდა, შველა, გურამ!

ანტონ არნანია

სარჩევი

დაუმარცხებელი და დაუმორჩილებელი გმირკაცი! ---------- 3
გურამ აბსანძე – 50 ---------- 5
მივაღწევთ საქართველოს გაბრწყინებას ---------- 74
ვამაყობთ თქვენით ---------- 76
თქვენი ბრძოლა სამართლიანობის აღდგენის საწინდარია ---------- 77
მზემოწყურებული რაინდი ---------- 80
გამოვხატავთ მადლიერებას ---------- 82
კვლავაც აღზევდება ქართული სული ---------- 82
ფიცის ბოლომდე ერთგული ---------- 84
გადამწყვეტია ძალთა გაერთიანება ---------- 88
გვეამაყები! ---------- 90
გურამ აბსანძე ---------- 92
გილოცავთ, ბატონო გურამ! ---------- 98
სანაქებო მამული შვილი ---------- 100
„ნეტარია განსაცდელის გადამტანი" ---------- 103
უშიშარი რაინდი ---------- 105
გაბაასება ბატონ გურამ აბსანძესთან ---------- 105
ყველაზე დიდი ჯილდო ---------- 107
ბორკილდადებული დეკანაცი ---------- 108
მადლობას გიხდით... ---------- 109
საქართველო გაბრწყინდება! ---------- 110
მხნედ იყავ მარად... ---------- 111
შველა უნდა ---------- 111